წყალი გადადის დამლექში, მეორეში წარმოებს წყლისა და კირის
მიწოდება.

შემრევ ავზებს ავსებენ წყლით ნახევრამდე. უმატებენ საჭი-
რო რაოდენობის კირის ხსნარს; შემდეგ უმატებენ წყალს მთლიან
მოცულობამდე და სარეველას შემწვობით შრევენ შეტანილ კირს.

შერევის შემდეგ, დარბილებულ წყალს დამლექ ავზში აყოვნი-
ვენ 6 საათის განმავლობაში, გაუფერულებულ წყალს უშვებენ შემ-
გროვში ჩვეულებრივი სილის ფილტრებში გატარებით და იღებენ
სინჯს წყლის სიხისტის განსასაზღვრავად.

კატიონური მეთოდი

ეს მეთოდი დამყარებულია იონგაცვლაზე და ხორციელდება
გლაუკონიტის სილაში ან სულფონახშირის შრეებში წყლის ფილტ-
რაციით.

გლაუკონიტის ფილტრის გამოყენება. წყალში
არსებული კალციუმისა და მაგნიუმის იონები უერთდებიან გლაუ-
კონიტის რთულ ანიონს და ერევიან ნატრიუმის ექვივალენტურ
რაოდენობას. ამ მეთოდით შესაძლებელია წყლის დარბილება $0,05$
 $-0,10^{\circ}$ -მდე.

ფილტრში ჩატვირთული გლაუკონიტის ერთი და იგივე რაო-
დენობა გამოიყენება რამდენიმე წლის განმავლობაში. მხოლოდ
პერიოდულად უნდა დაემატოს მცირე პორციებად (5—10% წე-
ლიწადში).

ფილტრის მუშაობიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ
გლაუკონიტი კარგავს მარილების გაცვლის უნარს. ამიტომ საჭი-
როა მისი რეგენერაცია, ე. ი. მასში უნდა გატარდეს 10 პროცენ-
ტიანი სუფრის მარილის ხსნარი.

წყლის დარბილება ხდება ნახ. 1-ზე მოცემული სქემის მიხე-
დვით.

წყალი საწნებ ავზიდან 1 მიედინება ფილტრის ზემოთა ნა-
წალში 2. მილსადენს აქვს ონკანი 3 საწნეო ავზთან და ონკანი 4
ამესებ მილყელთან.


წყლის აღრიცხვა ხდება წყალსაზომით 5. დარბილებული წყალი გამომშვები ონკანიდან 6 მიემართება შემგროვებელ რომელსაც აქვს ონკანი 8. ფილტრი 9 და 10 ონკანის საშუალებით შეერთებულია კანალიზაციასთან ნარეცხი წყლის გასაშვებად.

ფილტრად იხმარება სტანდარტული ფილტრი-ჭევი. მის ჩატვირთვის ახდენენ შემდეგნაირად. ფილტრის კიდეზე 60 მმ მანძილზე სდებენ ლითონის ბადეს ფუძიდან 1 მმ ხვრელების დიამეტრზე. ბადეზე ყრიან კვარცის ნაფენს-სამ ფენად. ქვედა ფენა შედგება 70 მმ სისქის, 5-7 მმ ზომის მარცვლებისაგან, შუა ფენა 50 მმ სიმაღლის-2,5-5 მმ და ზედა 30 მმ სიმაღლის და 1,5-

2,5 მმ ზომის მარცვლებისაგან. კვარცის სილაზე ყრიან 700 მმ გლავუკონიტის ფენას, კვარცისა და გლავუკონიტის ფენას გულდასმით ასწორებენ. სითხის თანაბარი განაწილებისათვის გლავუკონიტის ზედა ფენაზე დებენ ლითონის ბადეს. ჩატვირთვის დამთავრების შემდეგ ფილტრის სახუთავს მჭიდროდ სურავენ და გლავუკონიტს რეცხავენ წყლით (ზემოდან ქვემოთ) დაახლოებით 24 საათის განმავლობაში, განკვირვალე ფილტრატის მიღებამდე.

გლავუკონიტს გარეუხვის შემდეგ აფხვიერებენ წყლის ნაკადის გატარებით ქვემოდან ზემოთ, რისთვისაც ალბენ ონკან 11 და 12. გაფხვიერების შემდეგ ფილტრი მზადაა ხმარებასათვის.

სუფრის მარილის ხსნარს ამზადებენ როფში 13. იგი შეერთებულია ფილტრთან კომუნისაციით, რომელსაც აქვს სამი ონკანი: როფთან-14, ფილტრთან-15 და საპაეროსთან-16.



ნახ. 1. წყლის დარბილების სქემა:
 1—სადაწნეო ავზი; 2—ფილტვი; 3—სადაწნეო ავზის ონკანი; 4—ამცხები ონკანის მიღველი; 5—წყალსაზომი; 6—ონკანი; 7—შემგროვი ავზი; 8, 9, 10, 11, 12—ონკანები; 13—როფი; 14, 15, 16, 17—ონკანები.



მარილს ხსნიან ცხელ წყალში, ასხამენ ტომრის ფილტრში ფილტრავენ, ანზავებენ წყლით და ურგვენ.

მომზადებული სუფრის 10 პროცენტიაანი მარილის ხსნარს ატარებენ გლაუკონიტის ფილტრში.

რეგენერაციის შემდეგ ფილტრს რეცხავენ წყლით მარილის გემოს სრულ გაქრობამდე, რის შემდეგაც ფილტრი მზადაა საექსპლოატაციოდ.

წყლის სინჯს იღებენ ონკანი 17-დან.

ერთი ციკლის ხანგრძლიობა შეადგენს 360 წუთს, მათ შორის გლაუკონიტის გაფხვიერების ხანგრძლიობა—10 წთ, რეგენერაცია—15 წთ, გარეცხვა—35 წთ, წყლის დარბილება—300 წთ.

წყლის ფილტრაციის სიჩქარე—200 ლკლ/ს.

გლაუკონიტის საჭირო რაოდენობას განსაზღვრავენ ფორმულით:

$$x = f \cdot h \cdot d,$$

სადაც x არის გლაუკონიტის რაოდენობა, ტ;

f —ფილტრის ფართობი, მ²;

h —გლაუკონიტის ფენის სისმალლე, მ;

d —გლაუკონიტის ნაყარის წონა, ტ/მ³.

რეგენერაციისათვის საჭირო მარილის ხარჯი A განისაზღვრება ფორმულით:

$$A = \frac{70 \cdot f \cdot h \cdot i}{10 S},$$

სადაც A არის მარილის ხარჯი, კგ;

70—მუდმივი კოეფიციენტი;

i —გლაუკონიტის შთანთქმის ტევადობა, ტ/გრად/მ³;

S —NaCl-ის შემცველობა ტექნიკური სუფრის მარილში, %.

მაგალითი.

სილიანი ფილტრისათვის, ფართობით $f = 0,3521$ კვ.მ, საჭირო იქნება გლაუკონიტი, რომელსაც ექნება შთანთქმის ტევადობა $i = 450$ ტ/გრად/მ³ და ყრილი წონა $d = 1,5$ ტ/მ³, $h = 0,7$ მ სისმალლის დროს.

$$x = 0,3521 \cdot 0,7 \cdot 1,5 = 0,369 \text{ სტ.}$$

სუფრის მარილის ხარჯი შეადგენს:

$$A = \frac{70 \cdot 0,3521 \cdot 0,7 \cdot 450}{10 \cdot 98} = 9 \text{ კგ.}$$

გლაუკონიტის აღნიშნულ რაოდენობას შეუძლია ერთ ცეკლ-ში დაარბილოს შემდეგი რაოდენობის წყალი B , რომლის სისხტე იქნება 12° .

$$B = \frac{369 \cdot 450}{12 \cdot 1500} = 9,22 \text{ ტ} = 922 \text{ ლ} = 1000 \text{ დკლ.}$$

სულფონახშირიანი ფილტრის გამოყენება. გლაუკონიტის დანადგარი შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე წყლის დასარბილებლად სულფონახშირით. ამ შემთხვევაში ფილტრში ტვირთავენ გლაუკონიტის ნაცვლად ვოსკრესენსკის ქიმიკომბინატის K მარკის (მსხვილი) სულფონახშირს.

გლაუკონიტის ნაცვლად სულფონახშირის გამოყენება უკეთეს შედეგებს იძლევა, ვინაიდან სულფონახშირის შთანქმეითი ტევადობა უფრო მაღალია, ვიდრე გლაუკონიტისა.

ჩვეულებრივად ფილტრის სიმაღლე 2,3 მ ტოლია, დიამეტრი 0,7 მ. ფილტრში შემოსული დასარბილებელი წყლის ან მარილხსნარის თანაბრად განაწილების მიზნით ფილტრის შიგნით ზემოთა ნაწილში მოთავსებულია სპეციალური ძაბრი.

ფილტრს ქვედა ნაწილში აქვს სადრენაჟო მოწყობილობა, ფილტრში გამაღალი წყლის თანაბრად განაწილებისათვის, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა მარცვლოვან კვარცის სილის რამდენიმე ფენისაგან შემდგარ ქვეშსაგებებს. კვარცის ქვეშსაგებზე წინასწარ გასწორებული ფენით, ზუსტად ჰორიზონტალური სიბრტყით ყრიან სულფონახშირს, რომლის ზემოთ სტოვებენ თავისუფალ სივრცეს წყლის ბალიშისათვის. იგი უზრუნველყოფს დაარბილებული წყლის თანაბარ გავლას კათიონიტის ფენაში და თავიდან გვაცილებს ფილტრის გარეცხვისა და კათიონიტის გაფხვიერების დროს—რეგენერაციამდე—წყლის უკუდინებით მარცვლების გადგენას. ფილტრს უნდა ჰქონდეს მანომეტრი, წყალსაზომი და ფილტრის მომსახურებისათვის საჭირო აუცილებელი არმატურა. ფილტრი მუშაობს 1,5—2 ატმ წნევით. კათიონიტური წყალსაწმენდის მარილგამხსნელი ზედასფრული და ქვედა

კონუსური ძირით მუშაობს იმავე წნევის ქვეშ, როგორც კათიონ-ტუბური ფილტრი.

ახალი კათიონიტის საწარმოო ექსპლოატაციის დაწყებამდე საჭიროა ჩატარდეს სულფონახშირის ანალიზი და გამოცდა ლაბორატორიაში. ამავე დროს ისაზღვრება მისი ტენიანობა, ნაყარი წონა მ/ლ, მარცვალთა ზომა, გაცვლითი უნარი, Na—კათიონიტის (ტ. გრად.მ³-ში), თავისუფალი შეავას შემკველობა სულფონახშირში, გაფუფების ხარისხი წყალში დაღობისას (მოცულობით % -ში), წყლის რაოდენობა და დრო, რომელიც საჭიროა თავისუფალი შეავასაგან სულფონახშირის გარეცხვის დროს.

მიღებულ მონაცემთა საფუძველზე გაიანგარიშებენ სულფონახშირის რაოდენობას, რომელიც საჭიროა ფილტრში ჩასატვირთავად, წყლის რაოდენობას, რომელიც შეიძლება დარბილდეს საჭირო სიხისტემდე.

ფილტრში ჩატვირთულ სულფონახშირს წინასწარ რეცხავენ თავისუფალი გოგირდის შეავასაგან მანამდე, ვიდრე არ მივიღებთ ნარეცხი წყლის ისეთსავე ტუტიანობას, როგორიც აქვს წყალს საწყის მდგომარეობაში (ამისათვის ჩვეულებრივად საჭიროა სამ დღე-ღამემდე). შემდეგ სულფონახშირს უკეთებენ რეგენერაციას სუფრის მარილით და შემდეგ ხელახლა რეცხენ წყლით დადგენილ გამჭვირვალობამდე, სუფრის მარილის ნარჩენისაგან სრულ განთავისუფლებამდე და ნარეცხი წყლის სიხისტის 0,15°-მდე დაყვანამდე. შემდეგ წყალს უშვებენ დარბილებული წყლის შემკროვში. დარბილების პროცესს სწყვეტენ, როცა წყლის სიხისტე შეიღწეოს 1,15° და ფილტრს რთავენ კათიონიტის რეგენერაციისათვის.

კათიონიტურ დანადგარში სადრენაგო მოწყობილობას ამზადებენ უცხო მინარეგებისა და წვრილი ნაწილაკებისაგან ვაცრილ მარცვალთა ზომით 2-დან 5 მმ-მდე (75%) და 5-დან 10 მმ-მდე (25%) ხრეშის ან კვარცის სილისაგან. გარეცხილ და გაპშრალ ხრეშს, რომელიც განაწილებულია ფრაქციების სიმსხოთი, აღნიშნულ პროცენტულ შემადგენლობით გულდასმით ურევენ ერთმანეთში. ამისათვის იღებენ 5 ნაწილ ხრეშს (მოცულობით) და ერთი მოცულობის წყალს, კვლავ გულდასმით ურევენ და ხელახლა უმატებენ წყალს. ასე აგრძელებენ მანამ, ვიდრე არ მიიღებენ ნახევრად ნედლ ხრეშის მარცვლების კარგ შეკრულ მასას. წყლის ხარჯი ამ დროს არ აღემატება ხრეშის მოცულობის 12—15%-ს.

დაზზადებულ ნახევრად ნედლ მასას ათავსებენ სპეციალურად

დამზადებულ ჩონჩხში, რომელიც მზადდება ფილტრის შიგა
მეტრის ზომის შესაბამისად, ისე რომ, ფილტრის კორპუსსა და
სადრენაეო მოწყობილობას შორის დარჩეს 5 მმ ღრეჩო წარმოადგენს
ზე. ჩონჩხი წარმოადგენს ცილინდრს, რომელიც შედგება დახვრე-
ტილი ძირის, ორცხავეიან რკალისა და ფერსოს:გან. ქვედა ხვრე-
ლებიანი ფუძე მზადდება 5 მმ ფურცლოვანი რკინისაგან. ნახვრე-
ტების დიამეტრი 7 მმ ია, მათ შორის ბიჯდ.კი უდრის 20 მმ,
რომელიც ფუძეზე მიდუღებულია ზოლური რკინის (50×30 მმ)
კიდეთი და ზოლური რკინის წიბოვებით (5×25 მმ), ზოლური წი-
ბოვები და კიდევები განაწილებულია ფუძეზე ყოველ 250 მმ დამო-
რებით და მიდუღებულია მის კიდეზე.

ნახვრეტებიან ძირზე ყრიან დრენაეის მასას, ასწორებენ და
მსუბუქად სტკეპნიან ხის ფიკრით, ისე რომ, დრენაეის ზედაპირა
იყოს ზუსტად პორიზონტალური.

დრენაეის მასას ზემოდან ადებენ 5 მმ-იან ცხაურ რკალს,
რომელიც დამზადებულია 100 მმ დიამეტრის მქონე ნახვრეტებიან
რკინის მავთულით, შემდეგ ადებენ ზოლურ რკინის ფერსოს ზო-
მით 5×70 მმ, რომელსაც აქვს სამი ყური, და ხელახლა აყრიან
დრენაეის მასას 50 მმ სიმაღლით, ასწორებენ და ტკეპნიან ხის
ფიკრით (მასის ზედაპირი უნდა იყოს ზუსტად პორიზონტალური).
ამის შემდეგ დრენაეის მასაზე დებენ 50 მილიმეტრიან რკინის მავ-
თულის ცხაურ რკალს 50 მმ დიამეტრის მქონე ნახვრეტებით.
რკალის ზემოთ აყრიან დრენაეის მასას 15 მმ სიმაღლეზე, ტკეპნი-
ან და ასწორებენ ზუსტად პორიზონტალურად.

ერთი დღე-ღამის შემდეგ, როცა დრენაეის მასა გამაგრდება,
მას ასველებენ დღე-ღამეში 4-ჯერ და აყოვნებენ 7 დღე-ღამეს.

აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ფილტრს ამოწმებენ
წყლის გატარებით ზემოდან ქვემოთ და პირიქით. წყალი თავისუ-
ფლად და თანაბრად უნდა გადიოდეს დრენაეის მთელ ზედაპირ-
ზე. შემდეგ მხა დრენაეის ჩაუშვებენ ფილტრში, სინჯავენ პორი-
ზონტალობაზე, ფილტრის კორპუსისა და სადრენაეო მოწყობილო-
ბას შორის დარჩენილ ღრეჩოს გულდასამით ტენიან თეთრი ბაშბას
ფენით და ზემოდან სალტის მსგავსად ამოლესავენ ცემენტით სისქით
10 მმ, სიმაღლით კი—5 მმ.

სამუშაოდ მომზადებულ და გარეცხილ დრენაეზე თანაბარი
ფენით აყრიან საჭირო რაოდენობის სულფონაზშირს და შემდეგ
რეცხავენ.

წყლის ქლორირებას ბიოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ბუნების მიზნით აწარმოებენ სილის ფილტრებში ფილტრაციის შემდეგ. ქლორირებისადვის ჩვეულებრივად იყენებენ ქლორიანი კირის წყლიან ხსნარს.

ქლორიანი კირი უნდა ინახებოდეს კარგად დახურულ ხის კასრებში, მშრალ, გრილ, მზისა და შუქისაგან დაცული კარგი ვენტილაციის მქონე სათავსოში. აქტიური ქლორის შემცველობა ისინჯება ლაბორატორიის მიერ არანაკლებ თვეში ერთჯერ.

ქლორირების დროს აუცილებელია შემდეგი პირობების დაცვა:

წყალი, რომლის ქლორირებასაც ვახდენთ, უნდა იყოს სრულიად გამჟღავნებელი, სიმღვრივისა და ნალექის გარეშე;

ქლორის დოზა, რომელიც დადგენილია სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის ორგანოების მიერ წყლის ქლორმშთანთქმელობითა და 1 მლ წყალში მიკრობების საერთო რაოდენობის გათვალისწინებით, უნდა იყოს 0,3-დან 2 მგ-მდე 1 ლიტრზე;

ქლორისა და წყლის კონტაქტის (შეხების) ხანგრძლიობაა არანაკლებ 1 საათი. ქლორის დოზის შემკირებით კონტაქტის პერიოდი შეიძლება გაიზარდოს 2 საათამდე, ქლორის დოზის ზრდის ხარჯზე კი ის შეიძლება შემცირდეს 30 წუთამდე;

ჩამოსხმაზე მიმდინარე წყალში ნარჩენი აქტიური ქლორის რაოდენობა უნდა გაისინჯოს ლაბორატორიის მიერ; თანახმად 2874—54 სახ. სტანდარტისა, ნამეტო ქლორი უნდა იყოს არანაკლებ 0,3 მგ და არაუმეტეს 0,5 მგ-სა 1 ლიტრში.

ქლორირებისათვის საჭიროა რეზერვუარი წყლისა და ქლორიანი კირის ხსნარის შესარევად, ავზი ქლორიანი კირის ხსნარის დასამზადებლად, მილსადენი ქლორიან-კირიანი, ხსნარის მისაწოდებლად და მილსადენი წყლის გადასაცემად წარმოებაში ქლორირების შემდეგ.

ქლორირების პროცესი შედგება 2 ოპერაციისაგან:

ქლორიანი კირის ხსნარის მომზადება და მისი დამატება წყლის საერთო მასაზე, მათი შერევა და დაყოვნება დასაწყნარებლად დადგენილ პერიოდში (კონტაქტი). ქლორირების შემდეგ აკონტროლებენ ნარჩენი ქლორის რაოდენობას.

წყლის სატურაცია

წყლის დაგაზიანება მდგომარეობს მის წინასწარ გაცვევებას და ნახშირმჟავა გაზით გაჯერებაში. გაჯერება წარმოებს ტურატორებში წნევის ქვეშ.

სასმელის გაზით გაჯერებაზე დამოკიდებულია მისი გენოვებითი ხარისხი, გამაგრებელი თვისება და მდგრადობა. ნახშირმჟავა გაზით დიდი გაჯერება უზრუნველყოფს სასმელის გემოსა და არომატის ხანგრძლივ შენარჩუნებას და იცავს მას გაფუჭებისაგან.

წყლის გაცივება

ნახშირმჟავას ხსნადობა იზრდება წყლის ტემპერატურის შემცირებით. ნახშირმჟავა გაზით უკეთ გაჯერების მიზნით სატურაციაზე მიმავალი წყალი წინასწარ უნდა გაცივდეს. წყლის ტემპერატურა ქარხნებში, რომელთაც აქვთ ამიაკის მაკივარ-დანადგარები, არ უნდა აღემატებოდეს 4° -ს; მარტივი ყინულმარილიანი ან ყინულის დანადგარების მქონე ქარხნებში — 6° .

წყლის გათბობის თავიდან აცილების მიზნით მანძილი მაცივრიდან სატურატორამდე უნდა იყოს უმოკლესი. ცივი წყლის შემგროვება და მილსადენებს უნდა გაუკეთდეს იზოლაცია.

წყლის გაჯერება ნახშირმჟავათი

წყალში ნახშირმჟავას ყველაზე მეტ ხსნადობას შესაძლებელია მივადწიოთ დასაგაზავი წყლის რაკ შეიძლება დაბალი ტემპერატურის დროს, სატურატორში მაღალი მუშა წნევისა და წყალში გახსნილი ჰაერის სრული გამოდევნის პირობებში.

ნახშირმჟავას წყალში ხსნადობა სხვადასხვა წნევისა და ტემპერატურის პირობებში ნაჩვენებია მომდევნო გვერდზე მოთავსებულ ცხრილში.

სატურატორების ექსპლოატაციის წესები, მუშაობისა და მომსახურების რეჟიმი შემუშავებულია ამ აპარატების ცალკეული სისტემების შესაბამისად. ქვემოთ მოტანილია სხვადასხვა სისტემის სატურატორებზე გაზიანი წყლების წარმოების ინსტრუქციები.

გაზიანი წყლების მომზადება MP-14 (ნახ. 2), ავტომატური ხაზის ИП-10 სატურატორებზე. სანამ



წყლის ტემპერატურა °C	CO ₂ -ის შემცველობა %-ით	წნევა სატურატორში, ატმ						
		0	0,5	1,0	1,5	2,0	3,0	4,0
		3	4	5	6	7	8	9
0	წონიანი	0,33	0,51	0,68	0,82	1,01	1,36	1,68
	მოცულობითი	1,7	2,6	3,5	4,2	5,2	7,0	8,6
4,0	წონიანი	0,28	0,39	0,53	0,70	0,84	1,15	1,42
	მოცულობითი	1,5	2,0	3,0	3,6	4,4	5,9	7,3
7,0	წონიანი	0,26	0,35	0,53	0,64	0,78	1,05	1,29
	მოცულობითი	1,3	1,8	2,7	3,3	4,0	5,4	6,6
10,0	წონიანი	0,23	0,33	0,49	0,56	0,70	0,95	1,17
	მოცულობითი	1,2	1,7	2,5	2,9	3,6	4,9	6,0
15,0	წონიანი	0,20	0,27	0,41	0,49	0,58	0,60	0,97
	მოცულობითი	1,0	1,4	2,1	2,5	3,0	4,1	5,0
21,0	წონიანი	0,17	0,23	0,33	0,41	0,49	0,68	0,82
	მოცულობითი	0,8	1,2	1,7	2,1	2,5	3,5	4,2


შევხედგებოდეთ ნახშირმჟავათი წყლის გაჯერებას, საჭიროა ჩავატაროთ შემდეგი მოსჯამადებული სამუშაოები.

ვენტილი 11 დაკეტილ მდგომარეობაშია. ნახშირმჟავათი ვავსებთ სატურატორის ავზს 1, რაშიგის რგოლებიანი შემაერთებელ მილს 2, გაზიანი წყლის შემგროვს 3 და ჩამომსხმელი მანქანის საწნეო ავზს 4, ვენტილი 5 უნდა იყოს ღია მდგომარეობაში: როცა წნევა 2,5 ატმ მიაღწევს, იკეტება ვენტილი 5 და გრძელდება ნახშირმჟავას მიწოდება სატურატორში, სანამ მასში არ შეიქმნება 4 ატმ წნევა; წყლის ღია ავზი 6, საიდანაც წყალი მიეწოდება დეარატორ 8-ში (ჰაერის გამყოფი), ივსება წყლით; ჩაირთვება ტუმბო 9, რომელიც აცლის ჰაერს დეარატორიდან 7, და ტუმბო 10, რომელიც დეარერიბულ წყალს დეარატორიდან აწოდებს სატურატორში 1; იღება ვენტილი 11 ავზისა 1 და დეარატორის 7 შემაერთებელ მილზე. ტუმბოს 9 საშუალებით წყალი გაფრქვეულ მდგომარეობაში მიდის სატურატორის ავზში, ხდება მისი გაჯერება ნახშირმჟავათი და მილის 2 საშუალებით ხვდება გაზიანი წყლის შემგროვში 3. შემდეგ აღებენ ვენტის 5 და წნევათა სხვაობის მეშვეობით წყალი მიედინება ჩამომსხმელი მანქანის ავზაკში. როგორც კი ეს ავზაკი შეივსება ნახევრამდე გაზიანი წყლით, უნდა ჩაერთოს ჩამომსხმელი მანქანა.

სატურატორის დანადგარის შემდგომში შეშაობა რეგულირდება ავტომატურად ელექტრორეგულატორებით.



გაზიანი წყლის მოშადება „ინვესტის“ მის ავტომატური ჩამომსხმელი ხაზის IS-4 სატურატორზე. IS-4 ტიპის ავტომატური სატურატორი შედგება ძირითადი საყრდენის (ჩარჩო) ელექტროაღქურვილობით (ზეთის კონტაქტორი და ვერცხლისწყლის რელე), ამჩრავის, ორმაგი მოქმედების ოთხი დგუშეიანი ტუმბოს, დგუშეიან ვაკუუმ-ტუმბოს, ვაკუუმ-



ნახ. 2. განუწყვეტელი მოქმედების MΦ-14 სატურატორის სქემა: 1—სატურატორის ავზი; 2—შემაერთებელი მილი; 3—გაზიანი წყლის შემგროვი; 4—სადაწვევი ავზი; 5—ენტილი; 6—ავზი; 7, 8—დეარატორები; 9, 10—ტუმბოები; 11—ენტილი.

მის მიწის კამერის, წყლის დაქუჩყიანებისაგან პირველადი გაწმენდისათვის ფილტრის წყლის ავზისა (რომელიც გაანგარიშებულია 12 ატმ მაქსიმალურ წნევაზე) და მილოვან განმანაწილებლისაგან. ავზის შიგნით მოთავსებულია ტივტივა მოწყობილობა გაზიანა წყლის მაქსიმალურ და მინიმალურ დონეთა შესანარჩუნებლად, რომელიც მოქმედებს ვერცხლისწყლის რელეთი და ზეთიანი კონტაქტორით.

წყალსადენის წყლის გამოყენებისას საჭიროა დამატებითი ჭურჭელი ჩამკეტი ტივტივა მოწყობილობით, რათა მანქანას მივაწოდოთ წყალი წნევის გარეშე.

აპარატის დამატებაა OB-4 ტიპის ნახშირმკეფას გამოთბობი ბატარეია. ეს ხელსაწყო განკუთვნილია ბალონიდან გამოსული გაზის წნევის შესამცირებლად და ნახშირმკეფას გასათბობად, რითაც თავიდან გვაცილებს მყარ ნახშირმკეფას მიერ საცობის წარმოქმნას.

ბატარეიის შემადგენლობაში შედის ორი რედუქციული სარქველი, ელექტროშემობობი, ოთხი ჩამკეტი სარქველი, ოთხი

მიწყვანი მილაკი, რომლებიც აერთებს ბატარეას ოთხ ნახშირ-
მეფას ბალონთან, და სპილენძის მილაკი, რომლითაც ნახშირმე-
ფა მიდის სატურატორში.



ტივტივა მოწყობილობის მქონე ტურბლიდან აპარატში წყლის
მისაწოდებლად ფილტრის შემწვრე მილზე აცვამენ რეზინის შლანგს.
შემთბობ ბატარეიდან ნახშირმეფა მიედინება აპარატზე მიერ-
თებული სპილენძის მილაკით. ღილაკის დაწოლით რთავენ ელექ-
ტროდებს და მანქანა ამოქნედდება.

დგუშვანი ვაკუუმ-ტუმბო შეიწოვს პაერს ზედა მინის საკანი-
დან. როგორც კი ვაკუუმში მიადწევს 0,4 კმ/სმ², გაიღება ფილტ-
რის დახრილი ჩამკეტი სარქველი, წყალ-დაიწყებს დინებას—ფილ-
ტრის გავლით ვაკუუმის საკანში, სადაც იგი გაიფრქვევა, ვაკუუმ-
საკანიდან წყალი დაიპარხნება დგუშის ზედა ნაწილიდან ტუმბოს
მინის საკანში და გამფრქვევის საშუალებით შეერევა CO_2 -ს. ამა-
ვე მუშა ციკლით ტუმბო გაიწოვს წყალს გამფრქვევ საკანიდან.

დგუშის ქვევით გადაადგილებით გაზიანი წყალი დაიპირხნე-
ბა უკუ სარქველის კორპუსის გავლით მილსადენში და შემდეგ შე-
მგროვ ავზში მფრქვევანას გავლით, სადაც იგი კვლავ გაჯერდება
 CO_2 -ით. წყალი შედის, სანამ შემგროვი ავზის ტივტივა გამომრ-
თველი მოწყობილობა არ გამოერთავს ელექტრო წრედს და მანქა-
ნა არ გაჩერდება. დონის მინიმალურ საზღვრამდე შემცირებისას
მანქანა კვლავ ავტომატურად ჩაირთვება.

გაზიანი წყალი შემგროვი რეზერვუარიდან გამწვები სარქვე-
ლებით, რომლებიც მოთავსებულია ძირით ნაწილში, გადადის ჩამო-
მხსნელ მანქანაში. მუშა წნევა სატურატორში რეკომენდებულია—
5—6 ატმ.

გაზიანი წყლების მომზადება პერიოდული მოქ-
მედების სატურატორებში. სატურატორის მონტაჟისა და
ექსპლოატაციისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს:

- სატურატორის საძირკველზე მყარი დამაგრება;
- სარეველის ღერძის პერიმეტრალობა;

შეერთებთა მჭიდრო დაკავშირება, წყლისა და ნახშირმეფას
დანაქარგების თავიდან აცილების მიზნით;

სარეველის ღერძის საანგარიშო ბრუნვითა რიცხვი უნდა
აღემატებოდეს 40 ბრუნვას წუთში;

სატურატორის მუშაობა არაუმეტეს 4 ატმ წნევის ქვეშ,

სატურატორის კარგი გარეცხვა მისი გაშვების წინ.



სამუშაოდ გამზადებულ სატურატორს ავსებენ წყლით, როცა საპაერო ონკანი ღია მდგომარეობაშია; წყლის ტემპერატურა უნდა იყოს 4-დან 6°-მდე.

როგორც კი წყალი აღმოჩნდება საპაერო ონკანში, კეტავენ წყლისა და საპაერო ონკანებს და რთავენ სარეველას. ამის შემდეგ აღებენ ნახშირმგავას ბალონზე ონკანს და სარეველის განუწყვეტელი მუშაობისას ზრდიან წნევას სატურატორში 2,0 ატმ-მდე (მანომეტრით). აღნიშნული წნევის დამყარების შემდეგ აწარმოებენ პირველ პასაჟს. რისთვისაც კეტავენ ნახშირმგავას ბალონზე ონკანს, აჩერებენ სარეველას და აღებენ სატურატორზე ჰაერის ონკანს; ამ დროს გამოიყოფა წყალში გახსნილი ჰაერის ნაწილი, რომელსაც გამოაცივებს ნახშირმგავა. ხელახლა კეტავენ ჰაერის ონკანს, მოძრაობაში მოყავთ სარეველა და აღებენ ნახშირმგავას ბალონის ონკანს, სწევენ წნევას სატურატორში 4 ატმ-მდე. ამის შემდეგ აწარმოებენ მეორე პასაჟს. ამრიგად, სატურატორიდან გამოიდევენება წყლის მიერ შეტანილი მთელი ჰაერი.

ორი პასაჟის შემდეგ, კეტავენ რა საპაერო ონკანს და მოყავთ მოძრაობაში სარეველა, აღებენ ნახშირმგავას ბალონზე ონკანს და აწარმოებენ სატურაციას არა უმეტეს 4 ატმ. წნევის პირობებში.

როდესაც სარეველა გამორთულია და ბალონზე ვენტილი დაკეტილ მდგომარეობაშია, მანომეტრის ისრის შერყობის შეწყვეტა მოასწავებს სატურაციის დამთავრებას, რაც მოწმობს წყლის ნახშირმგავათი გაჯერებას მოცემული წნევისა და ტემპერატურის პირობებში. სატურაციის პირობების დაცვისას (წყლის ტემპერატურა 4-6°, ორი პასაჟი და სატურატორში ოთხი ატმ წნევა) გაზიანი წყალი, რომელიც ჩამოსხმაზე მიდის, უნდა შეიცავდეს 0,7%-მდე ნახშირმგავას.

გაზიანი წყლის ხარჯვასთან ერთად სატურატორში წნევა ეცემა, რაც იწვევს ნახშირმგავას ხსნადობის შემცირებას წყალში. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად საჭიროა პერიოდულად ჩართოთ სარეველა და დაეუშაბოთ სატურატორში ნახშირმგავა ბალონიდან, ისე რომ ჩამოსხმის მთელი პროცესის განმავლობაში

სატურატორში წნევა იყოს 3 ატმ, წყლისაგან სატურატორის სრულ განთავისუფლებამდე.




გაზიანი წყლისაგან განთავისუფლებულ სატურატორს კვლავ ავსებენ ცივი წყლით და მთელ ციკლს იმეორებენ იმავე თანმიმდევრობით.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ საპაერო ონკანი უნდა იყოს ღია.

ვინაიდან მუშაობის დროს ადგილი აქვს ნახშირმჟავას დიდ დანაკარგს, ამიტომ ორი სატურატორის ერთდროულად მუშაობის დროს ინსტრუქციით რეკომენდებულია მოკულობითი სატურატორებში გამოვიყენოთ ნარჩენი ნახშირმჟავა.

ნარჩენი ნახშირმჟავას გამოყენება პერიოდულად მოქმედ სატურატორებში. ნახ. 3-ზე მოცემული სქემა ითვალისწინებს ორ ერთმანეთთან შენაცვლებულად მოქმედ დაწყვილებულ სატურატორებს. თუ სატურატორი 1 შევსებულია ცივი წყლით, ხოლო სატურატორი 2 განთავისუფლებულია წყლისაგან და შევსებულია ნახშირმჟავით, მაშინ ამ ნარჩენი ნახშირმჟავას გამოყენებისათვის აუცილებელია ჩავართოთ სარეველა 1, გავხსნათ ვენტილები 3 და 4. დანარჩენი ვენტილები უნდა იყოს დაკეტილი. ამ დროს სატურატორ 2-დან ნახშირმჟავა გადადის სატურატორ 1-ში და შთაინთქმება, როცა სატურატორ 2-დან სატურატორ 1-ში ნახშირმჟავას გადასვლა შეწყდება; ამას გვიჩვენებს მანომეტრზე წნევის დაცემის შეწყვეტა. ხოლო თუ სატურატორს 2 კიდევ დარჩა ნახშირმჟავა, 3 და 4 ვენტილები ღია მდგომარეობის პირობებში აღებენ ონკანს 5 და ავსებენ სატურატორს 2 წყლით, რაც შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ წყლის წნევა წყალსადენში მეტი იქნება სატურატორში ნახშირმჟავას წნევაზე.



ნახ. 3. პერიოდული მოქმედების სატურატორების შერთვის სქემა: 1, 2—სატურატორები; 3, 4, 6, 7—ვენტილები; 5—ონკანი.

ამ შემთხვევაში ნახშირმყავა სატურატორ 2-დან გაიყვანა სატურატ 1-საკენ, სადაც მას შთანთქავს წყალი. თუ საჭიროა სატურატორ 1-დან ნარჩენი ნახშირმყავა გადავიტანოთ სატურატორ 2-ში, უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც აღწერილია ზემოთ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აღებენ ვენტილ 6-ს (და არა 5-ს).

გამოიდევენბა რა ნახშირმყავა ერთი სატურატორიდან მეორეში, კეტავენ ვენტილს სატურატორზე, რომლიდანაც გამოვდევნეთ ნახშირმყავა, და აღებენ ვენტილ 7 ნახშირმყავას ბალონზე, აგრძელებენ სატურაციას საჭირო ზღვრამდე.

თეთრი შაქრის სიროფის მომზადება

თეთრი შაქრის სიროფი ნახევრად ფაბრიკატია სასმელების კუბაყებისა და სასაქონლო სიროფების დასამზადებლად. სიროფის ხარშვა წარმოებს მომინანქრებულ, სპილენძის გაპრიალბებულ ან მოკალულ ქვაბებში უპირატესად ორთქლით, ცალკეულ შემთხვევებში კი ცეცხლით გახურებით. ქვაბებს, რომლებიც ორთქლით ხურდება, უნდა ჰქონდეს იზოლაცია. სიროფს არევა ხარშვის პროცესში ხდება შექანიკური სარეველებით, ხოლო მცირე მოცულობის ქვაბებში — ხელის სარეველებით.

გამოყოფილი ორთქლის იძულებით გაწოვისათვის აყენებენ გვერდით გამწოვებს ან ქოლგებს.

სიროფის ხარშვის გაანგარიშება. თეთრი შაქრის სიროფს ამზადებენ 60—65 სიმკვრივით შაქარმზომით. დასამზადებელი სიროფის სიმკვრივიდან გამომდინარე, აწარმოებენ ერთ ხარშვაზე შაქრისა და წყლის რაოდენობათა გაანგარიშებებს.

მაგალითი:

საჭიროა მომზადდეს 65% სიმკვრივის 100 ლ სიროფი. 1-ლი ცხრილის მიხედვით (იხ. დანართი 1) ეპოულობბო, რომ 65% სიმკვრივის სიროფის ხგ. წონა $\left(\frac{20}{4}\right)$ არის 1,3163·100. ლ სიროფი შეადგენს 131,63 კგ და შეიცავს:

$$\text{შაქარს } \frac{131,63 \cdot 65}{100} = 85,6 \text{ კგ;}$$

$$\text{წყალს } \frac{131,63 \cdot 35}{100} = 46,07 \text{ კგ.}$$

სიროფის მოსახარშად უნდა ავიღოთ შაქარი, სასაქონლო შაქრის ფხენილში ტენის შემცველობის ვათვალისწინებით (მაგალითად ლითისათვის ავიღოთ 0,15%):

$$85,6 + \frac{(85,6 \cdot 0,15)}{100} = 85,73 \text{ კგ.}$$

წყალი უნდა ავიღოთ მისი დანაკარგის ვათვალისწინებით ხარშვის დროს აორთქლებაზე (ანგარიშისათვის ვიღებთ 10%):

$$46,07 + \frac{46,07 \cdot 10}{100} = 50,1 \text{ კგ} = 50 \text{ ლ.}$$

[თეთრი სიროფის ხარშვისას შეიძლება გამოვიყენოთ: სასმელების საწარმოო წუნი, ნარეცი წყლები, ქაფი, ტომრებში შაქრის ნარჩენი იმ პირობით, თუ იგი არ გააუარესებს სიროფის ხარისხს. ამ შემთხვევაში შაქრისა და წყლის ხარჯს შესაბამისად ამცირებენ.]
მაგალითი.

ხარშვაზე გამოყენებულა:

ა) 8% სიმკვრივის 20 ლ ნარეცი წყლები. 1-ლი ცხრილიდან ვპოულობთ, რომ აღნიშნულ სიმკვრივისას 1 ლ შეიცავს 82,39 გ შაქარს, მაშასადამე, 20 ლ შეიცავს $82,39 \cdot 20 = 1647 \text{ გ} = 1,65 \text{ კგ}$;

ბ) 10 ლ წუნდებული სასმელი სიმკვრივით 9,1%, 1-ლი ცხრილიდან ვპოულობთ, 1 ლ შეიცავს 94,13 გ შაქარს, მაშასადამე, 10 ლიტრში ჩქნება $94,13 \cdot 10 = 941,3 \text{ გ} = 0,94 \text{ კგ}$ შაქარი.

ამგვარად, ხარშვაზე გამოიყენება 30 ლ სითხე შაქრის საერთო შემცველობით $1,65 + 0,94 = 2,59 \text{ კგ}$.

ამ შემთხვევაში ნარჩენებია და წუნდებული სასმელის გარდა 10 ლ სიროფის მოსახარშად საჭიროა შევიტანოთ: შაქარი $85,73 - 2,59 = 83,14 \text{ კგ}$; წყალი $50 - 30 = 20 \text{ ლ}$.

ს ი რ ო ფ ის ხ ა რ შ ვ ის პ რ ო ც ე ს ი. [განგარიშებული რაოდენობის წყალს ასხავენ სიროფის სახარშ ქვაბში და აცხელებენ დუღილამდე: გაცხელების შეუწყვეტლად არევით ქვაბში ყრიან საჭირო რაოდენობის (წონით) შაქარს (ქვაბებში, რომელთაც არა აქვთ სარეველა, შაქარი შეაქეთ, როცა წყლის ტემპერატურა მიაღწევს $40-50^{\circ}$). შაქრის სრული გახსნის შემდეგ ხსნარს აკლიან ადუღებას, ქაფქირით ზედაპირიდან ხდიან ქაფს. ქაფს მოაცილებენ და შაქ-

რის ხსნარს ადუღებენ არანაკლებ 30 წუთს, რის შემდეგ შაქრის ხსნარი მზადაა შემდგომი დამუშავებისათვის.

საქართველოს
სსრკ-ის
საბუნების
მეცნიერებათა
აქადემიის
საქონლის
სამსახური

ინვერტული თეთრი შაქრის სიროფის დამზადება

ინვერტული თეთრი შაქრის სიროფი წარმოადგენს ნახევარ-ფაბრიკატს სასმელებისა და სასაქონლო სიროფების კუპაების დასამზადებლად.

სიროფების ხარშვა წარმოებს ემალიზებულ და მოკალულ სპილენძის ქვაბებში, ორთქლით ან ცალკე შემთხვევებში—ცეცხლით გახურებით. ორთქლით სახარშ ქვაბებს უნდა ჰქონდეს თბოიზოლაცია.

ხარშვის პროცესში სიროფის არევა ხდება მექანიკური სარეველებით, მცირე მოცულობის ქვაბებში კი ხელის სარეველებით. გამოყოფილი ორთქლის იძულებითი გაწოვის მიზნით ქვაბებს უკეთებენ ქოლგებს.

სიროფის ხარშვა, წინასწარ გაანგარიშებული რაოდენობის წყალს ასხამენ ქვაბებში და აცხელებენ ადუღებამდე. გაცხელების შეუწყვეტლად ყრიან საჭირო რაოდენობის შაქარს (წონით).

თუ ქვაბებს სარეველა არა აქვს, მაშინ შაქარი შეაქვთ, როცა წყლის ტემპერატურაა 40—45°.

შაქრის სრული გახსნის შემდეგ აცხელებენ ადუღებამდე, ზედაპირზე წარმოქმნილ ქაფს აცილებენ ქაფქირით. ქაფის მოცილების შემდეგ შაქრის ხსნარს ურევენ და ადუღებენ არანაკლებ 30 წუთის განმავლობაში.

ადუღების შემდეგ 60—70% სიმკვრივის შაქრის სიროფს ტუმბოს საშუალებით გადაქაჩავენ მაციერისა და დამჭერის გავლით, სადაც იგი ცივდება (შემგროვში) 70°-მდე; მასში გათვალისწინებულია საქაროზის ინვერსია, რაც წარმოებს შემდეგნაირად: 70°-ზე გაცხელებულ სიროფში შეაქვთ 750 გ ლიმონის სიმკვლე 100 კგ შაქარზე და აყოვნებენ ამ ტემპერატურაზე 2 საათის განმავლობაში. შემდეგ ინვერსირებულ შაქრის სიროფს აცივებენ 10—25°-მდე და გადააქვთ დახურულ საზომ შემგროვებში. სიროფებს აცივებენ მარილხსნარით ან ცივი წყლით.

მიღებულ სიროფში ინვერსირებული შაქრის რაოდენობა 50%-ს არ უნდა აღემატებოდეს.



ხარშვისას მოხსნილ ქაფს და ტომრებში ნარჩენ შაქარს ათავსებენ ცალკე კურკელში, ხსნიან წყალში შეფარდებით 1 : 3 და გულდასმით ფილტრავენ გამჟღავნებლობამდე, რის შემდეგ ფილტრატს ხმარობენ მომდევნო ხარშვისას.

სიროფის ხარშვისას განსაზღვრავენ მიღებული შაქრის სინესტეს (მიღებული შაქრის მთელი პარტიიდან), შაქარმზომით ადგენენ იმ შაქრის შემცველი სითხეების სიმკვრივეს, რომლებიც გამოიყენება სიროფის ხარშვაზე, აზუსტებენ მზა სიროფის სიმკვრივეს. განსაზღვრავენ აგრეთვე ინვერტული შაქრის შემადგენლობას და შეავიანობას.

ნახევრად ცხელი მეთოდით ღვინისა და წველების გამოყენებით კუპაჟირებული სიროფების მომზადების ტექნოლოგიური ინსტრუქცია

ნახევრად ცხელი მეთოდი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კუპაჟირებული სიროფების შემადგენლობაში დიდი რაოდენობითაა ღვინო და წვენები.

სიროფის სახარშ კვამში შეაქვთ რეცეპტით გათვალისწინებული წვენებისა და ღვინოს რაოდენობის 50%, აცხელებენ 50°-ზე და მუდმივი არევისას ნაწილ-ნაწილ ყრიან მთელი რაოდენობის შაქარს, რომელიც საჭიროა კუპაჟირებული სიროფის დასამზადებლად.

შაქრის სრული გახსნის შემდეგ სიროფს ადუღებენ 30 წუთს, აცილებენ ქაფს.

სიროფს ფილტრავენ ცხელ მდგომარეობაში და გაცივების შემდეგ უმატებენ დანარჩენი 50% ხილ-კენკროვანთა წვენებსა და ღვინოს, აგრეთვე კუპაჟის სხვა დანარჩენ შემადგენელ კომპონენტებს (იმავე თანამდევრობის დაცვით, როგორც ცივი მეთოდის დროს), კერძოდ კი სიმკვარის ხსნარს, საღებავების ხსნარს, ციტრუსოვანთა ნაყენებს, ნატურალურ ან სინთეზურ ესენციებს. ყველა შეტანილი კომპონენტი წინასწარ უნდა გაიფილტროს. მიღებულ კუპაჟს გულდასმით შრევენ, სინჯავენ სიმკვრივეს, შეავიანობას, ინვერტული შაქრის შემადგენლობას და ორგანოლექტიკურ მაჩვენებლებს.

ფილტრაციის შემდეგ სიროფს სიმკვრივე მიაღწევს 60—

—65%, ხარშვას სწყვეტენ. სიროფს ცხელ მდგომარეობაში ატარებენ ფილტრებში (ბადიან, ქსოვილის, ჩარჩოიან). დასაშვებია ფილტრაცია მარტივი კონსტრუქციის ფილტრებში (ტომრების). საფილტრაციო მასალად გამოიყენება ქაღალდის ან აზბესტის ფილტრმასა, თეთრი ფანელი, საშინელე მაუდი და სხვა აბრეშუმის ქსოვილი, რომელიც უნდა ინახებოდეს სუფთად. ფილტრაციის შემდეგ ფილტრს და საფილტრაციო მასალას გულდასნით რეცხავენ. ფილტრმასის დამუშავებას აწარმოებენ მასის სარეცხში.

გაცივება. გაფილტრულ სიროფს აცივებენ 10—25°-მდე და გადააქვთ წინასწარ გარეცხილ საზომ დახურულ ზემგროვებში.

სიროფის გაცივებას აწარმოებენ მარილსხნარით ან გაცივებულ წყლით საწინააღმდეგო დინების მაცივრებში ან ზემგროვებში დაყენებული ხეიარების საშუალებით.

სიროფის ხარშვისას ზემგროვილ ქაფს და ასევე ტომრების შაქრის ნარჩენს აგროვებენ ცალკე ჭურჭელში, ხსნიან წყალში 1 : 3 შეფარდებით, გულდასნით ფილტრავენ გამჭვირვალობამდე, რის შემდეგ ფილტრატს იყენებენ სიროფის მომდევნო ხარშვისას.

სიროფის ხარშვისას ამოწმებენ მიღებული შაქრის სინესტეს (მთელი სასაქონლო შაქრის პარტიის ანალიზს), შაქარმზომით საზღვრავენ შაქრის შემცველი ხსნარების სიმკვრივეს, რომელთაც იყენებენ სიროფის სახარშად, აღგენენ მზა სიროფის სიმკვრივეს და შეავიანობას.

სიროფის კუპაჟების მომზადება

სიროფის კუპაჟებს ამზადებენ დახურულ მინანქრიან, ალუმინის ან უჟანგავი ფოლადის ამრევეებში (კუპაჟიორებში).

დიდი მოცულობის კუპაჟიორებში არევას აწარმოებენ სარეველებით ან ნახშირმგავათი სპეციალური მოწყობილობის საშუალებით; მცირე მოცულობის კუპაჟიორებში დასაშვებია სიროფის არევა ხელის სარეველებით.

ნედლეულის ულუფის გაანგარიშებას ახდენს ოსტატი და შეიტანება სააქროს ტექნოლოგიურ ჟურნალში.

შაქარი შედის კუპაჟში თეთრი შაქრის სიროფის სახით, მისი საჭირო რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$x = \frac{AC \cdot 100}{B}$$

სადაც x არის თეთრი სიროფის რაოდენობა, ლ-ში;

A —შაქრის ულუფის ნორმა (მშრალი ნივთიერების ვით) 1 მლ სასმელზე, კგ-ში;

C —დასამზადებელი სასმელის რაოდენობა, გლ-ში;

B —1 ლ სიროფში შაქრის რაოდენობა, გ-ში.

ხილკენკროვანთა წვენებს უმატებენ კუპაცს წინასწარ გაფილტრული სახით.

ხილკენკროვანთა ექსტრაქტებს ანზავენ წყლით 1 : 5 შეფარდებით და ორი-სამი საათის დაყოვნებისა და ფილტრაციის შემდეგ უმატებენ კუპაცს. წვენებისა და ექსტრაქტების რაოდენობა გაიანგარიშება მათი ექსტრაქტულობის გათვალისწინებით.

ხილკენკროვანთა წვენებისა და ექსტრაქტების ხარჯის ანგარიში

მაგალითი.

რეცეპტურას მიხედვით 100 დკლ სასმელში უნდა შეეიტანოთ 120 ლ სტანდარტული ალუბლის წვენი.

100 მლ ასეთი წვენი შეიცავს 10,9 გ მშრალ ნივთიერებას (რტპ 612-59) ან სსტპ—მოტანილი ცხრილის მიხედვით გადაყვანით 100 მლ-ში—11,4 გ. მაშასადამე, მთელ შესატან წვენში მშრალი ნივთიერება იქნება:

$$100 - 11,4 x = \frac{11,4 \cdot 120000}{100} = 13,68 \text{ კგ მშრალი ნივთიერება.}$$

$$120000 - x;$$

თუ წარმოებაში მიიღება უფრო მეტი ან ნაკლები მშრალი ნივთიერების შემცველი ალუბლია დასპარტული წვენი, მაშინ ახდენენ შეტანილ დასპირტული წვენის ლიტრების რაოდენობის გადანგარიშებას.

მაგალითი.

ალუბლის სასმელის დასამზადებლად იხარება წვენი, რომლის ექსტრაქტულობაა 9% ან მშრალი ნივთიერების შემცველობა 100 მლ-ში—9,306 გ. იმისათვის, რომ უზრუნველყოთ 13,68 კგ მშრალი ნივთიერების მქონე წვენის შეტანა 9,0% ექსტრაქტულობით, საჭირო იქნება:

0,1 ლ წვენი—9,306 გ ან 0,009306 კგ

$x - 13,68$ კგ

$$x = \frac{13,68 \cdot 0,1}{0,009306} = 147,0 \text{ ლ}$$

ე. ი. 100 დკლ სასმელზე 9,0% ექსტრაქტულობის წვენი უნდა ავილოთ არა 120 ლ, არამედ 147 ლ.

მაგალითი.

თუ ქარხანაში სასმელების დასამზადებლად დასპირტული წვენი შეიკვალა ექსტრაქტით, მაშინ ექსტრაქტის მიუთ შეტანილი მშრალი ნივთიერების რაოდენობა ტოლი უნდა იყოს დასპირტული წვენის მიერ შეტანილი მშრალი ნივთიერებების რეცეპტით.

რეცეპტურის თანახმად, სტანდარტული ალუბლის წვენის მიერ შეტანილი მშრალი ნივთიერების რაოდენობა უდრის 13,68 კგ ექსტრაქტს, რომელიც წარმოებაში მიიღება, აქვს 1,274 ხე. წონა. 1-ლი ცხრილის მიხედვით განისაზღვრება მშრალი ნივთიერების რაოდენობა 1 ლ-ში—737,55 გ (0,73755 კგ). მაშასადამე, ასეთი ექსტრაქტი უნდა ავილოთ:

$$\frac{13,68 \cdot 1}{0,73755} = 18,5 \text{ ლ ან წონაზე გადაყვანით}$$

$$18,5 \cdot 1,274 = 23,6 \text{ კგ ექსტრაქტი.}$$

ლიმონისა და ღვინის ქვის კრისტალური მჟავები ლიმონმჟავა კუპაჟში შეაქვთ 50 პროცენტიანი წყლიანი ხსნარის სახით, რძემჟავა კი—უშუალოდ თხევადი სახით. ერთი მჟავის გორეთი შეცვლისას ხელმძღვანელობენ შემდეგი შეფარდებით: 1 გ ლიმონის მჟავა ექვივალენტურია 1,2 გ ღვინის ქვისა და 1,4 გ რძემჟავასი (100 პროცენტიანის).

სასმელების მჟავიანობა შედგება არა მარტო კუპაჟში შეტანილი მჟავებისაგან, არამედ ყველა ხილვენკროვანა ნახევარტაბრიკატებისა და ინვერტული სიროფის მჟავებისაგან. ამავდროს შეტანილი უნდა იქნეს შესწორება იმ რაოდენობის სიმჟავით, რაც იხარჯება სასმელის გაზიანი წყლის მოსაცილებელი სიხისტის ნექტრალიზაციისათვის.

მჟავის რაოდენობა, რომელიც იხარჯება სიხისტის მარილების



წყლის მოს- კონცენტრაცია სიხისტის გრაფიკში	სიხისტის მარილების ნეიტრალიზაციაზე დახარჯული შეფას რაოდენობა გ-ში, 100 ლელ წყალზე		
	ლიმონის	ღვინის ქვ-ს	რძის
1	2	3	4
1	22,8	26,7	32,1
4	91,2	106,4	127,7
5	114,0	133,5	160,6
6	136,8	160,0	192,0
7	169,6	187,0	224,0
8	182,4	213,0	256,0
9	205,2	240,0	286,0
10	228,0	267,0	321,0
11	258,0	294,0	353,0
11	273,6	321,0	395,0
13	286,4	348,0	417,0
14	319,2	375,0	450,0
17	387,6	454,0	545,0
20	456,0	535,0	642,0
30	684,0	802,0	963,0
40	912,0	1064,0	1277,0
60	1368,0	1600,0	1922,0

სიროჟის კუბაჟში შეტანილი შეფას რაოდენობის გაანგარი-
შება 100 ლელ სასმელზე წარმოებს ფორმულით:

$$x = (M - A) + C,$$

სადაც x არის შეფას რაოდენობა, რომელიც უნდა შეეიტანოს
სიროჟის კუბაჟში, გ-ში;

M —შეფას რაოდენობა, რომელიც საჭიროა მზა სასმელის
შეფაინობის მაჩვენებლის მისაღებად, გ-ში;

A —შეფას რაოდენობა, რომელიც შეტანილია წვენით,
ექსტრაქტით, ინვერტული სიროჟით და ღვინით,
გ-ში;

C —შეფას რაოდენობა, რომელიც იხარჯება წყლის სიხის-
ტის მარილების გასაწეიტრალეზებად, გ-ში;

ეს დარბილება ხდება პერმუტიტით, მაშინ სიდიდე განისა-

ზღვრება გატიტვრით და გაიანგარიშება დარბილებული სიხისტით.



შენიშვნა: წყლის სიხისტის მარილების ნეიტრალზაციისთვის დაბარჯულ მკვას რაოდენობის გაანგარიშების დროს მზღველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ წყლის რაოდენობა Y , რომელიც შეტანილია სასმელში, ტოლი იქნება:

$$Y = Y_1 - (Y_2 + Y_3),$$

სადაც Y არის სასმელში შეტანილი წყლის რაოდენობა, ლ-ში;
 Y_1 —სასმელის საერთო მოცულობა, ლ-ში;
 Y_2 —წვეენის საერთო მოცულობა სასმელში, ლ-ში;
 Y_3 —შაქრის მიერ დაკავებული მოცულობა ლ-ში, რომელიც იანგარიშება შემდეგნაირად:

$$Y_3 = \frac{\text{შაქრის წონა}}{\text{შაქრის ხგ. წონა (1,56)}}$$

მაგალითი.

დასამზადებელია 100 დკლ უმაღლესი ხარისხის ალუბლის სასმელი (ლიმონის მკვასს გამოყენებით).

სასმელის მკვავიანობა—2,0 მლ N ტუტის ხსნარზე 100 დკლ სასმელზე. შაქარი მშრალი ნივთიერების მიხედვით იხარჯება 99,85 კგ;

ა) სასმელის მკვავიანობის შესაქმნელად საჭირო ლიმონის მკვასს რაოდენობის გაანგარიშება M ; 2 მლ ტუტის ნორმალურ ხსნარს 100 მლ სასმელზე შეესაბამება:

$2 \times 0,064 = 0,128$ გ ლიმონის მკვა, სადაც 0,064 არის გ ლიმონის მკვასს რაოდენობა, რომელიც 1 მლ ტუტის ნორმალური ხსნარის ექვივალენტურია.

მაშასადამე, 0,1 ლ სასმელი შეიცავს 0,128 გ ლიმონის მკვასს, ხოლო 1000 ლ სასმელი შეიცავს 1280 გ ლიმონის მკვასს.

სასაქონლო მკვა საჭიროა მეტი, ვინაიდან იგი შეიცავს ტენს და კრისტალურ წყალს.

ბ) წვეენის მიერ შეტანილი მკვასს რაოდენობის A -ს გაანგარიშება; აღებული ალუბლის წვეენის მკვავიანობა ლიმონის მკვაზე გადაანგარიშებით არის 0,8%, მაშასადამე, 120,0 ლ წვეენი შეიტანს $\frac{0,8 \cdot 120,000}{100} = 960,0$ მ ლიმონის მკვასს (A);

გ) წყლის სიხისტის მარილების გასაწმენდად საჭიროა სიმყავის რაოდენობა C -ს გაანგარიშება;

წყლის სიხისტე უდრის $10^{\circ} \cdot 100$ დკლ წყლის მარილების ნეიტრალიზაციაზე, თანახმად ცხრილისა, დაიხარჯება 228 გ ლიმონის მგავა.

წყლის რაოდენობის გაანგარიშება, რომელსაც შეიცავს 100 დკლ სასმელი:

$$Y = Y_1 - (Y_2 + Y_3).$$

$$Y_1 = 100 \text{ დკლ ან } 1000 \text{ ლ,}$$

$$Y_2 = 120,0 \text{ ლ,}$$

$$Y_3 = \frac{99,85 \text{ (შაქრის წონა)}}{1,56 \text{ (შაქრის ხვ. წონა)}} = 64 \text{ ლ.}$$

$$Y = 1000 - (120 + 64) = 816 \text{ ლ.}$$

მაშასადამე, C ტოლი იქნება:

$$\frac{1000 - 228}{816 - C} \quad C = \frac{816 \cdot 228}{1000} = 186,05 \text{ გ.}$$

ლიმონის მგავას საერთო ხარჯი x სასმელზე:

$$x = (1280 - 960) + 186,05 = 506,05 \text{ გ ლიმონის მგავა მშრალ ნივთიერებაზე.}$$

სასაქონლო ლიმონის მგავა (მასში შემავალი სინესტისა და კრისტალური წყლის გათვალისწინებით) საჭიროა მეტი ოდენობით.

თუ წვენი მგავიანობა გამოხატულია ერთი სიმეავით, ხოლო სასმელის დამზადებისას შევიტანთ მეორეს, მაშინ გაანგარიშებისას წვენი მგავიანობას გამოვსახავთ იმ სიმეავით, რომელიც შეტანილია სასმელში. ღვინის ქვის მგავას ხმარებისას საჭიროა წინასწარ გადავიანგარიშოთ ხილკენკროვანთა წვენი მგავიანობა ლიმონის მგავაზე N ტუტის ხსნარის მილილიტრებში, რადგან ზენს მაგალითში ალუბლის წვენი მგავიანობაა 0,8% (ლიმონის მგავათი). მღ N ტუტის ხსნარის გადაანგარიშებით იქნება $0,8 : 0,054^1 = 12$ მღ N ტუტის ხსნარს გამოხატულს ღვინისქვის მგავათი: $12 \cdot 0,075^2 = 0,9$ გ 100 მღ წვენში.

¹ 0,64—ლიმონის მგავას რაოდენობა გრამებში, რომელიც 1 მღ ტუტის ხსნარს ექვივალენტურია.

² 0,075—ღვინის ქვის მგავას რაოდენობა გრამებში, რომელიც ექვივალენტურია 1 მღ ტუტის ხსნარისა.

საღებავები, რომლებიც იხმარება სასმელების შესატყვისად (ამარანტი, კოლერი), კუბაეში შეაქვთ წყალხსნარების სახით კოლერს ხსნიან წყალში შეფარდებით 1 : 5, ხოლო ამარანტს ხადებენ 5% წყალხსნარის სახით.

სიროფების კუბაეებს ამზადებენ ცივი, ნახევრად ცხელი და ცხელი მეთოდებით.

ცივი მეთოდი. ყველა ნახევარფაბრიკატი კუბაეორებში შეაქვთ შემდეგი თანმიმდევრობის დაცვით:

თეთრი შაქრის სიროფი;

ხილკენკროვანი წვენი ან ექსტრაქტი;

ყურძნის ღვინო;

მეფას ხსნარი;

საღებავის ხსნარი;

ცატრუაოკანთა ნაყერი და ნატურალური ან სინთეზური ესენციები.

ფილტრაციის გაადვილებისა და კუბაეის დოზის მთელ რიცხვამდე დაყვანის მიზნით კუბაეირებისას დასაშვებია წყლის დამატება, რომლის რაოდენობა განისაზღვრება მოცემულ ქარხანაში გამოყენებული ფალტრებისა და მადოზირებელი მანქანის სისტემების მიხედვით. კუბაეში შეტანილ ნახევარფაბრიკატებს გულდასმით ურევენ და ფილტრავენ. კუბაეი შეიძლება არ გაიფილტროს, თუ კუბაეორებში ჩატვირთვის წინ თითოეული კომპონენტი ცალკე გაიფილტრა. მზა კუბაეში ისინჯება სიმკვრივე, მეფიანობა და ორგანოლექტიკური მაჩვენებლები.

ციტრუსოვანთა ნაყენებზე ან ნატურალურ და სინთეზურ ესენციებზე სიროფის კუბაეებს ამზადებენ მხოლოდ ცივი მეთოდით: ხილკენკროვანთა და დესერტული სასმელებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას ქვემოთ აღწერილი სხვა მეთოდებიც.

ნახევრადცხელი მეთოდი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სიროფის კუბაეში შედის დიდი რაოდენობის ღვინო ან წვენი.

სიროფის სახარშ ქვებში შეაქვთ კუბაეისათვის საჭირო რაოდენობის 50—70% ხილკენკროვანთა წვენები ან ღვინო. ხსნარს აცხელებენ 50°-მდე და მასში ყრიან, მუდმივი არევით, ნაწილ-ნაწილ მთელი რაოდენობის შაქარს, რომელიც საჭიროა სიროფის კუბაეის დასამზადებლად. შაქრის მთლიანად გახსნის შემდეგ



ხსნარს აცხელებენ დუღილამდე, თანდათან უმატებენ მგავას და დგენილ რაოდენობას და ადუღებენ 30 წუთს, ერთდროულად ხდის ქაფს.

სიროფს ფილტრავენ ცხელ მდგომარეობაში და გაცივების შემდეგ უმატებენ დანარჩენ 30—50% ხელკენკროვანთა წვეწვებს ან ღვინოს, აგრეთვე კუპაეის სხვა შენადგენულ ნაწილებს, იმავე თანმიმდევრობით, როგორც ცივი მეთოდის დროს.

მიღებულ სიროფს კარგად ურევენ, სინჯავენ მის სიმკვრივეს, მკვანინობას და ორგანოლექტიკურ მაჩვენებლებს.

ცხელი მეთოდი, კუპაეის მომზადებისა, გამოიყენება ხილკენკროვანთა წვეწვებსა და ღვინოზე დამზადებული სასმელების მდგრადობის გასაზრდელად. ამ შემთხვევაში ხილკენკროვანთა წვეწვების მთელ რაოდენობას ასხამენ სიროფის სახარშ ქვაბში და აცხელებენ 50—60°-მდე, რის შემდეგ თანდათან უმატებენ მუდმივი არევის პირობებში მთელი რაოდენობის შაქარს, რომელიც საჭიროა კუპაეის დასამზადებლად. შაქრის სრული გახსნის შემდეგ სიროფს აცხელებენ ადუღებამდე, თანდათან უმატებენ დადგენილი რაოდენობის მგავას და ადუღებენ 30 წუთს, ამავე დროს ხდიან ქაფს.

სიროფს ფილტრავენ ცხელ მდგომარეობაში და გაცივების შემდეგ მასში უმატებენ რეცეპტურით გათვალისწინებულ ნატურალურ ან სინთეზური ესენციებისა და საღებავების წინასწარ გაფილტრულ ხსნარს.

კუპაეს გულდასმით ურევენ და სინჯავენ მის სიმკვრივეს, მკვანინობას და ორგანოლექტიკურ მაჩვენებლებს. J

საკუპაეე სიროფის დოზის გაანგარიშება ნებისმიერ შემთხვევაში მეთოდით დამზადებული სიროფის კუპაეი გადააქვთ საზომ საწინეო ავზებში ან კუპაეის საზომ შემგროვებში, საიდანაც კუპაეი გადაეცემა ჩამოსასხმელად.

შუა კუპაეის ტემპერატურა ბოთლებში დოზირების დროს არ უნდა იყოს 10—15°-ზე მეტი, რისთვისაც კუპაეს აცივებენ ისე, როგორც თეთრ სიროფს.

თითოეულ სიროფის კუპაეისათვის საამქროს ოსტატი ან ტექნოლოგი ანგარიშობს კუპაეის დოზას ერთ სასმელ ბოთლზე.

დოზირების ნორმა შეაქვთ ტექნოლოგიურ ეურნალში კუპაეის სიმკვრივის, მკვანინობისა და ორგანოლექტიკურ მაჩვენებლებთან ერთად.



$$D = \frac{B \cdot B}{A}$$

სადაც D არის სიროფის კუბაეის დოზა ბოთლზე, მლ-ში;

B —ბოთლის ნომინალური ტევადობა, მლ-ში;

B —მშრალი ნივთიერების შემადგენლობა ერთ ლიტრ მზა სასმელში, გ-ში;

A —მშრალი ნივთიერების შემადგენლობა ერთ ლიტრ სიროფის კუბაეში, გ-ში.

მაგალითი.

სიროფის კუბაეის სიმკვრივე უდრის 50% შაქარმზომით; მზა სიროფის სიმკვრივე—9,3% შაქარმზომით და ბოთლის ნომინალური ტევადობა—500 მლ.

1 ლ სიროფის კუბაეი, 50% სიმკვრივით შაქარმზომით, შეიცავს 614,78 გ მშრალ ნივთიერებას A ; 1 ლ მზა სასმელი B , 9,3% სიმკვრივით შაქარმზომით, —96,27 გ მშრალ ნივთიერებას.

კუბაეის სიროფის დოზა ტოლია:

$$D = \frac{500 \cdot 96,27}{615,78} = 78,3 \text{ მლ.}$$

იმის გამო, რომ სიროფის მადოზირებელი მანქანების რეგულირება ვერ უზრუნველყოფს დოზის სიზუსტეს შეათვდნაწილებად, დოზას გადაიანგარიშებენ მთელ ერთეულებში, 5 ან 10 ჯერადობით, რისთვისაც სიროფს უმატებენ შესაბამისი რაოდენობის გაფილტრულ წყალს.

ამრიგად, მოტანილ მაგალითში დოზა 78,3 მლ უნდა დავიყვანოთ 80 მლ-მდე კუბაეში წყლის დამატებით, 1,7 მლ თითოეულ ბოთლზე.

სიროფის კუბაეზე დამატებული წყლის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$x = \frac{1000 \cdot (D_1 - D_2)}{D}$$

სადაც x არის წყლის რაოდენობა, რომელიც საჭიროა კუბაეზე დასამატებლად, მლ-ში;



K —სიროფის კუბაეის მოცულობა, ლ-ში;
 M —1 ბოთლზე გამოთვლილი სიროფის დოზა, მლ-ში;
 M_1 —სიროფის სასურველი დოზა 1 ბოთლზე, მლ-ში.

მაგალითი.

სიროფის კუბაეის მოცულობა K ტოლია 250 ლ; სიროფის გამოთვლილი დოზა ერთ ბოთლზე M —78,3 მლ; სიროფის სასურველი დოზა 1 ბოთლზე M_1 —80 მლ.

აქედან წყლის რაოდენობა, რომელიც საჭიროა კუბაეზე დასამატებლად, შედგება:

$$x = \frac{1000 \cdot 250 (80 - 78,3)}{78,3} = 5428 \text{ მლ} \approx 5,4 \text{ ლ.}$$

წყლის დამატების შემდეგ სიროფის კუბაეი უნდა აირიოს კარგად.

მადონირებელი აპარატის ნაკლები ცვეთისა და უფრო ზუსტი შეშაობის მიზნით რეკომენდებულია ყველა სასმელისათვის დადგენილ იქნას ერთიანი სიროფის კუბაეის დოზა 0,5 ლ ტევადობის ბოთლზე. მაგალითად, ერთიან დოზას 100 მლ 0,5 ლ ბოთლზე უზრუნველყოფს სიროფის კუბაეების შემდეგი სიმკვრივე:

უმალესი ხარისხის სასმელისათვის (გ)	სიმკვრივე შექარშობით
მსხლის	} 47,6
სიტრი	
ლიმონათი	} 40,8
მანდარინის	
შტროვის 42,0
ალუბლის 45,4
ფოლის	} 43,5
ჩენდროს	
შავი მოცხარის	
ვაშლის 48,7

ჩვეულებრივი ხარისხის სასმელისათვის (მ)

ფორთხლის	} 33,7
ლიმონის	
შტროვის 34,9
ალუბლის 37,7
სინდებურ ქვინციზე 33,7



კრემ-სოდა	42,5
საზაფხულო	41,3
თეატრალური	30,1
კრემონი	
“ოსეცეაიუში“	

გაზიანი სასმელების ჩამოსხმა

დადგენილი სიმკვრივის მზა კუპაჟირებულ სიროფს განსაზღვრული დოზით ასხამენ სუფთად გარეცხილ ბოთლებში.

სიროფის ბოთლებში ჩამოსხმას აწარმოებენ ავტომატიზებული ხაზების სიროფის მადოზირებელი მანქანით ან ნახევრად-ავტომატური როტაციული სიროფის მადოზირებელი მანქანებით. ყოველ მადოზირებელ მანქანაზე სიროფისათვის დაყენებული უნდა იყოს საზომი შემგროვი, რომელიც მანქანასთან მიერთებულია მილსადინარით (ან შლანგით), სიროფის თვითდინებით მისაწოდებლად.

აუცილებელია სიროფის დოზირების სიზუსტის სისტემატური გასინჯვა.

გაზიანი წყლით ბოთლების შევსება და დახურვა ხდება ავტომატური ჩამოსხმელი და დამხუფავი მანქანებით, ნახევრად ავტომატურ სატერფელიან ჩამოსხმელ-დამხუფავი მანქანებით ან კრონენ-საცობების დამხუფავ ვაზნებიან ჩამოსხმელ-დამხუფავი მანქანებით. ბოთლებს ხუფავენ დისკოიან და დაწნებილი კორპის შუასადებიან კრონენ-საცობებით.

კრონენ-საცობების ზომები (დიამეტრი, სიმაღლე) და თუნუქის სისქე ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებს.

მიზანშეწონილია კრონენ-საცობებზე დამატებით დაწებებული ალუმინის კილიტის შუასადების ხმარება საცობის სითხისაგან იზოლირების მიზნით.

შუასადებს უნდა შეესაბამებოდეს კრონენ-საცობის ლითონის კაფსულის შიგნითა დიამეტრი.

ხმარების წინ კრონენ-საცობებს ყრიან ბადოვანი ძირის მქონე ყუთში და ცრიან ტუბყისაგან.

ბოთლის დახუფვის შემდეგ საჭიროა, სასმელის ერთგვაროვანი ნარევის მიღების მიზნით, ჩამოსხმული კუპაჟირებული სიროფი და გაზიანი წყალი აირიოს ერთმანეთში.



სასმელები ბოთლის დახუფვისა და შერევის შემდეგ გაივლიან წუნდებას—ბოთლები გულდასმით ისინჯება "შექ-ეკრანზე. ამასთან სინჯავენ გარეშე შენარევებს საცობების ნაწილაკების, მინის და სხვ. სახით; სასმელის გამჭვირვალობას (სიმღვრივის ან ოპალესცენციის უქონლობა); ბოთლის შიგა და გარე ზედაპირის სისუფთავეს; ჩამოსხმის სისრულეს.

ბოთლებს, რომლებსაც აღმოაჩნდებათ დეფექტები, იწუნებენ, აღრიცხავენ და აბრუნებენ, როგორც შიგა საქარხნო სასმელების წუნს, შესაბამისად გადასამუშავებლად.

ეტიკეტის დაკვრა და პროდუქციის გადაცემა ხაწყობზე

სასმელის თითოეულ ბოთლზე აკრავენ დამტკიცებულ ნიმუშას ეტიკეტს მოკმედი სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად.

ეტიკეტს დაკვრა წარმოებს ავტომატური მანქანებით ან ხელით.

ეტიკეტებს ბოთლებზე აკრავენ დექსტრინის ან სახამებლის წებოთი, რომელიც დამზადებულია ერთ-ერთი კვემოთ აღწერილი წესით.

ხელით ეტიკეტის დასაკრავი წებო. 2 კგ თხვილ დექსტრინს ასხამენ 2,5 ლ ცივ წყალს და ურვევენ ერთგვაროვან მასის მიღებამდე, გუნდების გარეშე; შემდეგ მასას უმატებენ 7,5 ლ ცხელ წყალს და მუდმივ შერევისას აცხელებენ წებოვან მასას ადუღებამდე, 5 წუთის განმავლობაში. ზედაპირზე წვრილი ბურთულების წარმოქმნამდე. გაცივების შემდეგ წებო მზადაა ხმარებისათვის.

წებოს სახამებლისაგან (სიმინდის ან კარტოფილის) ამზადებენ იმ შემთხვევაში, თუ არა აქვთ დექსტრინი.

ავტომატურად ეტიკეტის დასაკრავი წებო. ავტომატურად დასაკრავი წებოს რეცეპტი შემდეგია:

დექსტრინი, კგ-ში	17
გოგირდმჟავა მაგნიუმის, კგ-ში	6
ფორმალინი, კგ-ში	0,15
ხის წებო, კგ-ში	0,65
წყალი, ლ-ში	10,5

ხის წებოს ხსნიან 1,5 კგ თბილ წყალში ერთგვაროვანი მასის წარმოშობამდე. დექსტრინის ასხამენ 4,5 ლ ცხელ წყალს, გუნდების გარეშე, მასის წარმოქმნამდე. შემდეგ შეიძლება მივალწიოთ დექსტრინის მასის შერევის დროს წყლის პერიოდული დამატებით.

გოგირდმჟავა მაგნიუმს ხსნიან 4,5 ლ ცხელ წყალში. დექსტრინის მასას ურევენ ქვაბში (ორთქლის პერანგიით). უშვებენ ორთქლს და მუდმივი შერევის პირობებში უმატებენ მცირე პორციობით: ჯერ ხის წებოს ხსნარს, შემდეგ კი გოგირდმჟავა მაგნიუმს. აცხელებენ, ვიდრე წებოს მასა არ მიიღებს ერთგვაროვან კონსისტენციას და გამკვირვალობას.

ფორმალინს უმატებენ ხარშის დამთავრების შემდეგ მდგობის გახანგრძლივების მიზნით, და წებოს გულდასმით ურევენ.

ავტომატურად და ხელით დასაწებებელი წებო-წებოს რეცეპტი კვ-ში:

დექსტრინი (კარტოფილის, სიმინდის, მანანის და სხვ.)	65
ტექნიკური გლიცერინი	6
გვარჯილა ან უროტროპინი (ტექნიკური)	6
წყალი	15—23

წყლის აღნიშნული რაოდენობა მერყეობს და დამოკიდებულია დექსტრინის ტიპსა და ტენიანობაზე და დგინდება პრაქტიკულად.

ცხელ წყალში (35—40°) შერევით უმატებენ 6 კგ გლიცერინს, შემდეგ 6 კგ გვარჯილას ან უროტროპინს, ნარევის ურევენ 10—15 წთ განმავლობაში სრულ გახსნამდე და მცირე პორციობით (10—15 კგ) არევისას ყრიან დექსტრინის დოზას. 2—3 საათით აზელისა და ერთი დღელამის დაყოვნების შემდეგ წებო მზადაა ხმარებისათვის.

ნებისმიერი რეცეპტურით დამზადებული წებო მკვიდროდ უნდა აკრავდეს ეტიკეტს ბოთლზე, არ დააზიანოს ქაღალდი და ეტიკეტის ნახატი, ბოთლის რეცხვის დროს ადვილად უნდა ეცლებოდეს და არ უნდა აკონდენს არასასიამოვნო სუნს.

მზა პროდუქციის შიგასაქარხნო ტრანსპორტირება უნდა წარმოებდეს ლენტური ტრანსპორტირებით ან როლგანგებით, ელექტროკარებით ან ურიკებით.



ბოთლები გაზიანი უალკოჰოლო სასმელებით უნდა ინახებოდეს მზა პროდუქციის საწყობში (ექსპედიციაში), ყუთებში ჩაწყობილი.

მზა პროდუქციის საწყობს ზაფხულში აცივებენ არაუმეტეს $+ 12^{\circ}$ -მდე და არაუმცირეს $+ 2^{\circ}$. ზამთრის პერიოდში მზა პროდუქციის საწყობს ათბობენ იმავე ტემპერატურის შესანარჩუნებლად.

გაზიანი უალკოჰოლო სასმელების ტრანსპორტირება არაუმეტეს 100 კმ რადიუსით წარმოებს ჩვეულებრივ ყუთებში ავტომატური ტრანსპორტით.

შორ მანძილზე სასმელების ტრანსპორტირებისას ბოთლებს აწყობენ დახურულ ყუთებში.

ქარხნიდან გამოშვებულ სასმელების ყველა პარტიას უნდა ჰქონდეს ქარხნის ტკვ-ს ხარისხობრივი მოწმობა, ექსპედიციიდან პროდუქციის გაცემისას სასმელების ყოველ პარტიისათვის ფაქტურაში აღინიშნება ხარისხობრივი მოწმობის ნომერი.

კუპაჟირებული სასმელების მომზადება ზოგიერთი გაზიანი სასმელისათვის

რიგის ალაოს სასმელი. ალაოს ექსტრაქტს კუპაჟირებამდე ამუშავებენ შემდეგნაირად: ალაოს ექტრაქტიან კასრებს აცხელებენ $30-40^{\circ}$ -მდე, რაც უზრუნველყოფს ექსტრაქტის კასრიდან უფრო სწრაფ და სრულ გამოტანას.

ალაოს ექსტრაქტში შემავალ დექსტრინებისა და ცილების უფრო სრული ჰიდროლიზის მიზნით უქანასკნელთ 40 კგ რაოდენობით (100 დკლ მზა სასმელზე) ანზავებენ ცხელი წყლით, აცხელებენ ადუღებაზე და ხარშავენ ხშირი მორცვით 5 საათის განმავლობაში, ორთქლით გასახურებელ ქვებში $0,3-0,5$ ატმ ორთქლის წნევით.

ხარშვის დამთავრების შემდეგ ალაოს ექსტრაქტს ანზავებენ ქვებში ცხელი წყლით $55-60^{\circ}$ სიმკვრივემდე შექარხნობით (გადაქანვის გასაადვილებლად) და ტუმბოთი გადააქვთ გასაცივებლად, აცივებენ შემხვედური დინების მაცივრების ან ხეიარების საშუალებით.

გაცივებული ალაოს ექსტრაქტი გადააქვთ დამლეკ როფებში¹⁾ სადაც უმატებენ ლიმონის მჟავას გაანგარიშებულ რაოდენობას: ხსნარის სახით, ალაოს ექსტრაქტში შემავალი მჟავას გათვალისწინებით, და ალაოს სიმკვრივე წყლით განზავებით დაჰყავთ 46% სიმკვრივემდე შაქარმზომით.

ალაოს ექსტრაქტის, წყლისა და ლიმონის მჟავას ნარევის გულდასმით აურევენ და სტოვებენ კოაგულირებულ ცილოვან ნივთიერებათა დასალექად.

სამი-ოთხი დღე-ღამის დაყოვნების შემდეგ გამჟვირვალე ფენას დეკანტაციით აცლიან ლექისაგან და გადააქვთ კუპაჟიორებში. ნალექს ფილტრავენ ფილტრებში. ფილტრატა უმატებენ დეკანტირებულ სითხეს (40 კგ ალაოს ექსტრაქტის, წყლისა და ლიმონის სიმჟავის ნარევის გამოსავლიანობა ხარშვისა და დალექვის შემდეგ შეადგენს 54 ლ, სიმკვრივე—არანაკლებ 45%-ს შაქარმზომით).

შემდეგ კუპაჟიორებში შერევით უმატებენ თანმიმდევრობით: კოლერს 70% სიმკვრივეთ შაქარმზომით და შაქრის სიროფს რეცეპტის შესაბამისად გაანგარიშებით.

კუპაჟიორებში შეტანილ ნახევარფაბრიკატებს კარგად ურევენ 10—15 წუთის განმავლობაში. კუპაჟს სინჯავენ სიმკვრივესა და ორგანოლექტიკურ მაჩვენებლებზე. შხა კუპაჟს ფილტრავენ უხეშ ფილტრებში (ბადეში ან დოლბანდში) და გადააქვთ დოზირებისათვის.

დესერტული სასმელი „შავი ყავა მოკო“. სასმელის მომზადების პროცესი მდგომარეობს ყავის ნახარშის მიღებისა და ნახარშის ცივად კუპაჟირებაში სხვა შემადგენელ ნაწილებთან.

ორთქლის პერანგიან ქვაბში ასხამენ წყალს, ადუღებენ. მდულარე წყალში ყრიან ნატურალურ დაფქვილ ყავას (10 კგ ყავაზე 50 ლ წყლის ანგარიშით) და 10 წუთის განმავლობაში ადუღებენ. ამის შემდეგ წვეტენ გახურებას, ქვაბს ახურავენ ხუფს და ნარევის 2—2,5 საათს პერიოდულად ურევენ. შემდეგ ნარევის აყოვნებენ 30—45 წუთს.

დარჩენილ ნახარშს უკეთებენ დეკანტაციას და ფილტრავენ გამჟვირვალობამდე. ყავის ნალექის 65—70%-იან წყალხსნარს აყოვნებენ 2—2,5 საათს (5 ლ 10 კგ საწყის ნედლეულზე), ურევენ და

გადააქვთ ტომრიან ფილტრებში ნალექის მოცილებისა და გამკვირვალობამდე ფილტრაციისათვის.

მეორე და პირველ ფილტრატს ერთმანეთში ურევენ.

მიღებული ყავის სახარშს აცივებენ 15—20°-მდე და დარჩენილი ნედლეულით უკეთებენ კუპაჟს რეცეპტის მიხედვით.

გაზიანი სასმელი „საიანი“. საკუპაჟე სიროფს ამზადებენ ცივი მეთოდით შემდეგ თავისებურებათა დაცვით. „ლევის“ ექსტრაქტში შეაქვთ წინასწარ გაფილტრული საკუპაჟე სიროფი, რომელიც შეიცავს თეთრი შაქრის სიროფს, საკვებ მჟავას, კოლერს და ლიმონის ნაყენს.

თუ „ლევის“ გამოყენებული ექსტრაქტი შეიცავს ნალექს, მაშინ საკუპაჟე სიროფში შეტანამდე იგი უნდა გაიფილტროს ქალღლის ფილტრში.

თაფლის სასმელი „პრიოლკა“. სიროფის სახარშ ქვაბში ასხავენ წყალს იმ ანგარიშით, რომ მივიღოთ 45—50% სიმკვრივის სიროფი და აცხელებენ ადუღებამდე. გაცხელების შეუწყვეტლად ურევენ და თან შეაქვთ საჭირო რაოდენობის შაქარი (წონით) და თაფლი.

მიღებულ ნარეგს ადუღებენ 40—50% სიმკვრივის მიღებამდე, პერიოდულად ქაფქირით აკლან ხსნარის ზედაპირზე წარმოქმნილ ქაფს. შემდეგ ხარშვას სწყვეტენ, ცხელი თაფლის შაქრის სიროფს ფილტრავენ და აცივებენ 20°-მდე.

გაფილტრული და გაცივებული სიროფი გადააქვთ კუპაჟიორებში, უმატებენ მჟავას და რეცეპტურით გათვალისწინებულ თაფლის ესენციას, გულდასმით აურევენ და გადააქვთ ჩამოსხმაზე.

სასმელი დიაბეტიკებისათვის. ამ სასმელებისათვის კუპაჟს ამზადებენ შემდეგნაირად.

ცხელ წყალში ხსნიან სახარისს (10 ნაწილი წყალი და 1 ნაწილი სახარინი) და ფილტრავენ ქალღლის ან ქსოვილის ფილტრში სრული გამკვირვალობის მიღებამდე.

ამრევში ასხავენ 50 პროცენტთან გაფილტრულ ლიმონის მჟავას, სახარინის ხსნარს, დასამზადებელი სასმელის შესაბამის ესენციას და წინასწარ გაფილტრულ ციტრუსოვანთა ნაყენებს. აქვე უმატებენ წყალს (200 ლ მოცულობამდე 100 დკლ დასამზადებელ სასმელზე) და სარეველაში მოთავსებულ აღნიშნულ ნარეგს გულდასმით ურევენ.

დაკუპაჲებულ ხსნარს ასხამენ ბოთლებში 100 მლ დოზით
თითოეულ 0.5 ლ ბოთლზე. ბოთლები კუპაჲით გადააქვთ ჩამოსხმულ
მელ დამზუფავ მანქანაზე გაზიანი წყლით შესავსებად და მას შემდეგ
დგომ დასახუფავად.

ეტიკეტების ბოთლებზე დაკვრა და ბოთლების ყუთებში ჩაწყობა წარმოებს ისევე, როგორც სხვა გაზიანი სასმელებსათვის.

უგაზო სასმელების დამზადება

უგაზო სასმელებს ეკუთვნიან: ალუბლის ცხელი სადესერტო სასმელი, შტოშოს მორსი, წითელი მოცვის მორსი და სასმელი „შავი ყავა“.

უგაზო ხილკენკროვანთა სასმელების წარმოებისათვის გამოიყენება იგივე სახის ძირითადი ნედლეული და დამზადრე მასალები, რაც გაზიანი სასმელებისათვის.

ალუბლის ცხელი დესერტული სასმელი. ამ სასმელისათვის სიროფის კუპაჲს ამზადებენ ცივი მეთოდით (იხ. გაზიანი სასმელებისათვის სიროფის კუპაჲის დამზადება), რეცეპტურით გათვალისწინებული ყველა კომპონენტის შერევით. სინჯავენ სიროფის კუპაჲის სიმკვრივეს, მკვავიანობას და ორგანოლექტიკურ მონაცემებს.

სიროფს სასურველ მოცულობამდე ანზავებენ ცივი წყლით და გულდასმით შრევენ.

ლაბორატორიის მიერ ხარისხის გასინჯვის შემდეგ სასმელს ფილტრავენ და გადააქვთ შემგროვში, რომელსაც აქვს ხვთარა 70°-მდე გასაცხელებლად.

ცხელ სასმელს ასხამენ ავტოციისტერნებში ან ბიდონებში. დასაშვებია სასმელის ჩამოსხმა გაუცხელებლად წინასწარ გაორთქლილ და გაფისულ ხის კასრებში, რომელთა მოცულობა 50 ლ არ უნდა აღემატებოდეს. კასრებს ჩამოსხმის შემდეგ ხუფავენ სუფთა დეზიფექტირებელი ხის საცობებით.

ავტოციისტერნებს და ბიდონებს ხურავენ რეზინის შუასადებიანი სახურავებით და ლუქავენ.

ავტოციისტერნების, ბიდონების, კასრების მარკირებას და სასმელის ტარის ეტიკეტირებას აწარმოებენ მოქმედი სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად.

მორსები. შტოშოს ან წითელი მოცვის მორსებისათვის

კუპაცირებული სიროფისა და ასევე მისგან სასმელების დამზადება
ხდება ისევე, როგორც ნაჩვენებია განყოფილებაში «ცხელი სასმე-
ლების მომზადება», მხოლოდ ჩამოსხმის წინ არ აცხელებენ.

მორსებს ასხამენ ავტოცისტერნებში ან კასრებში.

ტარის დამუშავებას, ჩამოსხმისათვის მის მომზადებას, დახუფ-
ვასა და ტრანსპორტირებას აწარმოებენ ისე, როგორც ნაჩვენე-
ბია პურის ბურახისა და მადულარა სასმელების მომზადების ინს-
ტრუქციაში.

სასმელი „შავი ყავა“. მდულარე წყალში (84 ლ) შეაქვთ
დაფქვილი ყავა (4 კგ), ადულებენ დუღილის დაწყებიდან 15—20
წუთს, აცივებენ ოთახის ტემპერატურამდე, რის შემდეგ ფილტ-
რავენ ორმაგ დოზანდში. ფილტრატს უმატებენ შაქრის ფხვნილს
და მეორეჯერ ადულებენ 20—25 წუთის განმავლობაში. მიღებულ
მასას აცივებენ ოთახის ტემპერატურამდე და უმატებენ ვანილინის
ხსნარს.

სასმელი შეიძლება შეინახოს არაუმეტეს სამი დღე-ღამისა 5
— 12° ტემპერატურაზე.

სიროფების დამზადება სავაპრო ქხელინათვის

სიროფები სავაპრო ქსელისათვის ხილკენკროვან წვენებზე,
ექსტრაქტებსა და ღვინოზე ამზადებენ ცხელი ან ნახევრადცხელი
მეთოდებით.

სიროფებს ესენციებსა და ციტრუსოვანთა ნაყენებზე ამზა-
დებენ მხოლოდ ცივი მეთოდით.

ნედლეულის მომზადებას, შერევას, ფილტრაციას და ფიზი-
კურ-ქიმიური და ორგანოლექტიკური მაჩვენებლების გასინჯვას
აწარმოებენ ისევე, როგორც იმავე დასახელების სიროფების კუპა-
ციების დამზადების დროს.

ზეა სიროფს გადასცემენ ჩამოსხმაზე.

ჩამოსხმას აწარმოებენ საზომიდან ხის გაფისულ 100 ლიტრიან
კასრებში ან 3-დან 15 ლ ტევადობის შინის ბალონებში.

ჩამოსხმის წინ ლაბორატორიაში საზღვრავენ სიროფის ხარი-
სხობრივ მაჩვენებლებს, უჩვენებენ ჩამოსხმაზე სიროფის ტემპე-
რატურას, შემდეგ ანალიზის შედეგებს აცნობებენ სააპქროს და ან-
გარიშობენ სიროფის რაოდენობას ლიტრებში მოცემულ ტემპე-

რატურაზე, რომელიც შეესაბამება 100 ლიტრ სიროფს 20^o ცელსიუსს.

კასრებს ჩამოსხმის შემდეგ ხუფავენ დეზინფექციონირებულ ცობებით, მინის ბალონებს კი სუფთა ქსოვილში გახვეული ხის საცობებით, რომელთაც ბოლოს ასხამენ ფისს.

საკალო გააყიდად სიროფს ასხამენ 0,33—0,5 ლ ტევაღობის ბოთლებში.

სავსე სიროფით ბოთლებს ხუფავენ კრონენ-საცობებით.

სპეციალური დესერტული სიროფები

სიროფი „აღებისა“. ამ სიროფის დასამზადებლად კვერცხის გულს კარგად აცილებენ ცილას. კვერცხის გულს უმატებენ შაქრის ფხვნილს (ნორმის 1/10 ნაწილს) და გულდასმით სრესენ შაქრის კრისტალების სრულ გახსნამდე.

წინასწარ ადუღებულ რძეს ხდიან ქავს. რძის 1/10 ნაწილს აცივებენ 50^o-მდე და უმატებენ კვერცხის გულს, რომელშიც გახსნილია შაქარი. მიღებულ ნარევს უმატებენ დანარჩენი რაოდენობის ცხელ რძეს და ურევენ, რის შემდეგ უმატებენ დანარჩენი რაოდენობის შაქარს და მუდმივით არევით აცხელებენ 87—90^o-მდე (არა-უმეტესი). მორევის შეუწყვეტლად სიროფს აცივებენ ოთახის ტემპერატურამდე და მასში უმატებენ ვანილინს და ლიმონის ნაყენს. სიროფის შენახვა შეიძლება არაუმეტეს 2 დღე-ღამისა 5—12^o ტემპერატურაზე.

სიროფი „შოკოლადისა“. ადუღებულ რძეს ხდიან ქავს. წინასწარ კარგად გაქნილ შოკოლადის მასას და კაკაოს ურევენ 1/10 ნაწილ რძეს, აცივებენ 50^o-მდე.

მიღებულ ნარევს გულდასმით მორევისას უმატებენ დარჩენილი რაოდენობის ცხელ რძეს, ურევენ და აცხელებენ 5 წუთს, რის შემდეგ ცხელ ნარევს ფილტრავენ დოლბანდში. ფილტრატს უმატებენ შაქრის ფხვნილს და ნარევს აცხელებენ 87—90^o-ზე (არა-უმეტეს) და ურევენ, შემდეგ აცივებენ ცივი წყლით ოთახის ტემპერატურამდე და უმატებენ ვანილინს. მიღებული სიროფი შეიძლება შეინახოს არაუმეტეს 2 დღე-ღამის განმავლობაში 5—12^o ტემპერატურაზე.

სიროფი „ოსვეტაიუში“ და „ყავის“. ადუღებულ წყალში (50 ლ) შეაქვთ ნატურალური დაფქული ყავა ვარდქაფა-



ფის გარეშე და ადუღებენ 5 წუთს. შემდეგ ქვაბს კარგად ახუთავენ თავს და აყოენებენ 2 საათს გაუცხელებლად; ყავის ნახარშს ურევენ და აყოენებენ 20—30 წუთს და ფილტრავენ. ყავის ნალექს რეცხავენ 5 ლ ცხელი წყლით და ფილტრავენ; მეორე ფილტრატს ურევენ პირველს. მთელი ყავის ნახარში გადააქვთ ქვაბში, უმატებენ შაქარს და ადუღებენ 5 წუთის განმავლობაში. ადუღების შემდეგ ხდიან ქაფს და სიროფს ცხელ მდგომარეობაში ფილტრავენ ფანელის ფილტრში.

გაფილტრული და გაცივებული სიროფი გადააქვთ კუბაეიორში, სადაც შეაქვთ რეცეპტით გათვალისწინებული დანარჩენი ნედლეული, გულდასმით აურევენ და გადასცემენ ჩამოსხმაზე.

სიროფი „ნუ შის“. კვერცხის გულს კარგად აცლიან ცილას. კვერცხის გულს უმატებენ შაქრის ფხვნილს (5—6 კგ) და გულდასმით გაქნიან შაქრის კრისტალების გაქრობამდე. რჩეს ადუღებენ 5 წუთის განმავლობაში, რის შემდეგაც მას უმატებენ რეცეპტურით გათვალისწინებული დანარჩენი რაოდენობის შაქარს. სიროფს ადუღებენ 2—3 წთ, დუღილის დროს წარმოქმნილ ქაფს ხდიან.

გაქნილი კვერცხის გულს ინტენსიურად ურევენ და თან მცირე პორციობით უმატებენ ცხელ რძიან სიროფს, 3—5 ლ რაოდენობით, რის შემდეგ მთელი ეს მასა შეაქვთ ქვაბში დარჩენილი რძის სიროფში. მასას ადუღებენ 2—3 წუთის განმავლობაში. მზა სიროფს ასხამენ კუბაეიორში, აცივებენ 40—50°-მდე, ამავე ტემპერატურაზე შეაქვთ ვანილინი. არევის შემდეგ სიროფს აცივებენ 20°-მდე, უმატებენ ნუშის ესენციას, ურევენ და გადააქვთ ჩამოსხმაზე.

სიროფი „სადესერტო“. რეცეპტით გათვალისწინებული ღვინის მთელ რაოდენობას აცხელებენ 50—60°-მდე, უმატებენ შაქარს, ადუღებენ 3—5 წუთს, ქაფის მოხდის შემდეგ ფილტრავენ ფანელის ფილტრში, აცივებენ 40°-მდე, უმატებენ ვანილინს და ხელმეორედ გაცივებით სიროფის ტემპერატურა დაჰყავთ 20°-მდე, რომლის დროსაც უმატებენ დანარჩენ შემადგენელ ნაწილებს.

სიროფი „კახური“. ღვინოს (რეცეპტის თანახმად) ასხამენ ქვაბში და აცხელებენ 70—80°-მდე, შემდეგ უმატებენ შაქარს, აცხელებენ 3—5 წუთის განმავლობაში და აცლიან ქაფს. ცხელ სიროფს ფილტრავენ ფანელის ფილტრში და ასხამენ კუბა-



გიორში. 40—50 ტემპერატურაზე უმატებენ ვანილინს; შემდეგ სიროფს აცივებენ 20°-მდე და შეაქვთ დანარჩენი კომპონენტებს.

სიროფი „საგაზაფხულო“. რეცეპტურით გათვალისწინებული რაოდენობის ღვინოს, წყლისა (25 ლ) და გამხმარი ვარდის ფოთლებს ათავსებენ ქვაბში, აცხელებენ 70—80°-მდე, რის შემდეგ შეაქვთ შაქარი და აცხელებენ 10—15 წუთს. ჰერმეტიკულად დახურულ ქვაბში აყოვნებენ გაუცხელებლად ერთი საათის განმავლობაში. მიღებულ სიროფს ფილტრავენ ფანელის ფილტრში, აცივებენ 20°-მდე და უმატებენ დანარჩენ კომპონენტებს.

სიროფი „შუშხუნა“. რეცეპტით გათვალისწინებული რაოდენობის ღვინოს აცხელებენ 50—60°-მდე, უმატებენ შაქარს და აღულებენ 3—5 წუთს. ქაფის მოხდის შემდეგ ფილტრავენ და ასხამენ კუპაგიორში, 40—50°-ზე უმატებენ ვანილინს. სიროფს აცივებენ 20°-მდე და შეაქვთ დანარჩენი ნედლეული რეცეპტის შესაბამისად.

ხელოვნური მინერალური წყლების დამზადება

ხელოვნური მინერალური წყლები—სოდიანი და სელტერიის წყლები მზადდება, დამუკიციებელი რეცეპტურის შესაბამისად, ნახშირმჟავა წყლით გაჯერებით, რომელიც შეიცავს ნატრიუმის, კალიუმისა და მაგნიუმის ჰიმისურად სუფთა ნეიტრალურ და ტუტე მარილების სუსტ ხსნარებს.

მარილების ხსნარების დამზადება

სოდიანი და სელტერიის წყლების დამზადებისას ცალკე ტურკლებში ცხელ წყალში წინასწარ ამზადებენ მარილების ხსნარებს.

სვედრითი წონა

ქლორიანი ნატრიუმი (NaCl)	1,116
უწყლო ნახშირმჟავა ნატრიუმი (Na ₂ CO ₃)	1,082
ან კრისტალური ნახშირმჟავა ნატრიუმი (Na ₂ CO ₃ · 10H ₂ O)	1,082
ან ორნახშირმჟავა ნატრიუმი (NaHCO ₃)	1,0581
ქლორიანი კალციუმისა (CaCl ₂) და ქლორმაგნიუმის (MgCl ₂) ნარევი —(ერთ წილ CaCl ₂ -ზე იღებენ 0,01 წილ MgCl ₂)	1,0599

(დანართი № 1, ცხრილი 2, 3, 4, 5)

მუშა ხსნარების (ლ-ით) დასამზადებლად მარილების ხარჯი (კგ-ით) 100 დკლ სასმელზე ნაჩვენებია ცხრილში.



მარილების დასახელება	სოდიანი წყლისათვის			სელტრის წყლისათვის		
	მარილის ხარჯი, კგ-ში	სელტრითი წონა	რაოდენობა ლ-ში	მარილის ხარჯი, კგ-ში	სელტრითი წონა	რაოდენობა ლ-ში
1	2	3	4	5	6	7
ქლორიანი ნატრიუმი	1,5	1,116	8,4	1,5	1,116	8,4
უწყლო ნახშირმჟავა ნატრიუმი	2,5	1,082	28,9	2,5	1,082	28,9
კრისტალური ნახშირმჟავა ნატრიუმი ⁵⁵	6,75	1,082	28,9	6,75	1,082	28,9
ორნახშირმჟავა ნატრიუმი ⁵⁵	4,0	1,0581	47,3	4,0	1,0581	47,3
ქლორიანი კალციუმი	—	—	—	1,5	1,0599	20,1
ქლორიანი შავნიუმი	—	—	—	0,015	—	—

ყველა ხსნარს გულდასმით ფილტრავენ და აცივებენ 20°-მდე.

სასმელების დამზადება მოცულობით სატურატორებში

სოდიანი წყლის დამზადება. მოცულობით სატურატორს ავსებენ ნახევარ მოცულობამდე, 4—6^o-მდე გაცივებული წყლით, უმატებენ ქლორიანი ნატრიუმის ხსნარს და 1—2 წუთის არევის შემდეგ უმატებენ ნახშირმჟავა ნატრიუმს, რის შემდეგაც სატურატორს ავსებენ გაცივებული წყლით მისი მოცულობის 3/4-მდე, უმატებენ ნახშირმჟავას, ურევინ 30 წთ განმავლობაში. პერიოდულად პირველ 10 წუთს ალებენ ონკანს სატურატორიდან ჭაერის გამოსაშვებად.

სატურატორში შეტანილი წყლისა და მარილის ხსნარების შეფარდება უნდა შეესაბამებოდეს რეცეპტში ნაჩვენებ მარილის რაოდენობას.

წყლის დაგაზვის პროცესს ატარებენ სატურატორში 3—4 ატმ წნევის ქვეშ, სანამ სარეველას გამორთვის დროს არ დამყარდება მუდმივი წნევა. დაგაზვის პროცესის ხანგრძლივობა შეადგენს 40—45 წუთს.

დაგაზვის დამთავრების შემდეგ წყალი ზიდის ჩამოსხმაზე. სელტერის წყლის დამზადება. სელტერის წყლის დანზადებისას მარილებისა და სოდის ხსნარის დამზადებისას ცია, აგრეთვე მათი მიწოდება ნახევრამდე წყლით შევსებულ სატურატორში წარმოებს ისევე, როგორც სოდის წყლის დამზადების პროცესის დროს. 2 წუთის განმავლობაში არევის შემდეგ უმატებენ ქლორიანი კალციუმისა და ქლორიანი მაგნიუმის ნარევეს.

წყლით შევსებისა და სატურაციის შემდგომი პროცესი ისეთივეა, როგორც სოდის წყლისათვის.

ჩამოსხმა. სოდის და სელტერის წყალს ასხამენ 0,5 ლტევადობის ბოთლებში, აგრეთვე მინას სიფონებში. სოდის და სელტერიანი წყლის ბოთლებს ხუფავენ ქერქის საცობებით ან კრონენ-საცობებით.

წუნდება, ეტიკეტირება, შენახვა და ტრანსპორტირება ხდება ისევე, როგორც აღწერილია გაზიან უაღკოპოლო სასმელებისათვის შესაბამის განყოფილებებში.

შენიშვნა: დასაშვებია სოდის და სელტერიანი წყლის გამოშვება რუსურ 187 —

— 57 რტპ გათვალისწინებულ სპონიანი დაყოფების გარეშე.

ნახევარვაბრიკატების დამზადება

დასპირტული ნაყენების დამზადება ციტრუსოვანთა ნაყოფების ცედრისაგან

ციტრუსების სპირტიანი ნაყენი არის შესაბამისი ნაყოფის მკვეთრად გამოხატული არომატის, ღია-ყვითელი ფერის წყალსპირტიანი ხსნარი. გამოსავალი ნედლეულის მიხედვით, ნაყენები არის ლიმონის, მანდარინისა და ფორთოხლის.

სპეციალური მანქანით ან მჭრელი დანით ლიმონს ან ფორთოხალს აკლიან ცედრას ისე, რომ არ შეეხონ თეთრ ფენას (ალბედოს). მანდარინის ცედრის მოკლისას ქერქს კრიან დანით 4 ნაწილად და შემდეგ მინაზე ან ხის დაფაზე აკლიან აეთრ მასას (ალბედოს). გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია მანდარინის ნაყენი დაეამზადოთ ალბედოიან ცედრისაგან.



Хастинка -?

	ამსოლტური სპირტის რაოდენობა ლით	ცედრის რაოდენობა კვ-ით
ლიმონის ნაყენი	89,95	20,07
ფორთოხლის „	91,82	20,14
მანდარინის „	93,35	20,53

შენიშვნა: ლიმონისა და ფორთოხლის, ცედრისა და მანდარინის ნაყოფიდან კანის გამოსავალი წებდება ქარხნის ლაბორატორიის მიერ მიღებული ციტრუსების თითოეული პარტიისათვის, %ით მის წონასთან.

ეთერზეთების ექსტრაქციის გასაადვილებლად ცედრას ჰრიან 1 სმ-მდე სიგრძის და 5—8 სმ სიგანის ნაწილაკებად. ცედრის აწონილ რაოდენობას ათავსებენ ბაკერტის აპარატში, მინის ბალონებში ან მუხის კასრებში (გაუფისავი) და ასხამენ 80 პროცენტიან (მოცულობით) სპირტს (ცედრისა და სპირტის შეფარდება 1 : 2,5 კგ).

სპირტის დასხმისთანავე ნარევს აურევენ ცედრის სრულად დასველებისა და ჰაერის გამოდევნის მიზნით. სპირტისა და ეთეროვანი ზეთების აქროლების თავიდან აცილების მიზნით ჭურჭელს ხურავენ ხის ან ქერქის საცობებით ან ხუფებით.

დაყოვნება წარმოებს 2 პერიოდად, არაუმეტეს, 10° ტემპერატურაზე, პირველი დაყოვნება 15 დღე-ღამეს გრძელდება. მიღებულ ნაყენს გადმოასხამენ მშრალ ტარაში და მჭიდროდ ხუფავენ.

გადმოსხმისთანავე ცედრას ასხამენ 75 პროცენტიან (მოცულობით) სპირტის ხსნარს (ცედრისა და სპირტის შეფარდება 1 : 2,5 კგ) და აყოვნებენ მეორედ 20 დღეს, დღელამეში ერთჯერადი არევით.

თუ დაყოვნება წარმოებს 15°-ზე მეტ ტემპერატურაზე, მაშინ მისი ხანგრძლივობა უნდა შემცირდეს 5—7 დღემდე.

პირველი და მეორე დასხმით მიღებულ ნაყენებს აყოვნებენ ორი დღის განმავლობაში, უკეთებენ დეკანტაციას და ფილტრავენ ძუის საცერში აზბესტით ან ტომრის ფილტრით.

გადამუშავებულ ცედრას ტვირთავენ ხელის წნებებში და მსუბუქად წურავენ. მიღებულ ნაყენს აყოფენბენ, ფილტრავენ ურევინ მგორე დასხმის ნაყენს.

პირველი და მეორე დასხმის ნაყენებს ასხამენ ცალ-ცალკე მინის ბალონებში, მინანქრით დაფარული რკინის, ალუმინის ტანკებში ან ხის (გაუფისავ) კასრებში, მკიდროდ ხუფავენ და გადააქვთ შესანახად.

ციტრუსოვანთა ნაყენებს ინახავენ გრილ შენობაში; შენახვის ვადაა 8 თვე, მინის ბალონებში ჩამოსხმული ნაყენები უნდა ინახებოდეს ბნელ სათავსოში.

გაცემის დროს პირველი და მეორე დასხმის ციტრუსოვანთა ნაყენებს უკეთებენ კუბაქს 1 : 1 შეფარდებით.

გადამუშავებულ, გაწურულ ცედრას ტვირთავენ გამოსახდელ ქვაბში. ასხამენ ორჯერად მოცულობის წყალს და ხდიან ცედრაში დარჩენილ სპირტს. ამ დროს მიიღება ტექნიკური სპირტი, რომელიც არ შეიძლება გამოვიყენოთ ნაყენების წარმოებაში.

მზა ნაყენის მაჩვენებლები. მზა ნაყენში სპირტის შემადგენლობა უნდა იყოს არანაკლებ 60% მოც. (პირველი ჩამოსხმა არანაკლებ 60%, მეორე—არანაკლებ 70%).

ეთეროვანი ზეთის შემცველობა პროცენტებში (წონით) განისაზღვრება ეთეროვანი ზეთების შემცველობის სხვაობით ცოცხალ და გადამუშავებულ ცედრას შორის გინზბერგის მეთოდით:

ლიმონისათვის	0,2
მანდარინისათვის	0,15
ფორთოხლისათვის	0,25

ნაყენების წყალხსნარს (ლიმონისათვის 1 : 200 და ფორთოხლისა და მანდარინისათვის 1,5 : 250) უნდა ახასიათებდეს იმ ნაყოფების მკვეთრად გამოხატული არომატი, რომლებითაც არიან დამზადებული.

შენიშვნა: ტერპენების მცირე რაოდენობით შემცველი ნაყენების დასამზადებლად დასაშვებია პირველი დასხმა ვაწარმოოთ 40 პროცენტისანი, ხოლო მეორე 45 პროცენტისანი სპირტით. ეს ნაყენები გამოიყენება ქარხნის შიგნით და გასაყვლად არაა დანიშნული.

ციტრუსოვანთა სპირტიანი ნაყენი წარმოადგენს ღია ყვითე-
ლი ან ყვითელი ფერის შესაბამისი ნაყოფის მკვეთრად გამოხა-
ტული არომატის მქონე წყალსპირტიან სითხეს. ძირითადად
შხადდება ლიმონისა, ფორთოხლისა და მანდარინის ნაყე-
ნები.

ციტრუსოვანთა ნაყენი მიიღება ეთეროვანი ზეთების ექსტ-
რაქციით, ცედრიდან მათი განუწყვეტელი შეხებით სპირტწყალ-
ხსნართან.

ნედლეული და დამხმარე მასალები

ნედლეული უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:


ციტრუსოვანთა ნაყოფი უნდა იყოს ცოცხალი, გაფუჭების
ნიშნების, ობისა და სიდანპლის გარეშე. სპირტი-რექტიფიკატი
სახ. სტანდარტი 5952-51, უცხო სუნისა და გემოგადაკრულობის
გარეშე. სპირტის შემცველობა—არანაკლებ 70 პროცენტი (მოცუ-
ლობით).

სასმელი წყალი—სახ. სტანდარტი 2874-54.

ციტრუსოვანთა ნაყენების წარმოების ტექნოლოგიური სქემა,
განუწყვეტელი ექსტრაქციის მეთოდით დიდუზიურ ბატარეაში,
ნაჩვენებია ნახ. მე-4-ზე.

მუშაობის დაწყებისას გულდასმით მომზადების შემდეგ (კრუ-
ცირების ჩაწყობა, გვერდითი ურდულეების ჩაკეტვა) დიდუზიური
ბატარეის ყველა ექსტრაქტორში ტვირთავენ დაქუცმაცებულ
ცედრას. ერთდროულად ამზადებენ წყალსპირტიან ხსნარს 77,0%
სპირტის მოცულობით. ჩატვირთვისთანავე ცედრას ასხამენ წყალ-
სპირტიან ხსნარს იმ რაოდენობით, რომ დაიფაროს ცედრა გამბს-
ნელით, რის შემდეგაც აყოფენ 2 დღე-ღამის განმავლობაში.
ექსტრაქცია მიმდინარეობს არანაკლებ 10° და არაუმეტეს 20°
ტემპერატურაზე. დიდუზიური ბატარეის № 1 ექსტრაქტორში აძ-
ლევენ დანარჩენ წყალსპირტიან ხსნარს იმ ანგარიშით, რომ გამ-
ხსნელმა კვებოს ბატარეა 2 დღე-ღამის განმავლობაში. ამავე
დროს № 4 ექსტრაქტორიდან განუწყვეტელი იღებენ იმავე რაოდე-

ნობის მზა ნაყენს. 2 დღე-ღამის შემდეგ გამხსნელის მიწოდებას სწყვეტენ. № 1 ექსტრაქტორში დარჩენილ ნაყენს გადაქაჩვენ ექსტრაქტორში. ამვე დროს № 4 ექსტრაქტორიდან კვლავ ლეზულობენ მზა ნაყენს. № 1 ექსტრაქტორის ნაყენს გაანთავისუფლებენ და მისგან გამოტვირთავენ დამუშავებულ ცედრას და ჩატვირთავენ ახალ ცედრას. № 1 ექსტრაქტორს ჩართავენ ბატარეაში



ნახ. 4. ციტრუსოვანთა ნაყენების წარმოების სქემა განუწყვეტელი მოქმედების ექსტრაქტორების გამოყენებით:

1—სპირტის საზომი, 2—დამხარისხებელი როლი, 3—ტუმბო, 4—წყალსპირტიანი სითხის საწნო შემგროვი, 5—კრამიკული ფილტრი, 6—წყალსპირტიანი ხსნარს დოზატორი, 7—ციტრუსოვანთა ნაყოფები, 8—დამხარისხებელი მაგიდა, 9—ცედრის გამკვლევი მანქანა, 10—სასწორი, 11—დამქუცმაცებელი, 12—დიფუზიური ბატარეის ექსტრაქტორი, 13—გაფილტრული ნაყენის შემგროვი, 14—დეკანტატორი, 15—ფილტრი, 16—მზა ნაყენის შესანახი შემგროვი, 17—გადარჩეული ჩენჩოს საწნები წნები, 18—გაუფილტრავი ნაყენის შემგროვი, 19—ამოართქლებელი აპარატი.

რეიაში № 4 ექსტრაქტორის შემდეგ, ხოლო წყლიანი სპირტის ხსნარს, რომელსაც ხელახლა ამზადებენ, აწვდიან № 2 ექსტრაქტორში.

გამხსნელს ატარებენ ბატარეაში 2 დღე-ღამის განმავლობაში. № 1 ექსტრაქტორში მეორე ჩატვირთული ცედრის წონის

ხუთჯერადი რაოდენობით. ერთი დღე-ღამის შემდეგ მსგავსი ობი-
 რაცია მეორდება № 2 ექსტრაქტორში, შემდეგ მესამეში და ა.
 ექსტრაქტორიდან მიღებული ცედრა მიდის დაწნეხვაზე ან
 ირეცხება წყლით. ცედრის ნარეცი წყლებისაგან მიღებული სპირ-
 ტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სპირტის განსაზღვებლად 20%-
 ის რაოდენობით, წყალ-სპირტიანი ხსნარის დასამზადებლად.

აპარატურა

- ცილინდრული და კონუსური საზომები;
- საქუპაჟე როფი;
- ნაყოფისაგან ცედრის მომკლელი მანქანა—ლიმონისა და
 ფორთოხლისათვის;
- ცედრის დამქუცმაცებელი მანქანა;
- ალუმინის ან რკინის ექსტრაქტორები—მინამალით დაფა-
 რული;
- ფილტრწნები;
- ალუმინის ან რკინის მინამინანქრით დაფარული ტანკები;
- სასწორები;
- სახდელი კუბი.

ტექნიკურ-ქიმიური კონტროლი

1. ნედლეულის კონტროლი—დამპალი ნაყოფის გადარჩევა,
 ზომებით დახარისხება, ცედრაში ეთეროვანი ზეთების განსაზღვ-
 რა და ა. შ.
2. მზა პროდუქციის კონტროლი—სპირტისა და ეთეროვანი
 ზეთების განსაზღვრა (ინტერფერომეტრული მეთოდით).
3. ორგანოლექტიური შეფასება (გემო, არომატი).
4. წარმოების ნარჩენების კონტროლი—სპირტისა და ეთერ-
 ოვანი ზეთების განსაზღვრა გადამუშავებულ ცედრაში (გიზენგის
 მეთოდით).

მზა ნაყენების ძირითადი მაჩვენებლები

1. სპირტის შემცველობა პროცენტებში (მოცულობით) არა-
 ნაკლები $65 \pm 0,5$.

2. ეთეროვანი ზეთების შემცველობა პროცენტობით (წონით), არანაკლები:



ლიმონის ნაყენისათვის	0,4
ფორთოხლის ნაყენისათვის	0,45
მანდარინის ნაყენისათვის	0,3

3. ორგანოლექტიკური შეფასება. ნაყენი წყალში გახსნისას (1 : 200 ლიმონისათვის, 1,5 : 250 ფორთოხლისა და მანდარინისათვის) უნდა იძლეოდეს იმ ნაყოფისათვის დამახასიათებელ არომატს და გემოს, რომლისგანაც ნაყენია დამზადებული.

ტარა და შეფუთვა

ციტრუსოვანთა ნაყენები ჩამოსხმება და გადაიზიდება:

1. მუხის კასრებში ტევადობით 150 ლიტრაშდე (სახ. სტანდარტი 4972—49).

კასრები ჩამოსხმის შემდეგ იხუდება დეზინფექცირებული საცობებით. კასრის ზედა სახურავზე უნდა იყოს ამომწვარი ტრაფარეტი ქარხნის ჩვენებით და კასრის ტევადობით. ყოველ კასრს უნდა ჰქონდეს ეტიკეტი ნაყენის დასახელებისა და ჩამოსხმის თარიღის ჩვენებით.

2. მინის ბალონებში 10—15 ლიტ. ტევადობით. ბალონების ეკვრება ეტიკეტი ნაყენის დასახელების, ჩამოსხმის თარიღის, ბალონის მოცულობისა და ქარხნის სახელწოდების ჩვენებით.

ბალონები ეწყობა მოწნულ კალათებში ან ხის ყუთებში. ყუთსა და ბალონს შორისი არე ივსება ჩალით, ბურბუშელით ან თივით.

შენახვა

ციტრუსოვანთა ნაყენები ინახება გრილ სათავსოში არაუმეტეს 12° ტემპერატურაზე. მინის ტარაში ჩამოსხმული ნაყენები ინახება ბნელ სათავსოში. ციტრუსების შენახვის ვადაა არაუმეტეს 8 თვისა.



№ რიგ.	წყენის დასახელება	ცედრა კგ-ში	აბსოლუტური სპირტი	აბსოლუტური სპირტის შეცვლელობა წყენში	საერთო დანაკარგი	აბსოლუტური სპირტის დანაკარგის წარმოებაში დახარჯული სპირტის საერთო მოცულობასთან	
						მათ შორის	
						დაუბრუნებელი	დაუბრუნებელი
1	ლიმონის	20,07	89,85	72,41	19,42	6,0	13,41
2	ფორთოხლის	20,14	91,82	72,41	21,13	6,0	15,13
3	მანდარინის	20,93	93,38	72,41	22,43	6,0	16,43

- შენიშვნა: 1. აღნიშნული დანაკარგები ითვლება დასაშვებ ზღვრად.
 2. ფორთოხლის ცედრის გამოსავალი—20%-მდე, ლიმონის—25%/მ-მდე, მანდარინის კერქის—28%/მ-მდე წაყოფის მასიდან. ლიმონის და ფორთოხლის ცედრისა და მანდარინის კერქის გამოსავლიანობა განისაზღვრება ქარხნის ლაბორატორიის მიერ ციტრუსების თითოეული პარტიისათვის.
 3. წყენის გამოსავალი ზემოაღნიშნული ნედლეულის ხარჯზე შეიძლება იყოს 100 კგ-ზე მეტი, რაც დამოკიდებულია ცედრაში სინესტის შეცვლელობასა და ცედრიდან წყენის გამოწველიდან სისრულეზე.
 4. სტანდარტიდან შპა წყენის სიმაგრის უმნიშვნელო გადახრის დროს დასაშვებია წყენის სიმაგრის დაყვანა სპირტით ან წყლით $65 \pm 0,5$ -მდე.

აბსოლუტური სპირტის დაუბრუნებელი დანაკარგი, სტადიების მიხედვით, გათვალისწინებულია ნედლეულის ხარჯვის ანგარიშში.

№ რიგ.	საწარმოო ოპერაციების დასახელება	სპირტის დანაკარგი, %-ში	შენიშვნა
1	ეთერზეთების ექსტრაგირება ცედრიდან	4,1	დანაკარგი გაიანგარიშება უწყლო სპირტის რაოდენობიდან, რომელიც იხარჯება წარმოებაში
2	წყენის ერთი კურკულ-დან მეორეში გადატანა	0,2	დანაკარგი იანგარიშება უწყლო სპირტის რაოდ., რომელსაც შეიცავს ნაწარმი
3	წყენების ფილტრაცია	0,49	"
4	წყენ. ლეჭიდან მოცილება	0,2	"
5	გადამუშ. ნედლ. სპირ. გამოც.	0,5	"

6. უაღკომპოლო სსმეულების კრებულში

ქარხნები ამზადებენ შემდეგი დასახელების ნაყენებს:

ა ს ო რ ტ ი მ ე ნ ტ ი

- | | |
|-------------|-----------------|
| 1. ვაშლის | 10. ფეიხოსა |
| 2. კომშის | 11. იის ძირების |
| 3. მსხლის | 12. შიხაქის |
| 4. ტარხუნის | 13. დარიჩინის |
| 5. პიტნის | 14. ილის |
| 6. ატმის | 15. ვანილის |
| 7. ალუბლის | 16. კარდამონის |
| 8. მარწყვის | 17. დაფნის |
| 9. შვინდის | 18. ვარდის |

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ა

აღნიშნული ნაყენები იზარება გაზიანი უალკოჰოლო სასმელებისა და სავაჭრო ქსელში კიქობით გასაყიდი გაზიანი წყლების დასამზადებელი სიროფებისათვის.

ნაყენების დამზადების ტექნოლოგია შედგება შემდეგი პროცესებისაგან:

1. ხილის, მწვანეილეულისა და სანელებელთა დამზადება
2. დახარისხება
3. რეცხვა საჭიროებისდა მიხედვით
4. ნაყენების დამზადება
5. ნაყენების შენახვა.

სანელებელთა და ხილის დამზადება. ქარხანაში მიღებული ხილი და სანელებელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის. პიტნა, ტარხუნა, ბაზილიკის ვარდისფოთოლს კრეფენ ვეგეტაციური სიჭიფის დროს; არ უნდა შეიცავდეს უცხო მინარევებს და ქარხანაში მიღებული უნდა იქნეს დაკრფვის დღეს.

ვაშლი, კომში, მსხალი, ალუბალი, ატამი, შვინდი, მარწყვი, ფეიხოა ქარხანამ უნდა მიიღოს სრულიად მწიფე, დაზიანებისა და სხვა სახის ხილის მინარევების გარეშე.

დახარისხება. მიღებული ხილი და სხვა სანელებელი ისინ-

ჯება თვალით, სუფთავდება უცხო მინარევებისაგან. ვარდის ფოთოლს უნდა მოვაცალოთ გვირგვინი. კარდამონსა და იესო-რებს—კანო, პიტნას და ტარხუნას—გახევებული ღეროები, შვინდს, ვაშლსა და სხვ.—ყუნწები.

ნაყოფის რეცხვა. რეცხავენ ტარხუნას, პიტნას, კომშს, შვინდს, ალუბალს, ატამსა და ფეიხოსას.

ნაყენების დამზადება. 1. ვაშლის, ფეიხოსას, კომშის, მსხლისა და ატმის ნაყენებს ამზადებენ ერთჯერადი დაყოვნებით. იღებენ ვაშლს (ფეიხოსას, მსხალს, ატამს, კომშს), დანით თხლად აცილებენ კანს 3—5 მმ სისქით, მიღებულ კანს სწონიან, ყრიან 10 ლ შინის ბალონებში და ასხამენ სპირტის წყალხსნარს. ნაყოფისა და სპირტის წყალხსნარების შეფარდება უნდა იყოს შემდეგი:

ნაენის დასახელება	ნაყოფის შეფარდება სპირტის წყალხსნართან	სპირტის წყალხსნარის სიმკვრე
ვაშლი	1 : 2	80°
კომში	1 : 2,5	80°
მსალი	1 : 2,5	80°
ატამი	1 : 2,5	80°
ფეიხოა	1 : 2,5	80°

დაყოვნების ვადის გასვლის შემდეგ ნაყენს გადმოსახამენ სუფთა შინის ბალონებში და ჰერმეტიულად ხუფავენ. გადამუშავებულ კანს ტვირთავენ წნებში და მსუბუქად წნებავენ. მიღებულ გამოწმურს უმატებენ პირველად გადმოსხმულ ნაყენს. ნაყენის ნარევის აყოვნებენ 3—5 დღის განმავლობაში, რის შემდეგ უკეთებენ დეკანტაციას, ფილტრავენ, ასხამენ შინის ტარაში, ხუფავენ ჰერმეტიულად, უკეთებენ მარკირებას და ინახავენ.

გამოწნებილ კანს ტვირთავენ გამოხახდელ აპარატში, უმატებენ ორმაგი მოცულობის წყალს და ხდიან დარჩენილ სპირტს.

ამ დროს მიიღება ტექნიკური არაყი, რომელიც არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ნაყენების წარმოებაში.

2. ალუბლის, შვინდისა და ხენდროს ნაყენის დამზადება ხდება ერთჯერადი დაყოვნებით. ნაყენების დასამზადებლად მიღებულ ალუბალს, შვინდს და ხენდროს გულდასმით არჩევენ, აცლიან ყუნწებს, რეცხავენ, წონიან და ყრიან 10 ლ ბალონებში და ასხამენ სპირტის წყალხსნარს შემდეგი შეფარდებით:

ნაყენის დასახელება

ნაყოფის და სპორ-
ტის წყალხსნარის
შეფარდება

სპორტის წყალ-
ხსნარის სიძაგრე



შინილი	1 : 2,5	72°
ილუბალი	1 : 2	72°
ხუნდრო	1 : 2,2	72°

დაყოფნება წარმოებს 15 დღეს 15—20°-ზე. ექსტრაგირების უკეთ წარმართვისათვის ახდენენ ყოველდღიურ ერთჯერად არევას. როცა დაყოფნების ვადა ამოიწურება, ნაყენებს გადასახამენ სუფთა ტარაში და ხუთავენ. ნაყენის გადმოსხმის შემდეგ დარჩენილ მასას წნეხავენ და მიღებულ გამონაწურს უმატებენ პირველად მიღებულ ნაყენს.

ნაყენის ნარევის აყოფნებენ 3—5 დღე. შემდეგ უკეთებენ დეკანტაციას, ფილტრავენ, ასხამენ მინის ტარაში, ხუთავენ ჰერმეტიკულად, უკეთებენ მარკირებას და აბარებენ შესანახად.

ნაყენების ნარჩენებს ასხამენ გამოსახდელ კუბში. უმატებენ ორმაგი მოცულობის წყალს და ხდიან დარჩენილ სპორტს. ამ დროს მიიღება ტექნიკური არაყი, რომელიც გამოუსადეგარია ნაყენის დასამზადებლად.

3. ტარხუნის, პიტნის, დაფნის ფოთლის, ვანილინის ნაყენები მზადდება ერთჯერადი დაყოფნებით.

მიღებულ ნედლეულს ათავსებენ 10 ლ ბალონებში და ასხამენ სპორტის წყალხსნარს შემდეგი შეფარდებით.

ნაყენის დასახელება

ნაყოფის შეფარდება
სპორტის წყალხსნარ-
თან

სპორტის წყალ-
ხსნარის სიძაგრე

ტარხუნა	1 : 3	80°
პიტნა	1 : 3	80°
დაფნის ფოთოლი	1 : 2,5	80°
ვანილინი	1 : 2,5	80°

აყოფნებენ 15 დღის განმავლობაში 15—20°-ზე. ექსტრაგირების უკეთ ჩასატარებლად ყოველდღიურად ახდენენ ერთჯერად არევას. დაყოფნების ვადის გასვლის შემდეგ ნაყენს გადაიღებენ სუფთა მშრალ ტარაში და ჰერმეტიკულად ხუთავენ.



გადამუშავებულ ნარჩენებს მსუბუქად გამოწნებავენ, მიღებულ გამოწნაწვლილს უმატებენ პირველ ნაყენს, აყოფენბენ 3—5 დღეს, უკეთებენ დეკანტაციას, ფილტრავენ, ასხამენ მინის ტარაში, ჰერმეტიკულად ხუფავენ და აბარებენ შესანახად.

ნაყენების ნარჩენებს ჩატვირთავენ გამოსახდელ კუბში, უმატებენ ორმაგ წყალს და ხდიან დარჩენილ სპირტს. ამ დროს მიიღება ტექნიკური არაყი, რომელიც გამოუსადეგარია ნაყენების დასამზადებლად.

4. იის ძირებისა და კარდამონისაგან ნაყენის დამზადებას აწარმოებენ ერთჯერადი დაყოფებით.

იის ძირებს და კარდამონს აცლიან კანს, აქუცმაცებენ, ყრიან 10 ლ მინის ბალონებში, ასხამენ სპირტის წყალხსნარს და ჰერმეტიკულად ხუფავენ. სანელებლისა და სპირტის წყალხსნარის შეფარდება უნდა იყოს შემდეგი:

ნაყენების დასახელება	სანელებლისა და სპირტის წყალხსნარის შეფარდება	სპირტის წყალხსნარის სიმკვრივე
იის ძირები	1 : 2,5	83,5°
კარდამონი	1 : 2,5	80°

დაყოფება წარმოებს 30 დღის განმავლობაში 15—20°-ზე. ექსტრაგირების გასაადვილებლად ყოველდღიურად ახდენენ ერთჯერად არევას. ექსტრაქციის ვადის გასვლის შემდეგ ნაყენს ასხამენ მშრალ სუფთა ტარაში და ხუფავენ. გადამუშავებულ სანელებელს წნებავენ. მიღებულ გამოწნაწვლილს უმატებენ პირველ ნაყენს. ნაყენის ნარეგს აყოფენბენ 3—5 დღე და შემდეგ უკეთებენ დეკანტაციას. ასხამენ სუფთა მინის ბალონებში, ხუფავენ ჰერმეტიკულად, უკეთებენ მარკირებას და აბარებენ შესანახად.

ნაყენის ნარჩენებს ტვირთავენ გამოსახდელ კუბში, ასხამენ 3-ჯერადი მოცულობის წყალს და ხდიან ნარჩენ სპირტს. მიღებული ტექნიკური არაყი უვარგისია ნაყენის დასამზადებლად.

5. მიხაკის, დარიჩინისა და ილის ნაყენებს ამზადებენ ერთჯერადი დაყოფებით. მიხაკს, დარიჩინს და ილს ათავსებენ 10 ლ მინის ბალონებში, ასხამენ სპირტის წყალხსნარს და ხუფავენ ჰერმეტიკულად, სანელებლისა და სპირტის წყალხსნარის შეფარდება უნდა იყოს შემდეგი:



ნაყენის დასახელება

სანელებლისა და
სპირტიანი წყალ-
სხნარის შეფარდება

სპირტის წილი
სხნარის ზიმაგრი

მიხაკი	1 : 3	83,5°
დარჩინი	1 : 3	80°
ილი	1 : 3	80°

აყოვნებენ 30 დღის განმავლობაში 15—20° ტემპერატურაზე, ექსტრაგირების გასაადვილებლად ყოველდღე ახდენენ ერთჯერად არევას.

დაყოვნების ვადის გასვლის შემდეგ ნაყენს გადაასხამენ სუფთა პერმეტულად დახურულ ჰურჭელში. გადამუშავებულ სანელებელს წნეხავენ მსუბუქად, მიღებულ გამონაწვლილს უმატებენ პირველ ნაყენს. ნაყენის ნარევის აყოვნებენ 3—5 დღის განმავლობაში, შემდეგ უკეთებენ დეკანტაციას და ასხამენ მინის ბალონებში, რომელთაც ხუფავენ პერმეტულად.

ნაყენის ნარჩენს ტვირთავენ გამოსახდელ კუბში, ასხამენ 3-ჯერადი მოცულობის წყალს და ხდიან ნარჩენ სპირტს. ამ დროს მიღებული ტექნიკური სპირტი გამოუსადეგარია ნაყენების დასამზადებლად.

6. ვარდის ნაყენს ამზადებენ ერთჯერადი დაყოვნებით. ბაზილიკის ვარდის ფოთლებს ყრიან 10 ლ ბალონებში, ასხამენ სპირტის წყალსხნარს შეფარდებით 1 : 3, 80° სიმაგრით და ხუფავენ პერმეტულად.

აყოვნებენ 20 დღის განმავლობაში 15—20°-ზე, ექსტრაგირების გასაადვილებლად ახდენენ ყოველდღიურ ერთჯერად არევას. დაყოვნების ვადის გასვლის შემდეგ ნაყენს გადმოასხამენ სუფთა ბალონებში და ხუფავენ პერმეტულად.

გადამუშავებულ ფოთლებს წნეხავენ, მიღებულ გამონაწვლილს უმატებენ პირველ ნაყენს. ნარევის აყოვნებენ 3—5 დღის განმავლობაში და უკეთებენ დეკანტაციას. ფილტრავენ და ასხამენ მინის ბალონებში, ხუფავენ, უკეთებენ მარკირებას და აბარებენ საწყობს შესანახად.

ნაყენის ნარჩენებს ტვირთავენ გამოსახდელ კუბში, უმატებენ 2-ჯერადი მოცულობის წყალს და ხდიან დარჩენილ სპირტს.

ამ დროს მიღებული ტექნიკური არაყი უვარგისია ნაყენების დასამზადებლად.

ნაყენების შენახვა

ნაყენი ინახება შშრალ, ვენტილაციის შქონე შენობაში, არაუმეტეს 15° ტემპერატურაზე. შენახვის ვადაა 12 თვე.

ტექნოლოგიური ინსტრუქციის დანართი
ნედლეულის ხარჯი 100 კგ ნაყენზე

ნაყენების დასახელება	ნედლეულის ხარჯი		სპირტის პროცენტი, გრ-ში, ლ-ში	ნაყენის სიმკვრე, გრ-ში, არანაკლები	დაუბრუნებელი და- ბარები უწყველი სპირტზე, %-ში
	ნედლეულის კგ-ში	კონი, კგ-ში			
1. ვაშლი	160	50	78,94	53,8	10
2. კომში	150	40	78,94	57,7	10
3. მსხალი	150	40	78,94	26,4	10
4. ტარსუნა	40	—	80,52	60,6	10
5. პიტნა	40	—	80,52	60,6	10
6. ატში	165	40	80,52	54,8	10
7. ვარდი	40	—	88,17	58,6	10
8. ილოებალი	40	—	81,88	58,6	10
9. მარწყვი	45	—	81,88	58,2	10
10. შეიხლი	50,0	—	81,88	60,3	10
11. ღვინო	135,0	40	93,23	63,7	10
12. იის ჭირები	40	—	98,45	71,9	10
13. შიხაი	40	—	98,45	71,9	10
14. დარჩინი	40	—	93,23	55,6	10
15. ილი	40	—	93,23	55,6	10
16. ვანილინი	40	—	93,23	60,1	10
17. კარდამონი	40	—	93,23	63,0	10
18. დაფხა	40	—	93,23	63,0	10

ცხარე ნაყენების დამზადება

ცხარე ნაყენების დასამზადებლად იღებენ ორჯერადი რეკტიფიკაციის სპირტს. თუ სპირტის სიმკვრე 96%-ზე მეტია, მას ანზავებენ წყლით 96%-მდე.



ჯავზის კაკლის ნაყენი. ჩატვირთვის რეცეპტი:

ჯავზი, კგ-ში	
96%/ო-ანი სპირტი, კგ-ში	149,54 (173,33 ლ აბს. ალკოლ.)
წყალი, კგ-ში	0,46
გამოსავლიანობა, კგ-ში	100,0

დაქუცმაცებული ჯავზის კაკალს ტვირთავენ პერკოლატორში და ასხამენ სპირტს. აყოვნებენ ორი დღე-ღამის განმავლობაში 50—50° ტემპერატურაზე, რის შემდეგ ნაყენს აცივებენ და ჩამოასხამენ.

ჯავზის კაკლის ნარჩენს წნებავენ. დაწნების დროს გამოიწურულ სითხეს უმატებენ პირველად ჩამოსხმულ ნაყენს.

კოკას ნაყენი. ჩატვირთვის რეცეპტი:

კოკას ძირი, კგ-ში	11,0
96%/ო-ანი სპირტი, კგ-ში	110,0 (131,2 ლ აბს. ალკოლ.)
გამოსავლიანობა, ლ-ში	100,0

დაქუცმაცებულ კოკას ძირს ტვირთავენ პერკოლატორში და ასხამენ სპირტს.

აყოვნებენ 2 დღე-ღამის განმავლობაში 50—60° ტემპერატურაზე; შემდეგ ნაყენს აცივებენ და ასხამენ, დარჩენილ კოკას ძირს კი წნებავენ. დაწნევისას მიღებულ სითხეს უმატებენ პირვანდელ ჩამოსხმულ ნაყენს.

იის ფესვების ნაყენი. ჩატვირთვის რეცეპტი:

დაფხვნილი იის ფესვები, კგ-ში	31,5
96%/ო-ანი სპირტი, კგ-ში	77,76 (92,73 ლ აბს. ალკოლ.)
წყალი, კგ-ში	47,24
გამოსავლიანობა, კგ-ში	100,0

იის ფესვებს ასუფთავებენ კანისაგან, აქუცმაცებენ მანქანაზე, ათავსებენ პეროკლატორში და ასხამენ სპირტს.

ექსტრაგირების პროცესს აწარმოებენ 2 დღე-ღამის განმავლობაში 75—90°-ზე. შემდეგ ნელ-ნელა აცივებენ, მიღებულ ნაყენს გადმოასხამენ, ხოლო დარჩენილ იის ფესვებს წნებავენ.

დაწნების დროს პირველ გამოწურვას უმატებენ ნაყენს.

დარიჩინის ნაყენი. დაქუცმაცებულ დარიჩინს (0,375 კგ) ასხამენ 60 პროცენტთან წყალ-სპირტიან ნარევის (3,7 ლ) და აყოვნებენ პერიოდული არევიით (არანაკლებ 10-ჯერ) ერთ თვეს, რის



შემდეგ ასხამენ პირველი ჩამოსხმის ნაყენს (3 ლიტრამდე). ჩინს მეორეჯერ ასხამენ 45 პროცენტთან წყალ-სპირტიან ნაყენს (3 ლ) და აყენებენ პერიოდული არევით თვის განმავლობაში, რის შემდეგ ჩამოასხამენ მეორე დასხმას (3,7 ლ).

გადამუშავებულ დარიჩინს ათავსებენ ამოორთქლებელ აპარატში სპირტის ნარჩენის გამოსაწურად.

კოლერის მომზადება

კოლერის ხარშვა რეკომენდებულია გადმოსაყირავებელ სპილენძის ან უეანგავი ფოლადის ქვაბში, რომელსაც აქვს ელექტროგამახურებელი მოწყობილობა. ქვაბი იდგმება საამქროში წვეის ქვეშ.

თუ კოლერი მზადდება რკინის ან ჩუგუნის ქვაბებში ცეცხლზე გახურებით, მაშინ მას აყენებენ ღუმელის აგურის წყობაში. ამ შემთხვევაში კოლერის სახარშად გამოყოფენ იზოლირებულ სათავსოს.

ვინაიდან კოლერის ხარშვა მოითხოვს მუდმივ მორევას, ამიტომ ქვაბს უყენებენ მექანიკურ სარეველას. ქვაბის მოცულობა უნდა იყოს 4 ჯერ მეტი კოლერის დასამზადებლად ქვაბში ჩატვირთულ შაქრის მოცულობაზე.

აუცილებელია, რომ კოლერის დასამზადებლად შაქარი იყოს სუფთა და მექანიკურად დაუჭუჭყიანებელი.

ქვაბში ტვირთავენ აწონილი რაოდენობის შაქარს, უმატებენ 1—2% წყალს, რთავენ სარეველას და იწყებენ გაცხელებას. შაქარი დნება და იძენს შავ მურა შეფერილობას; ამასთან წყვეტენ გაცხელებას, უმატებენ წვრილ ჭავლებად, არევის შეუწყვეტილ, ცხელ წყალს (8% ჩატვირთული შაქრის წონასთან). წყალი უნდა დაემატოს ფრთხილად, რომ აუთუებული მასის ცხელი შეფები არ მოხედეს მომუშავეს. შემდეგ ხელახლა აცხელებენ ქვაბს და განაგრძობენ ხარშვას 160—180°-მდე—მისი სრულ მომზადებამდე. ხარშვის დროს უნდა გაისინჯოს კოლერის ტემპერატურა, რომ არ მოხდეს მასის მიწვა.

კოლერის მზადყოფნას შემდეგნაირად განსაზღვრავენ. ქვაბიდან ამოღებული ხის ჯოხით სინჯი უნდა გაიწელოს და გამაგრდეს



მოქნილ დაფად ან მინის ფირფიტაზე დაწვეთებისას უნდა წარმოვიღო
 მნას ამობურკული გაუშლელი წვეთი.

ხარშვის დამთავრებისას წყვეტენ გაცხელებას, მასას აცივე-
 ბენ 60°-მდე და უმატებენ ცხელ წყალს ისე, რომ არევის შემდეგ
 მივიღოთ 70% სიმკვრივე შაქარმზომით. მზა კოლერს გადმოასხა-
 მენ ქვაბიდან, წონიან და ასხამენ ბალონებში ან ქასრებში.

70%-ანი სიმკვრივის კოლერის გამოსავალი შეადგენს 105% ს
 დახარჯული შაქრის წონასთან.

კოლერისაგან გაცლილ ქვაბს კარგად რეკხავენ ცხელი
 წყლით, აშრობენ და ახურავენ სახურავს დაჭუჭყიანების თავიდან
 ასაცილებლად.

კოლერის ხარშვისას შაქრის მშრალი ნივთიერების დანაკარგი
 27—29% ს შეადგენს.



უაღკოპოლო სასმელების მრეწველობის ქარხნების მიერ გამოწვეული დუდილის სასმელებს ეკუთვნის: ბურახი, თაფლის სასმელები, ბრაგა და სასმელი „ბუზა“. ბურახი და „ბუზა“ კომბინირებული სპირტოვანი და რძემწავა დაუმთავრებელი დუდილის პროდუქტებია. თაფლის სასმელები და ბრაგა ეკუთვნის სპირტოვანი დუდილის სასმელებს.

აღნიშნული სასმელების დამზადება წარმოებს შესაბამის ორგანიზაციათა მიერ დამტკიცებული რეცეპტებით.

დუდილის სასმელები ორგანოლექტიკური და ფიზიკურ-ქიმიური მონაცემებით უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სტანდარტებისა და რტპ მოთხოვნებს.

სასმელების გასინჯვა და ხარისხის განსაზღვრა წარმოებს გასინჯვის მეთოდებზე მოქმედი სტანდარტების შესაბამისად (რ687—53 სახ.სტანდარტი).

სასმელების ორგანოლექტიკური შეფასება წარმოებს სადგეუსტაციო კომისიებს მიერ სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს 6 IX—1958 წ. № 28 დებულებით დამტკიცებული ბალური სისტემით.

ნაღლეულისა და დამხმარე მასალების ხარისხი

დუდილის სასმელების წარმოებაში გამოყენებული ძირითადი ნედლეული და მასალები უნდა პასუხობდნენ მოქმედი სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნებს.

ქვავის ალაო



ორგანოლექტიკური და ფიზიკურ-ქიმიური მანქანების ალაო უნდა აკმაყოფილებდეს რსფსრ 199—59 რტპ მოთხოვნებს.

ალაოს ორგანოლექტიკური მონაცემები შემდეგია:

გემო—მომგავო-ტუბილი, მიახლოებით ქვავის პურის გემოსი, მწარე გემოგადაკრულობის გარეშე;

სუნი—მოცემული ალაოს სახეობისათვის დამახასიათებელი ობისა და შმორის სუნის გარეშე;

ფერი—წაბლისფერიდან შავ-მურაფერამდე წითელი ფერგადაკრულობით.

დაფქვის სიმსხო—ნარჩენის გარეშე უნდა იცრებოდეს საცერ № 085-ში (3924—47 სახ. სტანდარტი).

ალაოს ფიზიკურ-ქიმიური მონაცემები:

ტენიანობა (%-ში, არაუმეტესი):	
მარცლოვანი ალაოსათვის	8,0
დაფქვილი ალაოსათვის	10,0
წყალში ხსნადი ნივთიერებანი (დამონაწვლილას ექსტრაქტი) შერალ ნივთიერებაზე გადანგარიშებით, %-ში, არანაკლებ	60,0
მეფიანობა, მლ-ში N ტუტე ხსნარით 100 გ ექსტრაქტში, არანაკლებ	90,0
ალაოს ფერი მლ-ში 0,1 N იოდის ხსნარით 100 გ ექსტრაქტზე, არანაკლებ	35
გარეშე მინარევები (ჭვიშა და სხვ.) არ დაიშვება	
ლითონმინარევები ¹ მგ-ში 1 კგ-ზე, არაუმეტეს	3

ქერის ალაო

ორგანოლექტიკურ და ფიზიკურ-ქიმიური მონაცემებით ალაომ უნდა დააკმაყოფილოს რსფსრ 198—57 რტპ მოთხოვნები.

ქერას ალაოს ორგანოლექტიკური მონაცემები შემდეგია: ფერი—სუფთა, თანაბრად ღია ყვითელი ან ყვითელი, არ უნდა ჰქონდეს მომწვანო და ბნელი ტონები, რაც მოასწავებს დაობებას;

სუნი—მკვეთრად გამოხატული, ალაოსათვის დამახასიათებელი, განსაკუთრებით კი ძლიერი და დამახასიათებელია უკრაინული ალაოსათვის. დასაშვებია არაა შმორისა და ობისაგან გამოცემული სუნი;

¹ ლითონმინარევების ცალკე ნაწილაკების სიდიდემ უდიდეს სიგრძეზე განზომილებას არ უნდა გადააჭარბოს 0,3 მმ-ზე მეტად.



	წყაროს რე- ოდნობა ფო- გელის საცერ- ზე დაბარიბე- ბისას, 9/10-ში არაუმეტესი	წი- ლი არაუმეტესი	დაშაქრების ბანგრძლივობა წუთ. არაუმე- ტესი	ექსტრაქტის გა- მოსავლიანობა მშრალ ნეთიერე- ბაზე, %-ში არა- ნაკლები
რუსული:				
I ხარისხს	2	6	20	75
II ხარისხს	3	6	25	70
უგულვის				
I ხარისხს	2	6	25	75
II ხარისხს	3	6	30	70
უკრაინული				
I ხარისხს	2	6	30	73
II ხარისხს	3	6	35	68

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: წყაროს კვეშ იგულისხმება ზეირი მარცვალი, რომელიც იცრება 2,2-
 მმ ზომის ნასვრეტშიან საცერში.

ქვავის პურსაცხოზი ფქვილი

ქვავის პურსაცხოზი ფქვილი უნდა შეესაბამებოდეს 7045—
 54 სახ. სტანდარტის მოთხოვნებს.

ფქვილის ორგანოლექტიკური მონაცემები შემდეგია:

ფერი—თეთრი-მორუხო, მარცვლის გარსაცმის შესატყვისი
 ნაწილაკებით:

სუნი—ნორმალური ფქვილის შესატყვისი, ობის, შმორისა
 და სხვა სუნის გარეშე.

გემო—ნორმალური ფქვილისათვის დამახასიათებელი, მომგა-
 ვო-მომწარო და სხვა გემოგადაკრულობის გარეშე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სადაო შემთხვევაში ფქვილის სტანდარტულობის დასადგენად ორგა-
 ნოლექტიკური მაჩვენებლებით აზღუნენ ამ ფქვილისაგან გამომცხვარი
 პურის დეგუსტაციას.

ქვავის პურსაცხოზი ფქვილის ფიზიკურ-ქიმიური მონაცემები:

ტენიანობა, %ით 15,0
 ნაქრონიანობა აბსოლუტურ მშრალ ნივთიერებაზე, %ით, არაუმეტეს 2,0
 მკვარამ არანაკლებ 0,000001
 ლითონმინარევეები 1 კგ ფქვილზე, მგ-ით არაუმეტესი 200
 ბელის მკვებლობით დაავადებული ფქვილის ან სხვა დაავადების ნიშნები დაუშვებელია

ბურახის კვერები (პურები)

ბურახის კვერები უნდა იყოს მუქი ყავისფერი და უნდა ჰქონდეს კვავის პურის დამახასიათებელი არომატი და გემო. დასაშვები არაა მწარე ან დამწვარი გემოგადაკრულობა, ასევე შმორის, ობის ან სხვა გარეშე სუნი.

მზა ბურახის კვერებს უნდა ჰქონდეთ შემდეგი მაჩვენებლები:

ტენიანობა, %-ში (არაუმეტეს)	40
გამონაწვლილის ექსტრაქტულობა მშრალ ნივთიერებაზე, %-ში (არანაკლებ)	52
მკვარეობა მლ-ში N ტუტის ხსნარით 100 გ გამონაწვლილის ექსტრაქტზე (არაუმეტეს)	40

მშრალი პურის ბურახი

ორგანოლემპტიკური და ქიმიური მაჩვენებლები უნდა შეესაბამებოდეს კვების მრეწველობის სახკომ. 353 საერთო სახ. სტანდარტს.

ბურახის ორგანოლემპტიკური მაჩვენებლები შემდეგია:

- გემო—კვავის ფქვილის დამახასიათებელი ტკბილი-მომყავო გემო, მწარე და მიმწვარი გემოგადაკრულობის გარეშე;
- სუნი—კვავის ფქვილის დამახასიათებელი არომატი, შმორის, ობის ან სხვა უცხო მინარევეების გარეშე;
- ფერი—შავი-მოყავისფრო.

მშრალი ბურახი უნდა იყოს მსხვილად დაფქვილი. დასაშვებია წვრილნაფქვავის მინარევი, ფქვილის სახით არაუმეტეს 10%-ის რაოდენობით.

მშრალი ბურახის ქიმიური მაჩვენებლები:

ტენის შემცველობა ქარბანაში მიღებისას, %-ში	არაუმეტეს 10
წყალში ხსნად ნივთიერებათა შემადგენლობა (გამონაწვლილის ექსტრაქტი) %-ში მშრალ ნივთიერებაზე	არანაკლებ 52

მეფიანობა მლ-ში N ტუტის სსნარი 100 გ

გამონაწევილის კვსტრაქტზე არაუმეტეს

მშრალი ბურახის ფერი მლ-ში N იოდის

სსნარი 100 გ კვსტრაქტზე არანაკლებ



ფეტვის ბურღული

სასმელი „ბუხა“-ს დასამზადებლად გამოყენებული ფეტვის ბურღული უნდა შეესაბამებოდეს 5996 საერთო საკ. სტანდარტს.

ფეტვის ბურღული გარსგაცილილი ფეტვის თესლია, აქვს ყვითელი ფერი სხვადასხვა ფერგადაკრულობით. არ დაიშვება მწარე გემო და შმორის ან მძალე სუნი.

ფეტვის ბურღულის ტენიანობა უნდა იყოს არაუმეტეს 14,5%-სა, მინერალური მინარევების შემცველობა—არაუმეტეს 0,2%.

ს ვ ი ა

სვია უნდა შეესაბამებოდეს 8473—57 სახ. სტანდარტს.

ხარისხის მიხედვით იგი იყოფა სამ სასაქონლო ხარისხად.

დამზადებული სვია (ნედლეული) და დაწინებილი (კონსერვირებული) ხარისხის მიხედვით უნდა აკმაყოფილებდეს ცხრილში მოტანილ მოთხოვნებს.

მარკენბელთა დასახელება	სასაქონლო ხარისხი		
	I	II	III
1	2	3	4
გირჩის ფერი	ღია მწვანედან ოქროსფერ-მწვანედ	მოყვითალო მწვანე	მომწვანო ყვითელი
	„ფურცლის“ სორტისათვის დასაშვებია გირჩის შეფერვა ღია მწვანე ფერით		
	დასაშვებია ფურცლების ბოლო შეწითლებული გირჩები		დასაშვებია ყვითელი, ვაყისფერ ლაქებიანი გირჩები

1	2	3	
სუნი	ნაზი, სუფთა სვიის	სუფთა სვიის, უცხო ფერგადაქრულობის გარეშე	სვიისებური მკაფიო, კვამლის, ვალერიანისა და სხვა უცხო მინარევის გარეშე
ჩენილი მარცვლები (კირაკლევი)	კრილა, მწებარე ოქროს ან ვეთივლი ფერის	კრილა, მწებარე ყვითელიდან ოქროს-ფერ-ყვითელ ფერამდე და მოშავო-ყვითელი ფერი	დანაშვებია მკრთალი არამწებარე, მოშავო ნარჩენის ფერი
გირჩები, დაზიანებული და ავადღებისა და მანებლობისაგან, % ⁰ -ში წონასთან (არაუშეტესი). ობისაგან დაზიანებული	არ დაიშვება	1,0	5,0
ფოთლების, ღეროებისა და სხვა მინარევის შემცველობა % ⁰ -ში წონასთან (არაუშეტესი)	არ დაიშვება	არ დაიშვება	არ დაიშვება
ფოთლების, ღეროებისა და სხვა მინარევის შემცველობა % ⁰ -ში წონასთან (არაუშეტესი)	0,5	1,0	5,0
თესლიანობა, % ⁰ -ში მშრალი ნივთიერების წონასთან (არაუშეტესი)	1,25	2,0	4,0
ტენიანობა, % ⁰ -ში (არაუშეტესი)	13,0	13,0	13,0
ნაცრიანობა მშრალი ნივთიერების წონასთან (არაუშეტესი)	10,0	11,0	12,0
მწარე ნივთიერებათა რაოდენობა % ⁰ -ში მშრალი ნივთიერების წონასთან (არაუშეტესი)	15,0	12,0	10,0

სვიის ნედლეულის გირჩები უნდა იყოს ტექნიკურად შემოსული. არ უნდა ჰქონდეს ნაზარდი ფურცლები, ყვავილის ყუნწის სიგრძე უნდა უდრიდეს საშუალოდ 2 სმ.

პირველი სორტის გირჩის ზომები ერთმანეთისაგან შეიძლება განსხვავდებოდეს არაუმეტეს 1,5 სმ-ით, მეორე სორტის კი—

2 სმ-ით. შესაძლოა სორტის გირჩებში დასაშვებია წამონახარდი ფოთლები, რომელთა ყუნწის სიგრძემ შეიძლება 2 სმ-ს გადააქარბოს.



პურსაცხოზი დაწნეხილი საფუარი

პურსაცხოზი დაწნეხილი საფუარები უნდა აკმაყოფილებდნენ 171—51 სახ. სტანდარტის მოთხოვნებს.

პურსაცხოზი საფუარების ორგანოლემპტიკური მაჩვენებლები შემდეგია:

ფერი—რუხი, მოყვითალო ფერგადაკრულობით; ცელის ზედაპირზე არ უნდა ჰქონდეს შავი ლაქები.

აღნაგობა—მკიდრო; საფუარი ადვილად უნდა ტყდებოდეს და არ იგნისებოდეს.

გემო და სუნი—საფუარებისათვის დამახასიათებელი; დასაშვები არაა ობისა და სხვა უცხო სუნი.

ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები:

ტენიანობა, %-ში	არაუმეტეს	76
კოშის აწვეა 70 მმ-მდე, წო	არაუმეტეს	85
100 გ საფუარის მთლიანობა მარმეაზე გადანგარიშებით მგ-ში, ქარხნიდან გამოშვების დღეს	არაუმეტეს	120
100 გ საფუარის მთლიანობა მარმეაზე გადანგარიშებით მგ-ში, 10 დღე-ღამის შენახვის ან 0-დან 40° ტემპერატურაზე ტრანსპორტირების შემდეგ	არაუმეტეს	360

0-დან 4° ტემპერატურაზე შენახვისა და ტრანსპორტირების პირობებში საფუარების ხარისხი ქარხანა-დამამზადებელს მიერ გარანტირებულია არანაკლებ 10 დღის ვადით დღიდან გამოშვებისა.

ბურახის მშრალი საფუარი

ბურახის მშრალი საფუარი, დამზადებული სუფთა კულტურის M-ბურახის რასის საფუარისაგან, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

გარეგანი სახე—ვერმიშელის ძაფები, ფენალი ან გრანული მორტხო-ყუთვი, ღია ყვითელი.

ტენიანობა, %-ში—7—10.

მალღარი ძალა—არანაკლებ 2,5 ლ CO₂ 100 გ ბურახის ბადაზე 7% სიმკვრივით, 24 საათის განმავლობაში 30°C-ზე.

შენახვის ვადა—3 თვე, არაუმეტეს 8° ტემპერატურაზე. პერმეტულად დაზღვეულ, თავამდე სვეს ტარაში; დასაშვებია მადღლარი მდებარეობის დაქვეითება 10%-ით ერთ თვეში.

კულტურის სისუფთავე—არ დაიშვება სპორის მატარებელი ბაქტერიები და ლეიკონოსტოკის არსებობა.

ბურახის რძეშევა მშრალი ბაქტერიები ბურახის ხარშვისათვის

ბურახის მშრალი ბაქტერიები, რძეშევა კულტურის 11 და 13 რასის ბაქტერიებისაგან დამზადებული, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

გარეგანი სახე—გამომშრალი ლუღის მარცვლი.

სუნი—დამახასიათებელი მარცვლისათვის, არ დაიშვება დამწლისა და ობის სუნი.

ტენიანობა, %-ში—7—10.

აქტიურობა

შეივს დაგროვებაზე—არანაკლებ 2,5 მლ-სა 0,1 ნორმალის ტუტს ხსნარით 100 მლ წითელ ბადავზე. (საწიხის სიმკვრივე 7 % 24 საათში 30°-ზე).

დაცულობა—3 თვე არაუმეტეს 8° ტემპერატურაზე, პერმეტულად დაზღვეული, პირამდე სვეს ტარაში; დასაშვებია აქტიურობის დაქვეითება თვეში 10%-ით.

კულტურის სისუფთავე—არ დაიშვება კარტოდილის მხირებისა და ლეიკონოსტოკის არსებობა.

მუხის კასრები

თანხმად 4972—49 სახელმწიფო სტანდარტისა, კასრები მზადდება სამი ტევადობის: 50, 100 და 150 ლ.

სტანდარტით ნებადართულია სხვა ტევადობის კასრების გამოყენება, რომლებიც დამზადებულია ამჟამად მოქმედი სტანდარტის შემოღებამდე.

ცხრილში მოტანილია კასრების ზომები, მმ-ში:

კასრების ტევადობა, ლ-ში	გარე ღიაშეტრები		სიმაღლე შეუღულზე	შეგ-ღიაშეტრები		მანძილი ძირებს შორის	ძირების ღიაშეტრის მე	განივი ღარის სიღრმე და სიგანე
	თავის წელზე	შუა წელზე		შუა ძირებზე	თან			
50	400	480	560	430	350	420	360	7×8
100	480	575	680	525	430	540	444	8×8
150	540	650	780	620	480	640	474	8×8

ყოველგვარი მოცულობის კასრების საერთო ზომები, მმ ში:



მანძილი ტორსიდან განივღარამდე	40
ჩასახმელი ხერულის გარე დიამეტრი	50
ძირების ნახოლის სიგანე	
გარეგანი	20
შიგნითა	50-60

აწყობილ კასრში დაუშვებელია: კორდები ტორსის ჩონჩხზე, ასევე განივღარის ნარიმანდის ზონაში უქანასკნელიდან 20 მმ მანძილზე—გამქოლი კორდები; სალტეების ნაწიბურების ჩონჩხზე და ძირებზე—სიდამპლე, კიანაქამობა, ნაქურთი და ნაცდენი ფიცრები. კასრებს უნდა ჰქონდეთ სწორი ფორმა; გვერდითი ფიცრები დახრილი და გატეხილი არ უნდა იყოს.

50 მმ დიამეტრის მქონე ჩასახმელი ხერელი კეთდება ერთ-ერთ გვერდით ფიცარზე, რომლის სიგანე უნდა იყოს სულ მცირე 100 მმ.

კასრის ერთ-ერთი ძირის ბოლო ფიცარზე კიდედან 5 სმ დაშორებით იხვრიტება და ამოიწვება 25 მმ მრგვალი ხერელი, რომელიც იხურება რბილი ჯიშის მერქნის საცობით. ფიცარი, რომელშიც ამოიხურება ხერელი, უნდა იყოს არანაკლებ 100 მმ სიგანისა.

აუცილებელია, რომ კასრი სუფთა იყოს როგორც შიგნიდან, ისე გარედან, არ ჰქონდეს მუხის მერქნისათვის დამახასიათებელი სუნი.

გასინჯვისას სითხის ჩახხმისა და ექსპლოატაციის დროს კასრებიდან სითხემ არ უნდა გამოჟონოს.

დუღილის სასმელების წარმოებაში გამოყენებული წყალი, შაქარი, რძის მჟავა, ნახშირმჟავა, ბოთლი, ყუთი, სარეცხი და დებინფექციის საშუალებანი უნდა შეესაბამებოდნენ განყოფილებაში „ნედლეულისა და დამხმარე მასალების ხარისხი“ მოცემული უალკოჰოლო სასმელებისა და სიროფების წარმოების ტექნოლოგიური ინსტრუქციების მოთხოვნებს.

ცისტერნების რეცხვა წარმოებს სპეციალურად მოწყობილ⁷ მოასფალტებულ მოედანზე, რომელსაც უნდა ჰქონდეს ნარეცი წყლების კანალიზაციაში ჩასადენი მილი და შლანგებისა და ცისტერნის მოწყობილობის მოსახსნელი ნაწილების შესანახი სპეციალური ყუთი.

ალუმინის ახალ ცისტერნებს ექსპლოატაციაში გაშვების წინ გულდასმით რეცხავენ წყლით, შემდეგ ავლებენ 5 პროცენტაინი აზოტმეფავს წყლიანი ხსნარით და საბოლოოდ რეცხავენ ცხელი და ცივი წყლით.

ცისტერნები, რომლებიც მიიღება ქარხანაში სავაჭრო ქელიდან, ბურაბის ნარჩენებისაგან იკლება გამომშვები მილყელიდან და ირეცხება წყალსადენის წყლით რეზინის შლანგის საშუალებით (წყლის წნევა უნდა იყოს არანაკლები 2 ატმ.).

იმ შემთხვევებში, როცა ცისტერნს შიგა ზედაპირზე აქვს წყლით გაურეცხავი ნალექი, მაშინ შიგა ზედაპირს წმენდენ მექანიკური ჯაგრისით.

ცისტერნის შიგა ზედაპირის სისუფთავე განისაზღვრება ორგანოლებტიკურად—გამომავალ ნარეცხ წყალს არ უნდა ჰქონდეს ქაფი და უნდა იყოს გამჟვრვალე კიქაში გასინჯვით.

ცისტერნის შპრიცებში წყლის მიმწოდებელ შლანგს ყოველდღე უკეთებენ დეზინფექციას ქლორიანი კირის ხსნარით (0,01%).

კ ა ს რ ე ბ ი

კასრების რეცხვა წარმოებს შემდეგნაირად.

დაბალი ძაბვის ელექტრონათურით წინასწარ სინჯავენ კასრების შიგა ზედაპირს—ხიწვების, საცობებისა და სხვა უცხო საგნების გამოსავლინებლად.

უცხო საგნების მოცილების, ფისის მთლიანობისა და სუნზე გასინჯვის შემდეგ კასრებს მათი მოცულობის 1/4-მდე ავსებენ ცხელი წყლით (45—55°) და ათავსებენ სარეცი მანქანის საკორავებზე, სადაც კასრის გარე ზედაპირი იწმინდება ჯაგრისებით და ირეცხება ცხელი წყლით; შემდეგ კასრებს თანმიმდევრობით შპრიც-

ტების მეოხებით, ავლებენ წყალს, რომლის წნევაა სულ მცირე 1,5—2,0 ატმ.



ხელით კასრის რეცხვისას მის შიგა ზედაპირს უნდა გაუფრთხილო (100—200 მკ 1 ლ წყალზე), შემდეგ წყლით უნდა გამოვავლოთ მომდევნო ორ შპრიცზე.

გაუფრთხილო კასრების გარეცხვისას წყლის ტემპერატურა არ უნდა იყოს 80°-ზე ნაკლები.

რეცხვის დამთავრების შემდეგ კასრებს განმეორებით ამოწმებენ (წუნდება).

გარეცხილ კასრებს უკეთებენ სუფთა საცობს, ათავსებენ რელსებზე და გზავნიან ჩამოსხმის განყოფილებაში. გარეცხილი კასრების იატაკზე გაგორება აკრძალულია.

კასრის საცობები უნდა ინახებოდეს სპეციალურ კურჭელში, რომელშიც ქლორიანი კირის ხსნარია (0,01-პროცენტიანი).

პურის ბურახის დამზადება

პურის ბურახის წარმოების ტექნოლოგიური პროცესი შედგება:

ბურახის ბადაგის მომზადების, დუღილის, კუბაჩისა და ბურახის ჩამოსხმისაგან.

ბურახის ბადაგის მომზადება

პურის ბურახის მომზადებისას უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება მეტი რაოდენობის წყალში ხსნადი ნივთიერებები მივიღოთ პურპროდუქტებისგან.

ბურახის ბადაგს ღებულობენ დაყენების ან რაციონალური მეთოდებით.

დაყენების მეთოდი. დაყენების მეთოდით ბურახის ბადაგის დამზადება მდგომარეობს ცხელი წყლის საშუალებით ბურახის კვერებისაგან ან მშრალი ბურახისაგან ექსტრაქტულ ნივთიერებათა (გამოტუტვა) გამოწვლილვასა და პურის ნედლეულში უხსნადი ნაწილის (ნალექი) გამოცალკეებაში.

მშრალ ბურახს ყრიან უშუალოდ დასაყენებელ როფში, ხოლო ბურახის კვერებს წინასწარ აქუცმაცებენ პურსაპრელებში უშუალებით.

როფს ავებენ $80-90^{\circ}$ ტემპერატურაში წყლით იმ ანგარიშით, რომ მივიღოთ დასამზადებელი ბურახის 1,3 მოცულობის პირველადი ბადაგი. ურევინ და თანდათან უმატებენ დაქუცმაცებულ ბურახის კვერს ან მშრალ ბურახს, რომელიც გაანგარიშებულია რეკვატურით დასამზადებელი ბურახის მოცულობაზე. ურევინ 30 წუთის განმავლობაში და შეკვდევ აყოვნებენ 1,5—2 საათს. დაყოვნებული პირველი ბურახის ბადაგს ფრთხილად, ისე რომ არ შეეხონ ლექს, გადაქაჩავენ მაცივრის გავლით სადღუღარ როფში.

დასაყენებელ როფში დარჩენილ ლექს კვლავ ასხამენ $60-70^{\circ}$ ტემპერატურაზე გაცხელებულ წყალს, რომლის მოცულობა ტოლი უნდა იყოს პირველად მოხსნილ ბადაგის მოცულობისა. 20 წუთის განმავლობაში აწარმოებენ მორევას, რის შემდეგ 1,5 საათს აყოვნებენ. მეორე ბადაგს უკეთებენ დეკანტაციას და მაცივრის გავლით უერთებენ პირველ ბადაგს. ლექის მესამე დასხმისათვის ცხელ წყალს იღებენ იმ რაოდენობით, რომ მიღებული უკანასკნელი ბადაგი საქმარის იყოს ბადაგის საჭირო მოცულობამდე შესავსებად.

მესამე ბადაგის მიღებისას ურევინ 20 წუთის განმავლობაში და აყოვნებენ 1 საათს. მესამე ბადაგს გაცივების შემდეგ უმატებენ ადრე მიღებულ პირველ და მეორე ბადაგს.

იმ შემთხვევაში, თუ გვაქვს რამდენიმე როფი დაყენე ბისათვის, მაშინ საერთო ბადაგის უფრო სწრაფად მისაღებად რეკომენდებულია პირველი, მეორე და მესამე ბადაგები ერთდროულად გადმოვასხათ სხვადასხვა დასაყენებელ როფებიდან ერთ შემგროვში ან სადღუღარ როფში. ამ დროს სამივე როფში დაყოვნებას ახდენენ იმ ანგარიშით, რომ პირველი ბადაგის გადმოსხმის დამთავრებისას გადმოსხმისათვის მზად იყოს მეორე ბადაგი, ამ უკანასკნელის გადმოსხმის დამთავრებისას კი მზად იყოს მესამე ბადაგი მოხსნისათვის.

როგორც ერთი, ისე მეორე მეთოდით მიღებული საერთო ბადაგის სიმკვრივე უნდა იყოს არანაკლებ 1,5%-სა შქარშზომით. მოცულობის მიხედვით საერთო ბადაგის გამოსავლიანობა დასამზადებელი ბურახის მოცულობის ტოლი უნდა იყოს.

მზა ბადაგი 25° ტემპერატურაზე გადააქვთ დასადღუღებლად.



რაციონალური მეთოდით. რაციონალური მეთოდით ბურახის დამზადების დროს პურის ქვერებების ან მშრალი ბურახის ნაცვლად ხმარობენ პურპროდუქტებს: ქვავის ფქვილს, დაქუცმაცებულ ქერს ან ქვავის ალაოს¹. პურის გემოსა და არომატის მისაღებად ქვავის ფქვილს და ქვავის ალაოს გაქნამდე ატარებენ ორთქლში.

ორთქლის პერანგის მქონე ჰერმეტიკულად დახურულ სპეციალურ სარეველიან აპარატში ქვავის ალაო და ქვავის ფქვილი შეაქვთ რეკუპტურის შესაბამისად და ასხამენ ცხელ წყალს 40—100 % რაოდენობით აღებული პურპროდუქტების წონიდან. განუწყვეტელი არევის პირობებში ქვავს აცხელებენ ორთქლის პერანგით. მოთუთქვის პროცესი გრძელდება ორი საათის განმავლობაში 1,5—20 ატმ. წნევის ქვეშ, მუდმივი არევით.

გათუთქვის პროცესის დამთავრების შემდეგ მასა დასაშაქრავად გადააქვთ როფში, რომელშიც წინასწარ ასხამენ ცხელ წყალს ტემპერატურით 55° და ყრიან ქერის ალაოს. არომატულ ნივთიერებათა უფრო სრული შენარჩუნების მიზნით, რომლებიც წარმოიშობა პურპროდუქტების მოთუთქვისას, მოთუთქული მასა გადატანილ უნდა იქნეს შემდეგი პირობების დაცვით:

ა) მოთუთქული მასის ქვაბიდან გადმოტანის წინ ქვაბში უშვებენ ცივ წყალს (წნევით), ურევენ და თხევადი მასა მხოლოდ ამის შემდეგ გადააქვთ როფში.

ბ) მილის ან შლანგის ბოლო, რომლითაც გადაიტანება მოთუთქული მასა, უნდა იყოს როფში სითხის დონეზე დაბლა.

მოთუთქული მასის დაშაქრება ხდება არევით შემდეგი რეჟიმის დაცვით:

- სითხის გაცხელება 64°-მდე;
- დაყოვნება 64°-ზე 60 წუთის განმავლობაში;
- გაცხელება 72°-მდე;
- დაყოვნება 72°-ზე 20 წუთის განმავლობაში;
- გაცხელება 80°-მდე;
- დაყოვნება 90°-ზე 10 წუთის განმავლობაში.

¹ რეკომენდებულია ქვავის ალაოს შემდეგი ნაფქვაკი. %-ში: მსხვილი ღერ-ლილი (1 მმ-მდე დიამეტრით) 60—70; მსხვილი, საშუალო და წვრილი (0,22 მმ-მდე დიამეტრით) 26—34.
ფქვილი — ნაწილაკები 0,22 მმ-ზე ნაკლები (დიამეტრით) 4—6.



დაშაქრების შემდეგ ბადაგს აცლიან შეტივტინარებულ ნაწილს და ლაქებს ფილტრაციით, საფილტრაციო როფის დახმარებით პარაციით. ბადაგი გადააქვთ შემგროვში ან სადულარ როფში. ლექს ასხამენ 60—70° ტემპერატურაზე გაცხელებულ წყალს, ურევინ და ლებულობენ მეორე ბადაგს, რომელსაც უერთებენ პირველს.

ბადაგის საერთო სიმკვრივე არ უნდა იყოს 1,5%-ზე ნაკლები შაქარშოშით. მოცულობის მიხედვით ბადაგის საერთო გამოსავალი დასამზადებელი ბურახის მოცულობის ტოლი უნდა იყოს.

მზა ბადაგს აცივებენ 25°-მდე და გადააქვთ ასადულებლად.

მეავე ბურახისა და შეჭამანდისათვის ბადაგის დამზადება. მეავე ბურახისა და შეჭამანდისათვის ბადაგს ამზადებენ დაყენების მეთოდით, ისე როგორც ზემოთაა აღწერილი, მაგრამ ნედლეულის ხარჯის ნორმები დაცული უნდა იყოს დადგენილი რეცეპტურის მიხედვით. ბურახის შეჭამანდისათვის ჭვავის, ქერის, ალაობისა და კიავის ფქვილისაგან ბადაგის დამზადებისას ჭვავის ფქვილს გამოხარშავენ ცხელი წყლით (10 წილი წყალი, 1 წილი ფქვილი). ნახარშს კარგად ურევინ, აცივებენ 55°-მდე და უშატებენ დაღერლილ ჭვავისა და ქერის ალაოს და 70—73° ტემპერატურამდე გაცხელებულ წყალს. შემდგომ პროცესი მიყავთ ისე, როგორც დაყენების მეთოდით ბადაგის მიღების დროს.

ბადაგის საერთო სიმკვრივე უნდა იყოს არანაკლებ 1,2 შაქარშოშით. მოცულობის მიხედვით ბადაგის გამოსავალი დასამზადებელი ბურახის მოცულობას უნდა უდრიდეს.

ბურახის ბადაგის დუღილი

ბურახის ბადაგის დუღილით წარმოიქმნება ბურახისათვის დამახასიათებელი გემო, არომატი და ნახშირმჟავა.

ბურახის ბადაგის დუღილი წარმოებს ალუმინის, დამცველა ლაქებით დაფარული რკინის ან ხის როფებში, აგრეთვე იაკუბოვიჩისა და პურისმანის სისტემის სპეციალურ სადულარ საკუპავე აპარატებში.

საერთო ბადაგს სადულარ როფში ვადატანის შემდეგ¹ ლევინ 25% შაქარს¹ (რეცეპტურით გათვალისწინებული რაოდენობიდან) თეთრი სიროფის სახით არაუმეტეს 25° ტემპერატურისას და კარგად ურევენ. უმატებენ საფუარის სუფთა კულტურას და რეცეპტურა ბაქტერიების მომზადებულ კომბინირებულ ნაყენს (2-4%-მდე ბადაგის მოცულობასთან შეფარდებით) ან ზემოაღნიშნულ ტექნიკურად სუფთა კულტურებისაგან მიღებულ შესაბამის ნაზავს (საფუარი - 0,8%, რეცეპტურა ბაქტერიები - 0,06% ბადაგის მოცულობიდან) ან ოცენაზე პურსაცხობ საფუარს.

გულდასმით არევის შემდეგ იღებენ სინჯს დუღილის დაწყებას წინ სიძვერისა და ბადაგის შეავიანობის განსასაზღვრავად.

დუღილი წარმოებს 25-28°-ზე, ვიდრე ბადაგის სიმკვრივე არ შემცირდება 0,6-1%-მდე შაქარზომით და მეავიანობა არ მიაღწევს 2,0-2,5-მდე მლ ტუტის ნორმალური ხსნარით 100 ბურახზე.

დუღილის პროცესის დაჩქარების მიზნით რეკომენდებულია შაქრის სიროფის შემდეგ ბურახის ბადაგს დაემატოს წვრილად დაფქვილი ქერის ალაო 5 გ ოდენობით 1 ლ ბადაგზე. ამიტომ გამოყენებული ქერის ალაო უნდა ხასიათდებოდეს მაღალი დამშაქრებელი თვისებებით (დაშაქრების ხანგრძლივობა 10 წთ).

სტანდარტული მდგრადობის სასშელის მისაღებად დუღილის დამთავრების შემდეგ ბურახს გულდასმით აკლიან საფუარის უმეტეს ნაწილს სადულარ როფში 6°-მდე მისი გაცივების გზით. ამ დროს საფუარი მჭიდრო ფენად ილექება როფის ფსკერზე და ბურახს ფრთხილად გადაქაჩავენ საკუპაეო როფში ისე, რომ არ შეეხოთ საფუარის ლექს.

დაუშვებელია ბურახის დაკუპაება, გარდა სპეციალურ სადულარ საკუპაეო აპარატისა, სადაც გათვალისწინებულია სპეციალური მოწყობილობა საფუარის ლექის მოსაცილებლად.

¹ დასაშვებია შაქრის რაოდენობის შემცირება 10%-მდე ქარხნებისათვის, რომლებიც ატარებენ ხარშვას ხანგრძლივი დროის ვაშაქლობაში დაბალ ტემპერატურის პირობებში.

შაქრის სიროფის მომზადებას აწარმოებენ ისე, როგორც აღწერილია უალკოჰოლო სასმელების წარმოების ინსტრუქციაში.



საკუპაჟე როფში ბურახს უმატებენ დანარჩენი რაოდენობის შაქარს, 60—65% სიმკვრივის მქონე შაქრის სიროფის სახით. და კოლერს. კუპაჟირებულ ბურახს ურევენ. კუპაჟირების დროს ნახშირმჟავას დანაჟარგების შემცირების მიზნით რეკომენდებულია შერევა მოვადინოთ ნახშირმჟავა გაზით; სტანდარტის მოთხოვნებთან ხარისხის მაჩვენებლების შესაბამისობის შენარჩუნების შემდეგ ბურახი გადააქვთ ჩამოსხმაზე. ჩამოსხმის დროს ბურახის ტემპერატურა არ უნდა იყოს 12°-ზე მეტი. ბურახს ასხამენ მომზადებულ ავტოკისტრებში ან კასრებში.

ბურახის, როგორც დაუმთავრებელი დუღილის პროდუქტის, შენახვის დროს იზრდება სპირტია შემკველობა შაქრის და დუღების ხარჯზე. რის შედეგადაც იცვლება სიმკვრივე—იგი მცირდება. ამრიგად, ბურახის სპირტისა და სიმკვრავას მაჩვენებლები ერთმანეთზე დამოკიდებული.

თანხმად ქვემოთ მოტანილ საბალანსო გაანგარიშებისა, მოქმედი რეცეპტურა აგებულია 1% მშრალი ნივთიერების ხარჯვის გათვალისწინებულ დუღილზე.

მშრალი ნივთიერების ბალანსი 100 ლ პურის ბურახის დამზადებისას

მშრალი ნივთიერება

1. შეტანილია 5,5 კგ შაქარი, მათ შორის:	
ა) დუღილისა და კუპაჟირების დროს 5,2 კგ. რაც შეადგენს 5,192 კგ მშრალ ნივთიერებას (0,15% შაქრის სინესტის გათვალისწინებით) და სიროფის ხარშის დროს 1% დანაჟარგის გამოკლებას (52 გ)	5140
ბ) 70%-ანი კოლერის დამზადებაზე 0,3 კგ, რაც შეადგენს 0,299 კგ მშრალ ნივთიერებას (0,15 შაქრის სინესტის გათვალისწინებით) და 29% დანაჟარგის გამოკლებას კოლერის ხარშეზე (87 გ)	213
2. მთელი ბიდავი, რომელსაც 1,5% სიმკვრივე აქვს შაქარზოში, შეიცავს 100 ლ მშრალ ნივთიერებებს	1506
	<hr/>
სულ:	6859

მშრალ ნივთიერებათა დანახარჯი დუღილზე (0,15% ალკოჰოლის წარმოქმნით) შეადგენს 1%-ს შაქარზოში

მშრალ ნივთიერებათა ნაშთი	5859
მშრალ ნივთიერებათა დანაჟარგი ჩამოსხმისას 2%-ის ოდენობით	117
სულ მშრალი ნივთიერებანი დარჩა 100 ლ ბურახში	5742

მწრალი ნივთიერებების შემცველობა 1 ლ ბურახში შეადგენს 57,42 გ, რაც შეესაბამება ბურახის 5,6 სიმკვრივეს მაქარული მზომით.

იმის გამო, რომ ზაფხულში ნებადართულია ისეთი ბურახის გამოშვება, რომელიც სპირტს მცირე ოდენობით შეიცავს, ამიტომ ბურახს სიმკვრივეც შესაბამისად მეტს უნდა ჰქონდეს. ამ ორ მაჩვენებელს შორის უნდა არსებობდეს შემდეგი დამოკიდებულება:

სპირტის შემცველობა, წონით %-ში	ნამდვილი სიმკვრივე მაქარუმზომით	
	პურის ბურახი	შეკამანდის ბურახი
0,3	6,0	3,4
0,4	5,8	3,2
0,5	5,6	3,0

ამ მონაცემების თანახმად დასაშვებია სავაჭრო ქსელში ბურახის რეალიზაცია სიმკვრივისა და სპირტის შემცველობის შემდეგი მაჩვენებლებით:

სპირტის შემცველობა, წონით %-ში	ნამდვილი სიმკვრივე მაქარუმზომით	
	პურის ბურახი	შეკამანდის ბურახი
0,3	6,0	3,4
0,4	5,8	3,2
0,5	5,6	3,0
0,6	5,4	2,8
0,7	5,2	2,6
0,8	5,0	2,4
0,9	4,8	2,2
1,0	4,6	2,0
1,1	4,4	1,8
1,2	4,2	1,6

**ბურაბის დამზადება პურის კონცენტრირებული
ექსტრაქტისაგან**



უკანასკნელ ხანს უაღკოპოლო სასმელების წარმოებაში ბურაბის დასამზადებლად ფართოდ გამოიყენება პურეულის კონცენტრირებული ექსტრაქტი.

პურეულის ექსტრაქტს ქარხნებში ღებულობენ 60—65% სიმკვრივით. იგი მიიღება პურპროდუქტების (ქვავის ალაოს, სიმინდის ფქვილისა და ქერის ალაოს) ექსტრაქტების ფერმენტაციული დაშაქრების გზით.

პურეულის ექსტრაქტების გამოყენება პურის ბურაბის დასამზადებლად, პურეულის კვერების ნაცვლად, წარმოებს შემდეგი რეცეპტის მიხედვით:

ნედლეულის ხარჯი 100 დკლ მზა ბურაბზე

ნედლეულის დასახელება	წონის ერთეული	ბურაბი		მშრალი ნივთიერების შემცველობა %-ში
		პურის	მოსკოვური	
შაქარი (კოლერისათვის საკურო შაქართან ერთად)	კგ	50	57,3	99,86
ბურაბის ბადავის კონცენტრატი	"	28,6	32,6	72,0
რძემჟავა	"	—	1,8	100
ნახშირმჟავა	"	—	14,0	—
პურსაცხობი საფუარი . .	"	0,15	—	25

სადღლარ როფს ავსებენ 35—40° წყლით იმ მიზნით, რომ პურეულის ექსტრაქტის ვახსნის შემდეგ მივიღოთ 1,5 % სიმკვრივის ბადავი შაქარმზომით.

პურეულის ექსტრაქტს ასხამენ როფში მუდმივი მორევიით, რათა მივიღოთ ერთგვაროვანი ბურაბის ბადავი. პურეულის ექსტრაქტის განზავების შემდეგ ბადაგს უმატებენ 25% შაქარს (რეცეპტურითა გათვალისწინებულ შაქრის რაოდენობიდან, თეთრი სიროფის სახით).

25%-იან მზა ბადაგს უმატებენ სუფთა კულტურისაგან დამზა-



დებულ კომბინირებულ საფუარის დედას და რეგულაცია ბაქტერიებს (ბადაგის მოცულობის 2-დან 4% რაოდენობით), ან გაახალგაზრდავებულ პურის საცხობ საფუარს: გულდასმით არევის შემდეგ იღებენ სინჯს ბადაგის სიმკვრივისა და მგავიანობის განსაზღვრავად დუღილის წინ.

დუღილი წარმოებს 25—28°-ზე მანამ, ვიდრე ბადაგის სიმკვრივე არ შემცირდება 0,6—1%-მდე შაქარშოშით. ხოლო სიმგავემ უნდა მიადწიოს 2—2,5 მლ-ს, ნორმალური ტუტის ხსნარით 100 მლ ბურახზე.

ბურახის ნორმალური მდგრადობის მისაღებად დუღილის შემდეგ საჭიროა ბურახი მოვაცილოთ საფუარს, რისთვისაც მას აცივებენ სადულარ როფებში 6° ტემპერატურამდე. ამ დროს საფუარი ილექება როფის ძირზე სქელ ფენად და ბურახს ფრთხილად გადაჭაჩვენ საკუპაყე როფში ისე, რომ არ შეეხონ საფუარის დანალექს.

საკუპაყე როფში ბურახს მუდმივი მორევით უმატებენ შაქრის დანარჩენ რაოდენობას შაქრის სიროფის სახით, რომლის სიმკვრივე 60—65%-მდეა. გასინჯვენ ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით და ბურახს გადაიტანენ ჩამოსხმაზე, რომლის დროს ბურახის ტემპერატურა 12°-ს არ უნდა აღემატებოდეს.

მშრალი ნივთიერების ბალანსი 100 ლ „პურის ბურახის“ დასამზადებლად

1. შეტანილია 5,5 კგ შაქარი, მათ შორის:	
ა) დუღილსა და კუბაქზე 5,2 კგ, რაც შეადგენს 5,192 კგ მშრალ ნივთიერებას (0,15% შაქრის სინესტის გათვალისწინებით). სიროფის ხარშვაზე 1% დანაკარგის გათვალისწინებით (52 გ) დაგვრჩება	5,140
ბ) საფუარის სუფთა კულტურისა და რეგულაცია ბაქტერიების გამრავლებისათვის 0,3 კგ, რაც შეადგენს 0,299 კგ მშრალ ნივთიერებას (0,15% შაქრის ტენიანობის გათვალისწინებით)	213
2. ბადაგის სიმკვრივე პურის ექსტრაქტისაგან უდრის 1,5%-ს შაქარშოშით, რაც შეადგენს 100 ლიტრ მშრალ ნივთიერებას	1,506
	<hr/>
	სულ: 6859

მშრალი ნივთიერების ხარჯი დუღილზე (0,5% ალკოჰოლის წარმოქმნაზე) შეადგენს 1%-ს შაქარშოშით 1000



მშრალი ნივთიერების შემადგენლობა 1 ლ ბურახში იქნება 57,42 გ. რაც შეესაბამება ბურახის სიმკვრივეს 5,6 შაქარშოთით.

მოსკოვური ბურახის დამზადება

ბოთლებში ჩამოსხმულ მოსკოვეურ ბურახს, პურის ბურახისაგან განსხვავებით, ამზადებენ წინასწარი დუღილის გარეშე.

მოსკოვეურ ბურახს ამზადებენ ორი მეთოდით:

მხოლოდ პირველი ბურახის ბადაგის გამოყენებით;

ვაკუუმ-აპარატებში შესქელებულ პირველი, მეორე და მესამე ბადაგის გამოყენებით.

მოსკოვეური ბურახის დამზადება პირველ ბადაგზე

ბადაგი მოსკოვეური ბურახისათვის მზადდება პურის ბურახის დამზადების ერთ-ერთი მეთოდით (დაყენებით ან რაციონალური), მაგრამ წყლის ნაკლები ხარჯით პურის კვერების ან ნახარშის გაქნისას.

დაყენების მეთოდის დროს პურის კვერებისა და წყლის შეფარდება უნდა იყოს: 1 : 6.

მიღებულ პირველ ბადაგს უნდა ჰქონდეს სიმკვრივე არანაკლებ 4%-სა შაქარშოთით. დადგენილი ნორმით პურპროდუქტების ხარჯვისას 100 ლ მოსკოვეურ ბურახზე ბადაგის გამოსავალი აღნიშნული სიმკვრივით შეადგენს 17,3 ლ.

პირველ ბადაგს გადაქაჩავენ კუპაჟირებში, უმატებენ შაქრის მთელ რაოდენობას 65% სიმკვრივის მქონე შაქრის სიროფის სახით, კოლერს და რძემჟავას შემდეგ კუპაჟირებული სიროფი გადააქვთ მადონირებელ მანქანაზე 0,5 მოცულობის ბოთლებში ჩამოსასხმელად. სიროფის დოზის სიდიდე ბოთლებზე გაიანგარიშება ფორმულით, რომელიც დადგენილია გაზიანის სასმელების წარმოებისათვის სიროფის დოზის განსასაზღვრავად. კუპაჟირებული სიროფის დოზა არ უნდა აღემატებოდეს 130 მმ-ს.

ბოთლებში გაზიანი წყლის დამატება, მათი დახუჭვა, წუნ-
დება და ეტიკეტირება ისევე წარმოებს, როგორც გაზიანი უბლ-
კოპოლო სასმელების ჩამოსხმისას.



პირველი ბადაგის გადმოღების შემდეგ დარჩენილ ლექს ას-
ხამენ ცხელ წყალს და თანშიმდგვრობით ლებულობენ მეორე და
მესამე ბადაგს. ამ ორი ბადაგის ნარეუს, რომელიც მშრალ ნივთი-
ერებას შეიცავს არანაკლებ 700 გ ოდენობით (პურპროდუქტების
ნორმით ხარჯვისას 1 ჰლ მოსკოვეურ ბურახზე), გამოიყენებენ პუ-
რის ბურახის დასამზადებლად.

ამ მეთოდით მოსკოვეური ბურახის დამზადების დროს ნელ-
ლელულის წყალში ხსნადი მშრალი ნივთიერებები გამოიყენება თა-
ნახმად შემდეგი ბალანსისა:

**მშრალ ნივთიერებათა ბალანსი 100 ლ მოსკოვეური ბურახის
დამზადების დროს**

მშრალი ნივთ.
გ-ში

1. შტანლია 7,2 კგ შაქარი, მათ შორის:
 - ა) ექსპორტებაზე 6,9 კგ, რაც შეადგენს 6,89 კგ მშრალ ნივთიერე-
ბას (0,15% შაქრის ტენიანობის გათვალისწინებით) 1% დანა-
კარგის გამოკლებით შაქრის სიროფის ხარშვის დროს (0,69 გ)
მიიღება 6821
 - ბ) 709/1000 შაქრის კოლერის დამზადებაზე 0,3 კგ, რაც შეადგენს
0,299 კგ მშრალ ნივთიერებას (0,15% შაქრის სინესტის გათ-
ვალისწინებით) და 299/1000 დანაკარგის გამოკლებით კოლერის
ხარშვაზე (80 გ) 213
2. პირველი ბურახის ბადაგი 17,3 ლ, რომლის სიმკვრივეა 4,0 %
შაქარზომით, შეიცავს მშრალ ნივთიერებებს 701

სულ: 7735

მშრალ ნივთიერებათა დანაკარგი ჩამოსხმაზე 3%-ის ოდენობით 232

სულ რჩება მშრალი ნივთიერებები 100 ლ ბურახში 7503

მშრალ ნივთიერებათა შემცველობა 1-ლ ბურახში შეადგენს 75,13 გ, რაც
შესაბამებია 2,3 სიმკვრივის ბურახს შაქარზომით.

**მოსკოვეური ბურახის დამზადება ვაკუუმ-გამაორთქლავის
გამოყენებით**

მოსკოვეური ბურახის დამზადებისას მოკემული მეთოდი სა-
შუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ სამივე ბადაგი და წარმოება
გავანთავისუფლოთ კასრებით პურის ბურახის გამოშვებისაგან.

ამ მეთოდის გამოყენება განსაკუთრებით რეკომენდებულია შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, როდესაც მოსკოვური ბურახის გამოშვება კასრებში თითქმის წყდება და მოსკოვური ბურახის შენახვა ორე და მესამე ბადაგის პრაქტიკული გამოყენება შეუძლებელია.

ბადაგი მიიღება დაყენების მეთოდით მალულარ საფილტრაციო როფში, სადაც ასხამენ 70—80° ტემპერატურის წყალს 50—60% რაოდენობით დასამზადებელი მოსკოვური ბურახის მოცულობიდან და სარეველას მუდმივი მოქმედების პირობებში შეაქვთ ბურახის კვერები. მთელ მასას კარგად ურევენ, ტოვებენ 2,5—3 საათს დაყოვნებისათვის. როცა ეს დრო ამოიწურება, ნარევეს ფილტრავენ და მიღებული პირველი ბადაგი გადააქვთ შემგროვში.

ნალექს ასხამენ ცხელ წყალს პირველი ბადაგის მოცულობის რაოდენობით, ურევენ და ტოვებენ გამოსაწვლილად 1—1,5 საათს, შემდეგ ფილტრავენ და მიღებულ მეორე ბადაგს ურევენ პირველში. ნალექს მესამედ ასხამენ ცხელ წყალს და მიღებული მესამე ბადაგი გადააქვთ შემგროვში.

ბადაგი შეიძლება დამზადდეს აგრეთვე რაციონალური მეთოდით იმ სქემის მიხედვით, რომელიც მოვიტანეთ, როცა ვლაპარაკობდით პურის ბურახის მიღების შესახებ.

დაყენების ან რაციონალური მეთოდით მიღებულ საერთო ბადაგს უნდა ჰქონდეს სიმკვრივე არანაკლებ 1,5 ჰაქარზომით, როცა მისი გამოსავლიანობა მოცულობით უდრის 100 ლ (პურპროდუქტების ხარჯი 10 დკლ-ზე).

შემგროვიდან საერთო ბადაგი გადადის ვაკუუმ-აპარატში შესქელებისათვის. შესქელებას აწარმოებენ 50° ტემპერატურაზე 600 მმ სინდ. სვეტ. მანამდე, ვიდრე არ მიიღება 8—10 სიმკვრივე ჰაქარზომით.

ვაკუუმ-აპარატს პერიოდულად კლიან და კონცენტრირებული ბადაგი მიეწოდება შემგროვს, საიდანაც საჭიროებისდა მიხედვით გადააქვთ საკუბაეე როფში კუბაეირებისათვის ჰაქრის სიროფითა და რეჰეაეათი.

შემდგომში ტექნოლოგიური პროცესი ისევე მიმდინარეობს, როგორც პირველი ბადაგისაგან მოსკოვური ბურახის მიღების დროს.

ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს მეორე და მესამე ბადაგის ექსტრაქტულ ნივთიერებათა ხარჯზე შევამციროთ შა-

ქრის ხარჯვის ნორმა 0,5 კგ-ით 10 დკლ ბურახზე, როცა უშვებენ სტანდარტული მაჩვენებლებით.

საქართველო
საბავშვო

მოსკოვეური ბურახის პასტერიზაცია

მოსკოვეური ბურახის მდგრადობის ვადის გახანგრძლივების მიზნით რეკომენდებულია მისი პასტერიზაცია. ამისათვის ჩამოსხმისა და დახუფვის შემდეგ მოსკოვეური ბურახის ბოთლებს აყოვნებენ 25°-ზე 12—16 საათს, რის შემდეგ აგზავნიან პასტერიზაციისათვის.

მარტივი ტიპის (აბაჯანა) პასტერიზატორების გამოყენების შემთხვევაში რეკომენდებულია ერთ-ერთი ქვემოთ მოყვანილი პასტერიზაციის ტემპერატურული რეჟიმი.

I. ტემპერატურა, °C	დაყოვნება წუთ.
35	5
60	10
75	5
63	20
40	5
15	15
45	15
65	35
45	10
35	10
25	10
10	10

გვირაბული ფენიქსის ტიპის პასტერიზატორის გამოყენებისას რეკომენდებულია პასტერიზაციის შემდეგი ტემპერატურული რეჟიმი:

II ტემპერატურა, °C	დაყოვნება წუთ.
46	20
72	20
65	20
46	20
30	20
20	20
12	20



ბურახის კონცენტრატს ამზადებენ ქერისა და ჭვავის გების გაქნით, შემდგომში ამ უქანასკნელიდან მკვიდრი ბადაგის გადატანით და ვაკუუმ-აპარატში მისი შესქელებით 70—72%-ით მშრალ ნივთიერებათა მიღებამდე.

100 კგ ბურახის კონცენტრატზე იხარჯება 112 კგ პურის ნედლეული, მათ შორის 87 კგ ჭვავის ალაო და 25 კგ ქერის ალაო.

როდესაც ასხამენ 60°-ზე გაცხელებულ წყალს, ყრიან ალაოს აღნიშნული ხარჯის 40%-ის რაოდენობით; ამასთან წყლისა და ალაოს ნარევის შეფარდება უნდა შეადგენდეს 9 : 1.

მარცვლოვან ალაოს ყრიან მუდმივი არევის დროს, გაქნის პროცესის დამთავრებამდე.

გაქნის პროცესი:

- ნარევის გაცხელება 64°-მდე;
- დაყოვნება 60°-ზე 60 წუთის განმავლობაში;
- ნარევის გაცხელება 70°-მდე;
- დაყოვნება 72°-ზე 20 წუთის განმავლობაში;
- ნარევის გაცხელება 78—80°-მდე;
- დაყოვნება 78—80°-მდე 10 წუთის განმავლობაში.

გაქნის დამთავრების შემდეგ ნარევს გადაქაჩავენ საფილტრაციო როკში. გაფილტრულ ბადაგს, რომლის სიმკვრივე შაქარმზომით არანაკლებ 8,0%-ია, გადაქაჩავენ შემგროვში, საიდანაც ის გადადის ვაკუუმ-აპარატში ასაორთქლებლად. დარჩენილ ლექს გამორეცხავენ იმ რაოდენობის ცხელი წყლით (70—75°), რაც დაიხარჯა გახსნის დროს.

გამორეცხილ ლექს, როგორც ნარჩენს, აცილებენ საფილტრაგ როფიდან. გამორეცხილი წყალი, რომლის სიმკვრივეა არანაკლებ 2,0% შაქარმზომით, გადააქვთ განთავისუფლებულ როფში, სადაც შეაქვთ პურრესურსები იმავე რაოდენობით, რაც პირველ გახსნისას (მთელი რაოდენობის 40%). გახსნისა და ფილტრაციის შედეგში პროცესს ისევე ატარებენ, როგორც პირველ გახსნისას. მიღებული ბადაგის სიმკვრივე უნდა იყოს არანაკლებ 10%-სა შაქარმზომით. ბადაგი გადააქვთ შემგროვში, აქედან კი—ვაკუუმ-აპარატში, ხოლო ლექს სტოვებენ საფილტრაციო როფში.

ნარევის ფილტრაციასთან ერთდროულად აღნიშნული მეთოდ-

დით ხსნიან უკანასკნელ 20% პურრესურსებს წყალში, შეფარდებით 1:18. გახსნის დამთავრებისას ნარევეს გადაქაჩავენ საფილტრაციო როფში, სადაც მოთავსებულია წინა ნარევის ლექი, ყველაფერს ურევინ 10 წთ განმავლობაში და ნარევეს აყოფენებენ.

გაფილტრული ბადაგი, რომლის სიმკვრივე სულ მცირე 6,5%-ია შაქარმზომით, გადააქეთ შემგროვში, დარჩენილ ლექს კი ასხამენ ცხელ წყალს 1,5-ჯერ მეტი მოცულობით, ვიდრე პირველადი გახსნისას. ნარევი წყალი; არანაკლებ 2% სიმკვრივით, გადააქეთ ან გასახსნელ როფში ან ნარევი წყლების შემგროვში შემდგომი ხმარებისათვის, ახალი 40% ალაოს ნარევის წონიდან (112 კგ) პურპროდუქტების გასახსნელად.

ამ მომენტიდან დაწყებული სქელი ბადაგის მიღების პროცესი უნდა წარიმართოს ციკლურად, ე. ი. უნდა განმეორდეს არანაკლებ 10%-ანი სიმკვრივის ბადაგის მიღების მომენტიდან, ხოლო საწყისი სტადია (პირველი გაქნა ლექის გარეცხვით) საჭირო აღარაა.

კონცენტრატის დამზადების პროცესის შეწყვეტის შემთხვევაში უკანასკნელი ნარევი წყლის მისაღებად იღებენ ნაკლები რაოდენობის ცხელ წყალს, ისე რომ ლექის დამუშავების შემდეგ ჰქონდეს 2% სიმკვრივე შაქარმზომით. ეს ნარევი წყალი აგრეთვე მიდის ვაკუუმ-აპარატში ასაორთქლებლად.

პირველი სქელი ბადაგის მიღების მომენტიდან სამუშაოდ ჩართავენ ვაკუუმ-აპარატს, სადაც არანაკლებ 55° ტემპერატურის პირობებში ბადაგს აორთქლებენ შაქარმზომით 70—72% სიმკვრივის მიღებამდე. ბადაგის შესქელების პროცესში წყლის აორთქლებისდა მიხედვით შემგროვიდან გადადის ბადაგის ახალი პორცია. შესქელების პროცესის ბოლოს გამომშვები ონკანიდან იღებენ კონცენტრატის სინჯს სიმკვრივის განსასაზღვრავად შაქარმზომით. როცა მშრალი ნივთიერების შემადგენლობა ექსტრაქტში 70—72%-ს მიაღწევს, სწყვეტენ ვაკუუმ-აპარატის მუშაობას და ცხელ კონცენტრატს ჩამოასხამენ წინასწარ გამზადებულ შემგროვებში.

ბურაბის ბადაგის კონცენტრატი უნდა ინახებოდეს ჰერმეტიკულად დახურულ ჭურჭელში, რომელიც აღჭურვილია ჩამოტვირთვის მოსახერხებელი მოწყობილობით, ან სტანდარტულ რძის ბიღონებში.

კონცენტრატის შენახვისას სათავსოს ტემპერატურა არ უნდა

აღემატებოდა 20°-ს. შენახვის ზღვრულია ვადა — არანაკლებ 7 თვე
დღიდან დამზადებისა.

შენიშვნა: პურის გემოსა და არომატის გასაძლიერებლად მზა კონცენტრატში
თუ ქარხანაში არის ტიპური დამდულრავი, რეკომენდებულია ჰქვავს
ალაოს დამდულრავა დაშაქრების წინ, მასზე ალაოს წონის 70%
წყლის დამატებით, ერთი საათის განმავლობაში 1 ლტმ ცნვეს დროს

თაფლის სასმელუბის დამზადება

„მედოკისა“ და „უკრაინული მედოკის“ ბადაგის
დამზადება

ბადაგის სახარშ ქვაბში ასხამენ წყალს და აცხელებენ ადუ-
ღებამდე. სწყვეტენ გაცხელებას და სარეველას შეუტრებლივ შე-
აქვთ რეკვპტურით გათვალისწინებული თაფლის მთელი რაოდენ-
ობა. თაფლის გახსნის შემდეგ ნარევის აცხელებენ ადუღებამდე,
აკლიან ზედაპირზე მოტივტივე მინარევებს და სანთელს. ცხელ
თაფლის ბადაგში მორევიტ ყრიან მთელ შაქარს. ხელახლა აცხე-
ლებენ ადუღებამდე და უმატებენ საჭირო რაოდენობის 40% სვიას.
გავა 30 წუთი და კვლავ უმატებენ 40% სვიას; დუღილის დაწყე-
ბიდან 45—60 წუთის შემდეგ სიმკვრივე აჰყავთ იმ სიდიდემდე,
რომელიც (დუღილისა და დადუღების შემდეგ) უზრუნველყოფს
მზა სასმელის სტანდარტულ მონაცემებს; ბადაგს აცივებენ და გა-
დააქვთ სადულარ განყოფილებაში.

ნახი არომატის მისაღებად დარჩენილ 20% სვიას უმატებენ
სვიის ცედროვანას.

მთავარი დუღილი

მზა ბადაგს აცივებენ 16—17°-მდე, გადააქვთ სადულარ როფ-
ში, ბადაგს აილევენ ლუდის საფუარს 0,23—0,25 ლ ანგარიშით
ან დაწინებულ პურსაცხოზს 40—45 გ ანგარიშით 1 ჰლ ბადაგზე.

მთავარ დუღილს აწარმოებენ 12—14 დღის განმავლობაში,
ვიდრე არ მიიღებენ ბადაგს სიმკვრივიტ 18,5—17,5% შაქარშო-
მით. ამის შემდეგ მდულარე ბადაგს აცივებენ სადულარ როფში
4—4,5°-მდე ზვიარის საშუალებით. ამ დროს საფუარი თანდათან
ილეკება როფის ძირზე და თაფლის ხსნარი ნელ-ნელა იწმინდება.



საფუარის უფრო სრული გამოლევისათვის სადულარ როფში 4—4,5 ტემპერატურას ინარჩუნებენ 3—4 დღე-ღამის განმავლობაში, რის შემდეგ „მელოკი“ უკვე მზადაა საბანაჟო სარდაფში გასაშვებად.

რეკომენდებულია „მელოკის“ სარდაფში გაშვება, როცა მისი ხილვადი ექსტრაქტულობა 16—17%-ს უდრის შაქარმზომით. ეს შეესაბამება მასში 3,2—3,5% ალკოჰოლის შემცველობას. ალკოჰოლის შემდგომი დაგროვება ნორმამდე (5—6%) წარმოებს საბანაჟო სარდაფში საბოლოო დადუღებისათვის.

საბოლოო დადუღება და ჩამოსხმა

საბოლოო დადუღების დროს ტანკებში საჭიროა გვექონდეს წნევა 0,4—0,5 ატმ ფარგლებში. ყოველდღიურად კარბი წნევის შემცირებითა და ტანკიდან კარბი ნახშირმჟავა გაზის გამოყოფით.

სასმელს ინახავენ საბანაჟო სარდაფის ტანკებში 30—40 დღე-ღამეს, რის შემდეგ ფილტრავენ და გადააქვთ სხვა ტანკში დამატებით დასაწმენდად. 20—30 დღის შემდეგ აწარმოებენ გეორად ფილტრაციას გამკვირვალე სასმელის მისაღებად და აგზავნიან ჩამოსასხმელად.

სასმელს ჩამოასხამენ 0,5 ლ ბოთლებში ან კასრებში, რომელთა ტევადობა 50 ლიტრამდეა.

ლუდის დამზადება ?

ბადაგს ლუდისათვის ამზადებენ დაყენების მეთოდით. პურეულის ნედლეულისა (მშრალი ბურახისა და ქვივის ალასი) და წყლის შეფარდებას, აგრეთვე საერთო ბადაგის მიღების პროცესს წარმართავენ ისევე, როგორც ბურახისათვის ბადაგის მიღებისას დაყენების მეთოდით.

ლუდისათვის საერთო ბადაგის სიმკვრივე მოცულობით უნდა შეადგენდეს არანაკლებ 2,5%-ს შაქარმზომით, რაც დასამზადებელი ლუდის ოდენობის ტოლია.

საერთო ბადაგი სადულარ როფში გადააქვთ არაუშეტეს 25° ტემპერატურაზე; ბადაგში შეაქვთ 125% საერთო ნორმიდან) შაქარი სიროფის სახით და დარბევებული საფუარი.

არევის შემდეგ საზღვრავენ ბადაგის სიმკვრივეს და სიმჟავეს



დუღილის დაწყებამდე. მთავარ დუღილს ატარებენ 25° ტემპერატურაზე ბადაგის პირვანდელი სიმკვრივის შესაქცირებლად 2%-მდე შაქარმზომით. მთავარი დუღილის შემდეგ ლუდს ატარებენ სადულარ როფში 6°-მდე და გადაქაჩავენ საბანაკო სარდაფში მოთავსებულ მეორე სადულარ როფში ისე, რომ არ ეხებიან საფუარის ლექს. ახალგაზრდა ლუდში კიდევ შეაქვთ ნორმის 25% შაქარი სიროფის სახით და სვიის ნახარში.

სვიის ნახარშს ამზადებენ ცალკე სახურავიან როფში სვიის დუღილით წყალთან ერთად 45—50 წუთის განმავლობაში, შეფარდებით 1:20. ნახარშს ფილტრავენ ქსოვილის ფილტრში და აცივებენ 10—12°-მდე.

ლუდის საბოლოო დადუღება 10—12° ტემპერატურაზე გრძელდება ერთ დღე-ღამეს, სანამ სიმკვრივე არ შემცირდება 2—3%-მდე შაქარმზომით; შემდეგ ლუდს მეორეჯერ აცივებენ 4—6°-მდე და გადაქაჩავენ საკუბაფე როფში ისე, რომ არ ეხებიან საფუარის დამჯდარ ლექს; შეაქვთ შაქრის სიროფი (მთელი რაოდენობის შაქრის 50%) და კოლერი. არევის შემდეგ, რომელიც რეკომენდებულია ვაწარმოოთ ნახშირმყავათი, ლუდს ასხამენ თერმოციისტერნებში ან კასრებში.

სასმელ „ბუზას“ დამზადება

„ბუზა“, ისე როგორც პურის ბურახი, კომბინირებული სპირტოვანი და რძემჟავური დუღილის პროდუქტია. ქვაბში, რომელსაც აცხელებენ ცეცხლით ან ორთქლით, ყრიან წინასწარ გარეცხილ ფერეს და ასხამენ 4—5-ჯერადი რაოდენობის წყალს. ხარშვა წარმოებს მუდმივი მორევით მანამდე, ვიდრე ქვაბში მოთავსებული ნარევი არ მიიღებს კარგად მოხაჩშული ფაფის ფორმას. ფაფას გაატარებენ სახებ მანქანაში.

გახეხილი მასა გადააქვთ სადულარ როფში, ასხამენ ორმაგი რაოდენობის წყალს და აგრილებენ 39°-მდე. ამ ტემპერატურაზე სიროფის სახით შეაქვთ შაქრის საერთო რაოდენობის ნახევარი და მთელ მასას ურევენ; შემდეგ შეაქვთ საფუარის დედა მადულარი სითხის 4%-ის რაოდენობით. საფუარს ურევენ და ტოვებენ დუღილზე. დუღილი მიმდინარეობს 25—30° ტემპერატურაზე ერთი



დღე-ღამის განმავლობაში, რის შემდეგ მადუღარ როფში უმატებენ შაქრის სიროფის მეორე ნახევარს და წყლით შევსებით ყავთ დასამზადებელი სასმელის შესაბამის რაოდენობამდე. აურევენ და ახალგაზრდა „ბუზას“ ასხავენ 50 ლიტრიან კასრებში ან 0,5 ლ ტევადობის ბოთლებში. კასრები იხურება სუფთა საცობებით, ბოთლები კი კრონენ-საცობებით. კასრებსა და ბოთლებზე ეკვრება ეტიკეტები. სასმელს აჩერებენ ექსპედიციაში ერთ დღე-ღამეს, არაუმეტეს 12⁰ ზე.

მიკროორგანიზმების გამრავლება წითელი გადაგისა და სასმელი „ბუზას“ დასადუღებლად

M რასას ბურახის საფუარი და 11 და 13 რასების რძემგავა ბაქტერიები შეაქვთ ბადაგში ქარხანაში წინასწარ დამზადებული კომბინირებული საფუარის სახით. აღნიშნული მიკროორგანიზმების წმინდა კულტურას იღებენ საწყისი კულტურის გადათესვით, რომელიც ინახება და დაცულია ქარხნის ლაბორატორიაში.

საფუარის სუფთა კულტურისა და ბაქტერიების შენახვა ლაბორატორიაში. იმისათვის, რომ პურის ბურახის მიკროორგანიზმებმა არ დაქარგონ თავიანთი თვისებები, ლაბორატორიაში პერიოდულად წარმოებს მათი გადათესვა ახალ სტერილურ არეზე.

საფუარი ინახება კულტურის სახით ბადაგოვან აგარზე 10—15⁰ ტემპერატურის დროს და თვეში 1—2 ჯერ გადათესავენ.

რძემგავა დუღილის ბაქტერიების სუფთა კულტურას ინახავენ ბადაგზე, რომელსაც წინასწარ დამატებული აქვს 10% სიმკვრივის მქონე შაქარი. არეს სტერილიზაციის, დათესვისა და თერმოსტატში 20⁰ ტემპერატურაზე 2 დღე-ღამის დაყოვნების შემდეგ თითოეულ კულტურას უმატებენ მცირე რაოდენობის სტერილურ ცარცს და ინახავენ ოთახის ტემპერატურაზე, ყოველდღიურად ანჯღრევენ არეს უმჯობესი ნეიტრალიზაციის მიზნით.

კულტურის გადათესვას ყოველ 10 დღეში აწარმოებენ. სუფთა კულტურების დაცვა, გამრავლება და კომბინირებული საფუარის მომზადებას აწარმოებს ლაბორატორიის მიკრობიოლოგი. იგი აგრეთვე მიკრობიოლოგიურ კონტროლს ახორციელებს გამ-

რავლების განვითარებისა და სადღესასწაულო რიგებში დღლილის მართ.

სუფთა კულტურის გასამრავლებელი აპარატურა. სუფთა კულტურის დამზადება კომბინირებულ საფუარზე საამქროსათვის საჭირო მასშტაბით წარმოებს სპეციალურ აპარატურაში (გრეინერის ან განზენის).

აპარატების ზომები და რაოდენობა განისაზღვრება ბურახის სახარში ქარხნის სადღესასწაულო განყოფილების სიმძლავრით. თუ ასეთი აპარატურა არაა მცირე წარმადობის ქარხნებში, კულტურის გამრავლებისათვის შეიძლება გამოიყენონ მინის 20 ლ-ანი ბოთლები. ამ შემთხვევაში აუცილებელია გვქონდეს ერთი მცირე ჭურჭელი საფუარების გასამრავლებლად; ერთი ჭურჭელი რემევა ბაქტერიების გასამრავლებლად (მოკულობით 200-ჯერ მეტი უნდა იყოს საფუარის ჭურჭელზე) და ერთი ჭურჭელი კომბინირებული საფუარისათვის, რომელიც სადღესასწაულო რიგის სამუშაო ტევადობის 4 % -ის ტოლია.

სუფთა კულტურის საფუარის გამრავლება. საფუარების სუფთა კულტურას ამრავლებენ პირველ სტერილურ ბურახის ბადაგზე შექარზობით 8 %-მდე სიმკვრივის შექარის დამატებით. სტერილურ ბადაგს ასხამენ სინჯარებში, თითოეულში 10 მლ, კოლებში—თითოეულში 25—25 მლ და სამლიტრიან ბალონებში—2—2 ლიტრას. შემდეგ სუფთა კულტურას ბადაგოვან აგარიდან გადათესავენ 10 მლ სინჯარებში სტერილურ ბადაგებზე და თერმოსტატში 24 საათს ათავსებენ 30° ტემპერატურაზე. საფუარით მადღესასწაულო ბადაგს სინჯარიდან გადასხამენ 25 მლ სტერილურ ბადაგიან მინის კოლბაში და ინახავენ 30°-ზე 24 საათის განმავლობაში; აღნიშნული დრო რომ გაივლის, მთელი 35 მლ გადააქვთ დიდ კოლბაში ან ბოცაში, რომელშიც 2 ლ სტერილური ბადაგია, და აყოვნებენ თერმოსტატში 30°-ზე 24 საათის განმავლობაში. ბალონიდან აღუღებულ ბადაგს ასხამენ საფუარის სუფთა კულტურისათვის განკუთვნილ აპარატის სადღესასწაულო ჭურჭელში, რომელიც წინასწარ შევსებულია 18 ლ სტერილური ბადაგით 30° ტემპერატურაზე და გულდასპით ურევენ სარეველათი. 12 საათის დღლილის შემდეგ ჭურჭელში საფუარი კულტურა შეიძლება გამოყენებულ იქნას კომბინირებული საფუარის დასამზადებლად. თითოეულ შემთხვევაში აღმოდებული საფუარი კულტურის ნაცყ-



ვლად აპარატში უმატებენ თანაბარი რაოდენობის სტერილურ ბა-
დაგს არაუმეტეს 32° ტემპერატურის დროს. საფუარის გადმოშვებულ
ბისას აპარატში ტოვებენ მადულარს არანაკლებ 2—3 ლ-ის ოდენო-
ბით, რომელიც უზრუნველყოფს საფუარების შემდგომ გამრავ-
ლებას. 1 მლ საფუარი კულტურა უნდა შეიცავდეს 40 მლ-მდე
უჯრედს კომბინირებული საფუარის მოსამზადებლად მისი გადა-
ცემის დროს.

ამგვარად განახლებული საფუარი კულტურა შეიძლება გა-
მოვიყენოთ 15 დღე-ღამის განმავლობაში, რის შემდეგაც იგი უნ-
და შეიცვალოს ახლად გამოყვანილი ლაბორატორიული კულტურ-
ით.

რძემჟავა ბურახის ბაქტერიების სუფთა კულ-
ტურის გამკრავლება. რძემჟავა ბურახის ბაქტერიების სუფთა
კულტურებს ამრავლებენ იმავე არეში, რომელშიც საფუარებს
ამრავლებენ, ამავე დროს შაქრიან ბადაგს ასხავენ 6 სინჯარაში
—10 მლ თითოეულში, და კოლბაში ან ბალონში 1,5—2—1 ლ ბა-
დაგის ტევადობით: ყველას უკეთებენ სტერილიზაციას, აცივებენ
30°-მდე და აწარმოებენ ბურახის მე-11 რასის ბაქტერიების და-
თესვას 3 სინჯარაში, ხოლო 3 დანარჩენ სინჯარაში—მე-13 რა-
სისას.

ექვსივე სინჯარას ათავსებენ თერმოსტატში და აყოვნებენ
24 საათს 30° ტემპერატურაზე; შემდეგ სინჯარებში ყველა ნათავსს
ასხავენ ბალონში, რომელშიც არის 1 ლ სტერილური ბადაგი, მა-
საც ასევე ათავსებენ თერმოსტატში 24 საათს იმავე ტემპერატურა-
ზე.

ამრიგად დამზადებული ბაქტერიალური კულტურა გადააქვთ
რძემჟავა ბაქტერიის სუფთა კულტურისათვის განკუთვნილ აპარა-
ტის სადულარ კურკელში, რომელიც შევსებულია 20 ლ 8% სიმ-
კრივის მქონე სტერილური ბურახის ბადაგით და ადუღებენ 2
დღე ღამის განმავლობაში, სანამ 6,8—7,0 ნორმალური ტუტის
ხსნარში მგავიანობა არ მიაღწევს 6,8—7,0 მლ-ს. მზა კულტურა
გადააქვთ როფში, რომელშიც მოთავსებულია 4 მლ პასტერიზებუ-
ლი ბადაგი და დამატებული აქვს შაქრის სიროფი (პურის ბურახზე
შაქრის ხარჯის ნორმის 25%). ამ როფში დუღილი მანამ გრძელ-
დება, ვიდრე მგავიანობა არ მიაღწევს 6,8—7 მლ, რის შემდეგაც
საფუარი გადააქვთ კომბინირებული კულტურის როფში, რომელიც

წინასწარ შეესებულა 32 ჰლ შაქრის საროფიანი ბურახის
დაგით.

კომბინირებული საფუარის მომზადება. 6
თის დუღილის შემდეგ კომბინირებული საფუარის როფიდან 4 ჰლ
ხსნარი გადაქვთ მადულარ როფში დათესვისათვის 90—100
ჰლ-ზე 25—30° ტემპერატურის დროს. ყოველ ცალკე შემთხვევაში
4 ჰლ მადულარის მოკლებიას კომბინირებული საფუარის როფში
უმატებენ ამავე რაოდენობის ბადაგს შაქრიანი საროფით (ბურახ-
ზე ხარჯვის ნორმიდან 25%). თუ ქარხანამ დიდი რაოდენობით
უნდა გამოუშვას ბურახი, მაშინ უნდა გვექონდეს განხენის 2 აპა-
რატი სუფთა კულტურებისათვის. ამ შემთხვევაში ერთი აპარატი
გამოიყენება ბაქტერიალური ხსნარის დასამზადებლად, ხოლო მე-
ორე—საფუარის კულტურისათვის.

როცა ბურახზე დიდი მოთხოვნილებაა, კომბინირებული სა-
ფუარი შეიძლება მივიღოთ საფუარისა და ბაქტერიების 6 საათი-
ანი დუღილის გარეშე, თუ საფუარის კულტურას 2-3-ჯერ მეტი
რაოდენობით მივცემთ.

სუფთა და კომბინირებული კულტურის გამრავ-
ლება გრეინერის აპარატში. დიდი წარმადობის ქარხნე-
ბისათვის აუცილებელია გვექონდეს სუფთა კულტურების სპეციალუ-
რი საამქრო, გრეინერის სისტემის დანადგარებით, და წინასწარი
დუღილის როფი ტევადობით 100—400 ჰლ.

დანადგარის ექსპლოატაციაში გაშვების წინ მთელ აპარატუ-
რას (სტერილიზატორები, დადუღების ცილინდრები, წინასწარი
დუღილის აპარატი) რეცხავენ ჯაგრისის საშუალებით ცხელი
წყლით; შემდეგ წყალს გამოუშვებენ, სარქველებს დაკეთავენ, სინ-
ჯავენ ყველა შეერთების ადგილების პერმეტულობას, გამდინარე
ორთქლით სტერილიზაციას უკეთებენ აპარატებსა და მილსადენებს
დღე-ღამეში თითო საათით (სამი ღლის განმავლობაში). ყურად-
ღება უნდა მიექცეს იმას, რომ სტერილიზაციის დამთავრების
შემდეგ აპარატებში არ წარმოიქმნას ვაკუუმი, რამაც შეიძლება
გამოიწვიოს დანადგარის ცალკე ნაწილების დეფორმაცია.

როცა სტერილიზაცია დამთავრდება, რეკომენდებულია სტე-
რილიზატორში და სადულარ აპარატში გვექონდეს ღია სტერილუ-
რი შეკუმშული ჰაერის ონკანი. გაცივების შემდეგ სტერილიზა-
ტორს ავსებენ ცხელი ბურახის ბადაგით, დაყენებისათვის განკუთ-

ვნილი როფიდან. სტერილიზაცია წარმოებს ერთი საათის განმავლობაში, ბადაგის ასარევად სტერილური შეკუმშული ჰაერის გამოყენებით. ბადაგს ხეიარის საშუალებით აცივებენ 30°-მდე და შეკუმშული ჰაერით სტერილიზატორიდან გადააქვთ ერთ-ერთ სადულარ ცილინდრში.

სადულარ ცილინდრში სპეციალური ონკანით გადააქვთ მიკრობების წმინდა კულტურა, რომელიც წინასწარ მომზადებულია 8-12 ლ ტევადობის კარლსბერგის საზომ კოლბებში.

იმ შემთხვევაში, თუ გვაქვს 2 სადულარი ცილინდრი, ერთი უნდა გამოვიყენოთ მე 11 და მე-13 რასის ბაქტერიების წმინდა კულტურების ნარევის გასამრავლებლად, ხოლო მეორე—ბურახის საფუარის რასისათვის. თუ გვაქვს სამი სადულარი ცილინდრი, თითოეულ მათგანში ითვისება მხოლოდ ერთი კულტურა. სადულარ ცილინდრებში სუფთა კულტურა მრავლდება 30°-ზე; საფუარები—1 მლ არევი 40 მლ უჯრედის შემადგენლობამდე და ბაქტერიები—მეფიანობის დაგროვებამდე 6,8-7,0 მლ ფარგლებში, როცა ბადაგში ტუტის ნორმალური ხსნარი უდრის 100 მლ.

წინასწარი დუღილის აპარატს, ისე როგორც სტერილიზატორს, აქვს 2 ხეიარა, რომლებიც შეერთებულია გარეგამტარი ონკანით. ქვედა ხეიარა გამიზნულია ბადაგის გაცხელებისა და გაცივებისათვის-ხოლო ზედა გაცივებისათვის.

აპარატს აქვს საზომი ხელსაწყოები და არმატურა. წინასწარი დადუღების აპარატის ტევადობა შეადგენს 4000 ლ-ს, ავსებენ კი—3000 ლ-მდე.

მილსადენისა და არმატურის ყველა შეერთებას უნდა ჰქონდეს საიმედო შუასადებები, რომლებიც ორთქლს, ჰაერსა და ცივ წყალს არ გაატარებს.

ცილინდრებში დუღილის დროს აწარმოებენ წინასწარი დუღილის აპარატის სტერილიზაციას, ავსებენ მას ბადაგით, აცხელებენ ადუღებამდე და აცივებენ 30°-მდე. სტერილური პირობებთან დაკვირვებით ცილინდრებიდან აპარატში გადააქვთ ბურახის რძემეფა ბაქტერიების ნამრავლი კულტურები, 12 საათის შემდეგ კი ბურახის საფუარის კულტურა. როცა არე დადუღდება და მეფიანობა მოიმატებს, აპარატში მოთავსებული ნარევი გადააქვთ სადულარ როფში, რომელიც წინასწარ შევსებულია პირველი ბადაგით. ამ როფში შემდეგ უმატებენ მეორე და მესამე ბადაგს შაქრით. ბა-

დავის ზედაპირზე დუღილის ძაფების წარმოქმნისას იღებენ მოცულობის მადულარ ბადაგს (10 ჰლ) სხვა როფებისათვის გორც საფუარის დედას.



საფუარის დედას იღებენ არანაკლებ 6 საათში ერთხელ. ამასთან აღებული საფუარის დედას ნაცვლად უმატებენ იმავე მოცულობის ბადაგს.

ბურახის დიდი რაოდენობით გამოშვების საჭიროების შემთხვევაში ზაფხულის დღეებში ამზადებენ ბურახის ბაქტერიისა და საფუარების რასის დღე-ღამის კულტურებს. წინასწარი დუღილის აპარატში ერთდროულად ათავსებენ ყველა კულტურას. თუ მუშაობა წარმოებს გრეინერის აპარატებით, საფუარის წმინდა კულტურის მოშენებას აწარმოებენ 1-ჯერ 10 დღის განმავლობაში.

მშრალი ბურახის საფუარებისა და რემედიავა ბაქტერიების გამოყენება

ბურახის საფუარების მოშენება (1000 დკლ ბურახზე). საშენის მოსამზადებლად ხმარობენ ბურახის ბადაგს შაქრის დამატებით, რომლის სიმკვრივე 8%-მდეა შაქარშობით. ბადაგს წინასწარ აცხელებენ 10 წთ განმავლობაში და სწრაფად აციეებენ დახურულ ქურქელში 25°-მდე.

20 ლიტრიან ბალონებს გულდასმით რეცხავენ 2-3 პროცენტთან სოდის ხსნარით, ყრიან 100 გ მშრალ საფუარს და ასხამენ 5 ლ დამზადებულ ბადაგს. ბალონს ახურავენ ბამბის საცობს და ხსნარს ურევენ 10-20 წთ, რის შემდეგაც ტოვებენ 18 საათს 25°-ზე ინტენსიურ ადუღებამდე.

მადულარ ბადაგს ასხამენ 15 ლ ბადაგს (რომელსაც ისევე ამზადებენ, როგორც ზემოთაა ნაჩვენები), დატოვებენ 8-12 საათს 25° ტემპერატურაზე; შემდეგ აქედან იღებენ 15 ლ მდულარე ბადაგს და გადააქვთ 1000 დეკალიტრიან პატარა სახურავიან როფში. ბალონში ღარჩენილ საშენ საფუარს უმატებენ 15 ლ ბადაგს, აყოვნებენ 12-16 საათს 25° ტემპერატურაზე, ინტენსიურ ადუღებამდე. საფუარის მოშენების ყველა ოპერაცია ბალონებში უნდა წარმოებდეს ისე, რომ გამორიცხულ იქნას დაჭუჭყიანების შესაძლებლობა. თუ საფუარი დაჭუჭყიანდა, ხელახლა წარმოებს მშრალი



როფში გადატანილ საფურის დედას უმატებენ 85 ლ ბურახის ბადაგს, რომლის სიმკვრივე აყვანილია შაქრის 6 %-მდე შაქარ-მზომით და სტოვებენ 18—20 საათს 26° ტემპერატურაზე ინტენსიურ დუღილამდე, რის შემდეგაც გადააქვთ 1000 დკლ ტევადობის საწარმოო როფში, სადაც დუღილი გრძელდება 12 საათის განმავლობაში 26°-ზე. დაცლის შემდეგ როფს უკეთებენ დეზინფექციას დაწმენდილი 2 პროცენტის კლორიანი კირის ხსნარით ან მგავე ეპოლციდით (თუ როფი ალუშინისაა), კარგად რეცხავენ სუფთა ცივი წყლით და მაშინვე ხმარობენ შემდგომი საფურის მოსამზადებლად.

რძემგავე ბაქტერიების მოშენება. ბურახის შშრალი რძემგავე ბაქტერიები წარმოადგენენ 11 და 13 რასის ტექნიკურად სუფთა რძემგავე ბაქტერიებს გამომშრალი სტერილური ლუდის ღერძილზე. მოშენებას აწარმოებენ შემდეგნაირად.

